

საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი  
ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეებზე  
2011, №2

ა დ მ ი ნ ი ს ტ რ ა ც ი უ ლ ი

პ რ ო ც ე ს ი

1. მტკიცებულებები

- მტკიცების ტვირთი საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დროს
- მტკიცებულებების დედნის სახით წარდგენა
- მტკიცებულებების შეგროვება, ყოველმხრივი, სრულყოფილი და ობიექტური განხილვა
- მხარის კანონიერი ნდობის უფლების საფუძველი
- საკასაციო ინსტანციაში ახალი მტკიცებულებების წარდგენის დაუშვებლობა

2. სარჩელის უზრუნველყოფა

- განცხადება სარჩელის უზრუნველყოფის თაობაზე
- სარჩელის უზრუნველყოფით გამოწვეული მოსალოდნელი ზარალის დამატებითი უზრუნველყოფის დაუშვებლობა
- სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმების მოთხოვნა
- სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განჩინების გასაჩივრება
- უარი სარჩელის უზრუნველყოფაზე დაუშვებლობის გამო
- ყადაღის დადება

3. უსწორობის გასწორება

## 1. მტკიცებულებები

### მტკიცებულებების წარდგენა დედნის სახით

#### განჩინება

#ბს-28-28(კ-09)

11 ივნისი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ნ. ქადაგიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
მ. ვაჩაძე,  
მ. ცისკაძე

დავის საგანი: უფლების აღდგენა

#### აღწერილობითი ნაწილი:

2006 წლის 7 დეკემბერს ზ. ჯ-ავამ სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხეების - ვეტერანთა საქმეების დეპარტამენტისა და საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიმართ უფლების აღდგენის თაობაზე.

მოსარჩელე სასარჩელო განცხადებაში მიუთითებდა, რომ 1992 წლის 19 ოქტომბრიდან 1993 წლის 27 სექტემბრამდე ირიცხებოდა აფხაზეთის ყოფილი სამხედრო პოლიციის სამმართველოში. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს აფხაზეთის სამხედრო პოლიციის სამმართველოს უფროსის #210 ბრძანებით ზ. ჯ-ავა ჩაირიცხა სამხედრო პოლიციის სამმართველოში . . . . საქართველოს თავდაცვის სამინისტროს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სამხედრო კომისარიატის #210 ბრძანების საფუძველზე გაიცა ცნობა შეღავათების მიღების მიზნით.

საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროს #134 ბრძანებით აღრიცხვიანობის წესრიგში მოყვანის მიზნით, გაუქმებული ნაწილებისა და შენაერთების პირადი შემადგენლობა, გარდა იმ სამხედრო მოსამსახურეებისა, რომლებიც დანიშნულნი იყვნენ შეიარაღებულ ძალებში თანამდებობებზე, სამხედრო ნაწილების გაუქმების დღიდან ორი თვის შემდეგ, მათ შორის, მოსარჩელეც, ითვლებოდნენ დათხოვნილად ნამდვილი სამხედრო სამსახურიდან და თადარიგში ჩარიცხულად 1994 წლის 6 ივლისიდან (ამონაწერი გაცემული 1995 წლის 17 მარტს). მოსარჩელე ასევე განმარტავს, რომ იგი ირიცხებოდა სამხედრო პოლიციის სიებში (ამონაწერი გაცემული 2006 წლის 3 ნოემბერს #კოლ/207), რასაც ადასტურებს სამხედრო პოლიციის ომის ვეტერანთა და ინვალიდთა კავშირის მიერ გაცემული საბრძოლო მოკვლევა.

საქართველოს ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანების 2006 წლის 19 მაისის მოწმობის ნიმუშების შესახებ საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 17 დეკემბრის #1058 ბრძანებულებაში ცვლილებებისა და დამატებების თაობაზე #323 ბრძანებულების მე-2 პუნქტის შესაბამისად, ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანების დამადასტურებელ ძველ ნიმუშებს იურიდიული ძალა შეუნარჩუნდათ 2006 წლის 1 აგვისტომდე. აღნიშნულიდან გამომდინარე, 2 აგვისტოდან პენსიის მიღება შეუჩერდათ იმ ვეტერანებს, რომლებსაც ხელახალი რეგისტრაცია არ გაუვლიათ ვეტერანთა საქმეების დეპარტამენტში. აღნიშნულს მოსარჩელე ადასტურებს საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ფილიალის მიერ გაცემული ამონაწერით. მოსარჩელის განმარტებით, მან მიმართა ვეტერანთა საქმეების დეპარტამენტს და მოითხოვა ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანის მოწმობის გაცემა, ხოლო მათ მოსთხოვეს თავდაცვის სამინისტროდან წარმოედგინა საბრძოლო მოქმედებებში მონაწილეობის დამადასტურებელი ცნობა. თავდაცვის სამინისტროს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის ჯ-1 პირადი შემადგენლობის დეპარტამენტმა უარი განაცხადა ასეთი ცნობის გაცემაზე იმ მოტივით, რომ მათ არ მოეპოვებათ ინფორმაცია ზ. ჯ-ავას საქართველოს შეიარაღებული ძალების რიგებში ჩარიცხვისა და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის აფხაზეთის რეგიონში მიმდინარე სამარ მოქმედებებში მონაწილეობის შესახებ.

მოსარჩელის განმარტებით, იგი ვერ სარგებლობს იმ კანონიერი უფლებებით, რაც გათვალისწინებულია "ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანების შესახებ" საქართველოს კანონით. "ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანების შესახებ" საქართველოს კანონის მე-12, მე-13, მე-15 და მე-17 მუხლების თანახმად, ირდევსა მოსარჩელის ინტერესები და უფლებები, რის გამოც სარჩელი ექვემდებარება დაკმაყოფილებას.

საქალაქო სასამართლოს სხდომაზე მოპასუხე საქართველოს თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენელი სასარჩელო მოთხოვნას საბრძოლო მოქმედებებში მონაწილეობის დამადასტურებელი ცნობის გაცემის ნაწილში არ დაეთანხმა და მოითხოვა ამ ნაწილში სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის

თქმა. საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 11 მაისის გადაწყვეტილებით ზ. ჯ-ავას სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; მოპასუხე ვეტერანთა საქმეების დეპარტამენტს დაევალა ზ. ჯ-ავაზე ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის გაცემა; ზ. ჯ-ავას სარჩელი მოპასუხე საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიმართ საბრძოლო მოქმედებებში მონაწილეობის დამადასტურებელი ცნობის გაცემის დავალების ნაწილში არ დაკმაყოფილდა.

საქალაქო სასამართლო გადაწყვეტილებაში მიუთითებდა, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს აფხაზეთის სამხედრო პოლიციის სამმართველოს უფროსის 1992 წლის 19 ოქტომბრის 210 ბრძანებით ზ. ჯ-ავა ჩაირიცხა სამხედრო პოლიციის სამმართველოში. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სამხედრო კომისარიატის მიერ 1999 წლის 21 დეკემბერს გაცემული #1218/1 ცნობის თანახმად, ზ. ჯ-ავა 1992 წლის ოქტომბრიდან 1993 წლის სექტემბრამდე იმყოფებოდა სამხედრო სამსახურში და არის საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლის მონაწილე. აღნიშნული ცნობა გაიცა შეღავათების მისაღებად, რომელიც დადგენილია საქართველოს კანონმდებლობით, სამხედრო მოსამსახურეებისა და მათი ოჯახის წევრებისათვის. მთავარსარდლის 1994 წლის 6 ივლისის ბრძანებით გაუქმდა სამხედრო პოლიციის სამმართველო და მის დაქვემდებარებაში მყოფი შენაერთები და აღრიცხვიანობის წესრიგში მოყვანის მიზნით გაუქმებული ნაწილებისა და შენაერთების პირადი შემადგენლობა, გარდა იმ სამხედრო მოსამსახურეებისა, რომლებიც დანიშნული იყვნენ შეიარაღებულ ძალებში თანამდებობებზე, სამხედრო ნაწილების გაუქმების დღიდან ორი თვის შემდეგ ჩაითვალებდნენ დათხოვნილად ნამდვილი სამხედრო სამსახურიდან და თადარიგში ჩაირიცხებულად 1994 წლის 6 ივლისიდან. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება ვეტერანთა საქმეების დეპარტამენტის 2006 წლის 3 ნოემბრის #კოლ/207 საპასუხო წერილიდან დგინდება, რომ ზ. ჯ-ავა ირიცხება აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მცხოვრებლების საბრძოლო მოქმედებებში მონაწილეობის ფაქტის დამდგენი კომისიის ოქმით გადმოცემულ სამხედრო პოლიციის სიებში. აფხაზეთის ომის ინვალიდთა და ვეტერანთა კავშირი "სოხუმის" 2006 წლის 2 მაისის #1/416 საბრძოლო მოკვლევიდან დგინდება, რომ აფხაზეთში მიმდინარე სამხედრო მოქმედებების დროს ზ. ჯ-ავა ირიცხებოდა აფხაზეთის ყოფილი სამხედრო პოლიციის სამმართველოში ... შტატში 1992 წლის 19 ოქტომბრიდან 1993 წლის 27 სექტემბრამდე. აღნიშნულს ადასტურებს აფხაზეთის ყოფილი სამხედრო პოლიციის სამმართველოს უფროსი, თადარიგის პოლკოვნიკი ს. ა-ია, ყოფილი სამხედრო პოლიციის სამმართველოს გულრიფშის ასეულის მეთაური, თადარიგის მაიორი ე. შ-ავა, სამხედრო პოლიციის შრომის ასეულის ზემდეგი ჯ. ქ-ავა. საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ფილიალის 2006 წლის 10 ნოემბრის #25/70 საპასუხო წერილიდან ირკვევა, რომ ზ. ჯ-ავას საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლის მონაწილის პენსიის ჩარიცხვა შეუწყდა ვეტერანთა საქმეების დეპარტამენტიდან ახალი ნიშნის ვეტერანის მოწმობის წარმოუდგენლობის გამო, ხოლო აღნიშნულის წარმოდგენის შემთხვევაში პენსია იქნებოდა აღდგენილი. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების ვეტერანთა საქმეების დეპარტამენტის 2006 წლის 13 დეკემბრის # ხ/2415 წერილის თანახმად, საქართველოს ვეტერანთა საქმეების დეპარტამენტის თავმჯდომარის 2004 წლის 20 ივლისის #175 ბრძანებით დამტკიცებული "ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანის პირადობის მოწმობის დამზადების და გაცემის წესის შესახებ" ინსტრუქციის მე-6 მუხლის "დ" პუნქტის "დ.ა." ქვეპუნქტის მიხედვით, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის საბრძოლო მოქმედებების ვეტერანმა უნდა წარმოადგინოს ძალოვანი უწყების კადრების ცნობა იმის შესახებ, რომ ფორმირება, რომელშიც პირი მსახურობდა (ჩარიცხული იყო) საბრძოლო მოქმედებების პერიოდში, იმყოფებოდა საბრძოლო მოქმედებების ზონაში და აღნიშნულ პირს მონაწილეობა აქვს მიღებული საბრძოლო ოპერაციებში. ეგრეთ წოდებული "ყვითელი ცნობა" წარმოადგენს თავდაცვის სამინისტროს მიერ გაცემულ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს, რომელიც ადასტურებს პირის მონაწილეობას საბრძოლო მოქმედებებში. ადმინისტრაციული აქტის გამოცემა რეგულირდება ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება ვეტერანთა საქმეების დეპარტამენტის 2006 წლის 15 დეკემბრის # ჯ-2397 წერილის თანახმად, ვეტერანის სტატუსის მისანიჭებლად წარდგენილ უნდა იქნეს საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის ჯ-1 პირადი შემადგენლობის დეპარტამენტის მიერ გაცემული ცნობა, რომელიც დაადასტურებს საბრძოლო მოქმედებებში ზ. ჯ-ავას მონაწილეობას. საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის ჯ-1 პირადი შემადგენლობის დეპარტამენტის 2006 წლის 8 ნოემბრის #5910 საპასუხო წერილიდან ირკვევა, რომ საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის პირადი შემადგენლობის დეპარტამენტის 1992-1994 წლების საარქივო მასალებში არ მოიპოვება ინფორმაცია ზ. ჯ-ავას საქართველოს შეიარაღებული ძალების რიგებში ჩარიცხვისა და საქართველოს ტერიტორიული მთლი-

ანობისათვის აფხაზეთის რეგიონში მიმდინარე სამარ მოქმედებებში მონაწილეობის შესახებ, რის შესახებაც არაერთხელ ეცნობა ზ. ჯ-ავას, ხოლო ზ. ჯ-ავას მიერ წარმოდგენილი საქართველოს თავდაცვის სამინისტროს აფხაზეთის სამხედრო პოლიციის სამმართველოს უფროსის 1992 წლის 19 ოქტომბრის #210 ბრძანების ამონაწერი არც შინაარსითა და არც რეგისტრაციის თარიღით არ შეესაბამება საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის პირადი შემადგენლობის დეპარტამენტის საარქივო მასალებში არსებულ ამავე წლის ამავე ნომრით რეგისტრირებულ ბრძანებას.

საქალაქო სასამართლომ გამოიყენა "ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის დამზადებისა და გაცემის წესის შესახებ ინსტრუქციის" მე-6 მუხლის "დ" ქვეპუნქტი და განმარტა, რომ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის საბრძოლო მოქმედებების ვეტერანმა პირადობის მოწმობის დასამზადებლად საჭირო ანკეტის შევსებისათვის უნდა წარმოადგინოს შემდეგი საბუთები: ძალოვანი უწყებების კადრების სამსახურის ცნობა იმის შესახებ, რომ ფორმირება, რომელშიც პირი მსახურობდა (ჩარიცხული იყო), საბრძოლო მოქმედების პერიოდში საბრძოლო მოქმედებების ზონაში იმყოფებოდა და მონაწილეობდა საბრძოლო ოპერაციებში. ცნობას დართული უნდა ჰქონდეს მისი გაცემის საფუძველი (ფორმირებაში სამსახურის, ჩარიცხვის ან ამორიცხვის შესახებ, ბრძანებიდან ამონაწერი, მივლინების შესახებ ბრძანებიდან ამონაწერი, საბრძოლო მოკვლევა, სასარჩელო წესით განხილვის შედეგად დეპარტამენტის წარმომადგენლის მონაწილეობით მიღებული სასამართლო გადაწყვეტილება. დეპარტამენტის ვეტერანობის დამდგენი კომისიის გადაწყვეტილება). თუ სათანადო ბრძანება არ იყო გაფორმებული და არ მოიპოვება, საჭიროა წარმოდგენილ იქნეს ცნობა უწყებიდან, რომლითაც დადასტურდებოდა ასეთი საბუთების მიღების ან მათი მიღების შეუძლებლობა. ასეთ შემთხვევაში უნდა ჩატარდეს საბრძოლო მოკვლევა, რომლის დროსაც საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის საბრძოლო მოქმედებებში მონაწილეობა დამტკიცდება სხვა მტკიცებულებებით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლომ მიიჩნია, რომ ვეტერანთა საქმეების დეპარტამენტის ქმედება უკანონოა, ვინაიდან ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანის სტატუსი მოსარჩელე ზ. ჯ-ავას უკვე მინიჭებული აქვს თავად მოპასუხე მხარისაგან. მის მოთხოვნას წარმოადგენდა მხოლოდ ვადაგასული მოწმობის გამოცვლა და არა გაუქმებული სტატუსის აღდგენა, ვინაიდან აღნიშნული არ მომხდარა.

საქალაქო სასამართლოს მითითებით, საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2001 წლის 18 ივლისის #155 ბრძანებით დატკიცებული იყო საბრძოლო მოკვლევის წარმოების წესის შესახებ დებულება. ამავე დებულების მე-14 ნაწილის თანახმად, საბრძოლო მოკვლევით დადგენილი ფაქტების საფუძველზე, სამხედრო მოსამსახურეებს, რეზერვისტებსა და მოქალაქეებს შესაძლებელია დაუდასტურდეთ: ა) შეიარაღებული ძალების რიგებში ჩარიცხვა-ამორიცხვა; ბ) საბრძოლო მოქმედების დროს (თავდაცვის მინისტრის, მათი მოადგილეების, კორპუსის მეთაურების მიერ) მათთვის სიტყვიერად მინიჭებული სამხედრო წოდებები. საქმეში წარმოდგენილი საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2007 წლის 3 აპრილის #158 ბრძანების თანახმად ძალადაკარგულად იქნა გამოცხადებული "საბრძოლო მოკვლევის წარმოების წესის შესახებ" დებულების დამტკიცების თაობაზე საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2001 წლის 18 ივლისის #155 ბრძანება. შესაბამისად, მოსარჩელე ზ. ჯ-ავას სასარჩელო მოთხოვნა ამ ნაწილში, როგორც უსაფუძვლო, სასამართლოს მოსაზრებით არ ექვემდებარებოდა დაკმაყოფილებას.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ვეტერანთა საქმეების დეპარტამენტმა.

აპელანტი სააპელაციო საჩივარში მიუთითებდა, რომ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2004 წლის 21 დეკემბრის #351/5 ბრძანებულების (რომლითაც დამტკიცებულია დეპარტამენტის დებულება) მე-2 მუხლის "ე" პუნქტის თანახმად, დეპარტამენტის საქმიანობის სფეროს წარმოადგენს "ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანების შესახებ" საქართველოს კანონით დადგენილი პირების ზუსტი აღრიცხვა და მათზე ვეტერანის ერთიანი ნიშნის მოწმობის გაცემა. "ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლით, აღნიშნული კანონის დებულებების შესრულების სისტემური კონტროლი ევალება ვეტერანთა დეპარტამენტს. შესაბამისად, ვეტერანთა საქმეების დეპარტამენტი ვეტერანის სტატუსს კი არ განსაზღვრავს, არამედ აღრიცხავს სხვადასხვა კატეგორიის ვეტერანებს და გასცემს მათზე შესაბამის მოწმობებს, ასევე ევალება ამ საქმის სისტემური კონტროლი და მონიტორინგი, ე.ი. შეუძლია ნებისმიერ დროს დააყენოს ექვემდებარებული მოწმობის გაცემის საფუძველიანობა და მოსთხოვოს ვეტერანობის მაძიებელს დამატებითი საბუთების წარმოდგენა, რაც მოხდა კონკრეტულ შემთხვევაში.

ამასთან, საქმეში არ მოიპოვება ვეტერანთა საქმეების დეპარტამენტის წერილობითი უარი, რაც განსაზღვრულია ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 23-ე და 24-ე მუხლებში. სასამართლომ უარყოფით პასუხად მიიჩნია დეპარტამენტის მიერ თ. ხ-შვილისთვის გაგზავნილი 2006წ. 13 დე-

კემბრის #ბ/2415 წერილი. განცხადება, რომელიც საფუძვლად დაედო დეპარტამენტის აღნიშნულ წერილს, თ. ხ-შვილმა დეპარტამენტში შემოიტანა, როგორც მოქალაქემ და არა როგორც ზ. ჯ-ავას წარმომადგენელმა, რის გამოც არ არსებობს პირდაპირი ზიანი, რომელიც მიადგა მოსარჩელის ინტერესებს, რასაც ასევე დისპოზიციურად ითხოვს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 23-24-ე მუხლები. ამასთან, მოსარჩელის მიერ დარღვეულია ერთვანი გასაჩივრების ვადა, ვინაიდან თ. ხ-შვილმა წერილი ჩაიბარა 14.12.2006წ, ხოლო სარჩელი დეპარტამენტის მიმართ აღძრულია 13.04.2007წ.

სააპელაციო სასამართლოს 2007 წლის 5 ნოემბრის გადაწყვეტილებით ვეტერანთა საქმეების დეპარტამენტის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილების შეცვლით სააპელაციო სასამართლოს მიერ მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც საქართველოს თავდაცვის სამინისტროს დაევალა მოსარჩელეზე საქართველოს შეიარაღებული ძალების რიგებში ჩარიცხვისა და ტერიტორიული მთლიანობისათვის აფხაზეთის რეგიონში საბრძოლო ოპერაციებში მისი მონაწილეობის შესახებ ცნობის გაცემა, ხოლო ზ. ჯ-ავას სარჩელი ვეტერანთა საქმეების დეპარტამენტის მიმართ ვეტერანის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის გაცემის თაობაზე არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო სასამართლომ გამოიყენა საქართველოს ვეტერანთა საქმეების დეპარტამენტის თავმჯდომარის 2004 წლის 20 ივლისის #175 ბრძანებით დამტკიცებული "ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანის პირადობის მოწმობის დამზადებისა და გაცემის წესის შესახებ" ინსტრუქციის მე-6 მუხლის "დ" ქვეპუნქტი და განმარტა, რომ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის საბრძოლო მოქმედებების ვეტერანმა უნდა წარმოადგინოს ძალოვანი უწყების კადრების სამმართველოს ცნობა იმის შესახებ, რომ ფორმირება, რომელშიც პირი მსახურობდა (ჩარიცხული იყო) საბრძოლო მოქმედებების პერიოდში, იმყოფებოდა საბრძოლო მოქმედებების ზონაში და მას მონაწილეობა აქვს მიღებული საბრძოლო ოპერაციებში.

სააპელაციო სასამართლოს დასკვნით, ზ. ჯ-ავას ვეტერანთა საქმეების დეპარტამენტისათვის არ წარუდგენია ზემოაღნიშნული ინსტრუქციით გათვალისწინებული ცნობა, რაც შესაბამის ადმინისტრაციულ ორგანოს ანიჭებდა უფლებას, უარი ეთქვა ზ. ჯ-ავას მიმართ ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის გაცემაზე, რამდენადაც ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია, პირის განცხადების საფუძველზე, გამოსცეს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი - ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დადასტურებული, გარკვეული ინფორმაციის შემცველი დოკუმენტი (ცნობა), რომელსაც შეიძლება მოჰყვეს სამართლებრივი შედეგი, პირისთვის რაიმე უფლების მინიჭების ან სარგებლის მიღების სახით. ასეთი აქტის გამოცემის შესახებ ადმინისტრაციული ორგანოს უარი დასაბუთებული უნდა იყოს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ უსაფუძვლოდ მიიჩნია საქალაქო სასამართლოს მიერ სარჩელის იმ ნაწილის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა, რომლითაც მოსარჩელე ითხოვდა თავდაცვის სამინისტროს დავალდებულებას საბრძოლო მოქმედებებში მისი მონაწილეობის დამადასტურებელი ცნობის გაცემის შესახებ, ვინაიდან საქართველოს თავდაცვის სამინისტროს აფხაზეთის სამხედრო პოლიციის სამმართველოს უფროსის 1992 წლის 19 ოქტომბრის #210 და საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროს 1995 წლის 17 მარტის #134 ბრძანებები არ არის გაუქმებული და მათი არსებობა საბრძოლო მოქმედებებში მონაწილეობის დამადასტურებელი ცნობის გაცემის პირდაპირი საფუძველია.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ, რომელმაც მოითხოვა სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმება სარჩელის დაკმაყოფილებულ ნაწილში.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2008 წლის 15 აპრილის განჩნებით საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ - გაუქმდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 5 ნოემბრის გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა იმავე სასამართლოს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 3 ივლისის გადაწყვეტილებით სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა; თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეჯის 2007 წლის 11 მაისის გადაწყვეტილების მე-2 ნაწილის შეცვლით მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება; ზ. ჯ-ავას სარჩელის მოთხოვნა ვეტერანთა საქმეების დეპარტამენტის მიმართ, ვეტერანის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის გაცემის თაბაზე არ დაკმაყოფილდა.

აღნიშნული გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა ზ. ჯ-ავამ.

კასატორი საკასაციო საჩივარში მიუთითებდა, რომ მას არ ჰქონდა შესაძლებლობა, ჯერ კიდევ საქალაქო სასამართლოში წარედგინა კიდევ ერთი დამადასტურებელი მტკიცებულება როგორცაა შრომის წიგნაკიდან ამონაწერი მუშაობის შესახებ, რაც ადასტურებს აფხაზეთში მიმდინარე საომარი მოქმედებების დროს მისი მონაწილეობის ფაქტს და თავდაცვის სამინისტროს აფხაზეთის სამხედრო პოლიციის სამმართველოს უფროსის ბრძანება #210. ეს მტკიცებულებები სასამართლოსათვის ცნობილი რომ ყოფილიყო, საქმე ასეთი შედეგით არ დასრულდებოდა და სასამართლო გადაწყვეტილებაც ობიექტური და გამჭვირვალე იქნებოდა, რომლითაც დაცული იქნებოდა ზ. ჯ-ავას როგორც სამართლებრივი, ისე მატერიალური უფლებები. ამდენად, კანონი არსწორად განიმარტა, მოხდა მისი არასწორად გამოყენება და მიღებული იქნა არასრული და დაუსაბუთებელი გადაწყვეტილება.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კასატორი ითხოვდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 3 ივლისის გადაწყვეტილების გაუქმებასა და საქმის ხელახლა განსახილველად იმავე სასამართლოსათვის დაბრუნებას.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, მხარეთა ახსნა-განმარტებების მოსმენის, საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ზ. ჯ-ავას საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, შემდეგ გარემოებათა გამო:

როგორც საქმის მასალებით დასტურდება, თბილისის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 11 მაისის გადაწყვეტილებით, ზ. ჯ-ავას სარჩელის საფუძველზე, ვეტერანთა საქმეების დეპარტამენტს დაევა ზ. ჯ-ავაზე ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის გაცემა, ხოლო ზ. ჯ-ავას სარჩელი, მოპასუხე საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიმართ, საბრძოლო მოქმედებაში მონაწილეობის დამადასტურებელი ცნობის გაცემის დავალების ნაწილში, არ იქნა დაკმაყოფილებული.

მითითებული გადაწყვეტილება გასაჩივრდა მხოლოდ ვეტერანთა საქმეების დეპარტამენტის მიერ, რის შედეგადაც მოპასუხე საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიმართ მოთხოვნაზე უარის თქმის ნაწილში გადაწყვეტილება შევიდა კანონიერ ძალაში.

საქმის განხილვის მოცემულ ეტაპზე საკასაციო სასამართლოსათვის, ცხადია, ის პროცესუალური წინააღმდეგობა, რაც თან ახლავს სარჩელის სრული მოცულობით განხილვას, მაგრამ იმავდროულად პრინციპულად მიიჩნევს მოსარჩელის უფლებების დაცვას, მით უფრო, მისი სოციალური სტატუსიდან გამომდინარე და თვლის, რომ სასამართლო ვალდებულია, საქმეში დაცულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით, მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ ფარგლებში, განსაზღვროს, ზ. ჯ-ავა რეალურად მიეკუთვნება თუ არა ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანს და ხომ შეილახა მისი უფლებები მხოლოდ ფორმალური ნიშნით.

ომის გათვალისწინებით, რომ საქმეში წარმოდგენილია დამატებითი და დასაბუთებული საკასაციო პრეტენზია საქმის ფაქტობრივ გარემოებებთან დაკავშირებით, საკასაციო სასამართლო საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე ექვემდებარება სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს და, თავის მხრივ, ყურადღებას მიაქცევს შემდეგზე: საქმეში წარმოდგენილია ამონაწერი შრომის წიგნაკიდან, საიდანაც ირკვევა, რომ ზ. ჯ-ავა 1992 წლის 10 ოქტომბრის #210 ბრძანებით დანიშნულია აფხაზეთის სამხედრო პოლიციის სამმართველოს ... კომენდატურაში, ხოლო 1993 წლის 27 სექტემბრის #103 ბრძანებით, სხვა ტერიტორიაზე გადასვლასთან დაკავშირებით, გათავისუფლებულია დაკავებული თანამდებობიდან.

საქმეში დაცულია საქართველოს თავდაცვის სამინისტროს აფხაზეთის სამხედრო პოლიციის სამმართველოს უფროსის #210 ბრძანების ამონაწერი, რომლის შინაარსიც თანხვედრაშია ზ. ჯ-ავას შრომის წიგნაკის ჩანაწერთან და ადასტურებს მისი სამხედრო პოლიციის სამმართველოში დანიშვნის ფაქტს.

საკასაციო სასამართლო ყურადღებას მიაქცევს ასევე ს.ფ. 9-ზე წარმოდგენილ საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროს #134 ბრძანების ამონაწერს, რომლის შინაარსი არსებითად ემთხვევა ამავე ბრძანების დედანს.

ზემოაღნიშნული მტკიცებულებების ანალიზი საკასაციო სასამართლოს აძლევს საფუძველს, დაასკვნას, რომ საქმის არსებითად სწორი გადაწყვეტისათვის სააპელაციო სასამართლოს მხრიდან კვლევის საგნად უნდა იქცეს ზემოაღნიშნული ბრძანების დედნები, რომლებიც სათანადო წესით გამოთხოვილი უნდა იყოს საქართველოს თავდაცვის სამინისტროდან.

საკასაციო სასამართლო მით უფრო მნიშვნელოვნად მიიჩნევს აღნიშნული ბრძანებების დედნის სახით შესწავლა-გამოკვლევას საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის ჯ-1 პირადი შემადგენლობის დეპარტამენტის 2006 წლის 08-11 #5910 წერილის შინაარსიდან გამომდი-

ნარე, სადაც მითითებულია, რომ აფხაზეთის სამხედრო პოლიციის სამმართველოს უფროსის 19.10.92წ. #210 ბრძანების ამონაწერი არც შინაარსით და არც რეგისტრაციის თარიღით არ შეესაბამება საარქივო მასალებში არსებულ ამავე წლის ამავე ნომრით რეგისტრირებულ ბრძანებას.

საგულისხმოა, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენლის მიერ ვერ იქნა უარყოფილი ის გარემოება, რომ ზემოაღნიშნული #210 ბრძანება შეეხება აფხაზეთის სამხედრო პოლიციის სამმართველოს პირადი შემადგენლობის თანამდებობებზე დანიშვნის წესს.

შესაბამისად, საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, დაუშვებელია საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის ჯ-1 პირადი შემადგენლობის #5910 წერილის შინაარსის უპირობო გაზიარება, რა მოტივითაც საკასაციო სასამართლო სავალდებულოდ მიიჩნევს მითითებული ბრძანებების მხოლოდ დედნების სახით სასამართლოში წარმოდგენას და სიაში ზ. ჯ-ავას თაობაზე ჩანაწერის არსებობის ფაქტის გამოკვლევას თანამშრომელთა უწყვეტი ნუმერაციის გათვალისწინებით. აქვე საკასაციო სასამართლო ყურადღებას მიაქცევს საქმეში წარმოდგენილ წერილს, რომელიც მიუთითებს ზ. ჯ-ავას აფხაზეთის ა/რესპუბლიკის მცხოვრებთა საბრძოლო მოქმედებებში მონაწილეობის ფაქტის დამდგენი კომისიის სხდომის ოქმით გადმოცემულ სამხედრო პოლიციის სიებში აღრიცხვის ფაქტზე.

საკასაციო სასამართლო ასევე მნიშვნელოვნად მიიჩნევს დამატებითი მტკიცებულებების მოძიების გზით ზემოაღნიშნული ფაქტობრივი გარემოების დამატებით დადგენა-გამოკვლევას.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, სასამართლო აფასებს მტკიცებულებებს თავისი შინაგანი რწმენით, რომელიც უნდა ემყარებოდეს მათ ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას, ხოლო საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 19.1 მუხლის თანახმად, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 103-ე მუხლით მინიჭებული უფლებამოსილების გარდა, სასამართლო უფლებამოსილია, საკუთარი ინიციატივით შეაგროვოს ფაქტობრივი გარემოებები და მტკიცებულებები.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ უნდა ისარგებლოს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის ზემოაღნიშნული მუხლით მინიჭებული უფლებამოსილებით და საქმეზე დამატებითი მტკიცებულებების შეკრება-მოძიების გზით მოახდინოს მტკიცებულებათა ყოველმხრივი, სრული და ობიექტური განხილვა, რაც უზრუნველყოფს საქმეზე არსებითად სწორი გადაწყვეტილების მიღებას, რა მიზნითაც საქმეს ხელახალი განხილვისათვის უბრუნებს იმავე სასამართლოს.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მეორე ნაწილით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

#### **და ა ა დ გ ი ნ ა:**

1. ზ. ჯ-ავას საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 3 ივლისის გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

#### **მტკიცებულებების შეგროვება და გამოკვლევა**

##### **განჩინება**

#ბს-222-216(კ-09)

23 ივნისი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ნ. წკეპლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
მ. ვაჩაძე,  
პ. სილაგაძე

**დავის საგანი:** ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა

საკასაციო სასამართლომ საქმის მასალების გაცნობის შედეგად **გამოარკვია:**

ი/მ "ზ. გ-მემ" სარჩელი აღძრა თბილისის საქალაქო სასამართლოში მოპასუხე თბილისის რე-გიონალური ცენტრის მიმართ, რომლითაც მოითხოვა ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამარ-თლებრივი აქტის ბათილად ცნობა.

#### **საქმის გარემოებები:**

მოსარჩელის განმარტებით, საგადასახადო ინსპექციის მოთხოვნით, საგადასახადო ინსპექციაში წარადგინა 2004-2005 წლების სამეწარმეო და ეკონომიკური საქმიანობის ამსახველი საბუღალტრო საბუთები. მოსარჩელეს შპს "... " 2003 წლის 10 აპრილს დადებული ჰქონდა ხელშეკრულება. აღნიშნული ხელშეკრულების თანახმად, მოსარჩელე ვალდებული იყო დაემონტაჟებინა შპს "... " ქვის სამსხვრევ-დამხარისხებელი დანადგარი, მარკა სმდ-26/27 (კომპლექტი) და ბეტონის კვანძის ქარხანა, მარკით სბ-135 კომპლექტში. ხელშეკრულება უნდა შესრულებულიყო ავანსის სახით ზ. გ-მეზე 5000 აშშ დოლარის ეკვივალენტის გადაცემიდან 40 დღის განმავლობაში. საქმეში წარმოდ-გენილი მტკიცებულებების თანახმად, მოსარჩელემ შპს "... " მიიღო: 2004 წლის 1 დეკემბერს 15 ათასი ლარი, 2004 წლის 15 დეკემბერს 15 ათასი ლარი, 2004 წლის 25 დეკემბერს - 8 ათასი ლარი, 2005 წლის 15 იანვარს 4550 ლარი, სულ 42500 ლარი. ამასთან, მოსარჩელემ ხელშეკ-რულება შეასრულა ვადაში, მხოლოდ კონტრაქტმა ვერ შეძლო ვადაში თანხების დაფარვა. მო-სარჩელემ ხელშეკრულების პირობების შესასრულებლად შემდეგი ხარჯები გასწია: 2002 წლის 10 აპრილს სს "... " ქვის მსხვრევანა დამხარისხებლის შეძენაზე 22 365 ლარი; 2003 წლის 10 ნო-ემბერს შპს "... " ბეტონის კვანძის შესაძენად - 17 ათასი ლარი; 2004 წლის 5 ივნისს შპს "... " რკინის ნახმარი მილი - 462 ლარი. საერთო ღირებულება, სულ 39 827 ლარი (სალაროს შემოსავლის ორდერები და სასაქონლო ზედნადებები წარმოდგენილია საქმეში).

სარჩელის ფაქტობრივი საფუძველი:

ზ. გ-მე ინდივიდუალურ მეწარმედ რეგისტრირებულია 2004 წლის 17 აგვისტოს და ამ სტა-ტუსით ის აწარმოებდა სხვა საქმიანობას, რომელიც ამ ეპიზოდს არ მოიცავს, რაც დასტურდება საქმეში წარმოდგენილი საბაჟო დეკლარაციითა (დათარიღებული 2004 წლის 31 აგვისტოთი) და ქ.თბილისის საგადასახადო ინსპექციის 2006 წლის 18 დეკემბრის ი/მ "ზ. გ-მის" შემოწმების შე-სახებ შედგენილი აქტით. ამასთან, ფიზიკურ პირ ზ. გ-მის მიერ შპს "... " 2003 წლის 10 აპ-რილს დადებული ხელშეკრულების შესრულება და დაგვიანებით ანაზღაურების მიღება არ შეიძლე-ბა ჩაითვალოს სამეწარმეო საქმიანობად, რამდენადაც ეს მოქმედება ატარებდა ერთჯერად ხასიათს და წარმოადგენდა ფიზიკური პირის მიერ შეძენილი მასალით ნარდობის ხელშეკრულების დადება-სა და შესრულებას სამოქალაქო კოდექსის 629-ე მუხლის 1-ლი და მე-2 მუხლების საფუძველზე. "მეწარმეთა შესახებ" კანონის 1.1 მუხლის თანახმად, სამეწარმეო საქმიანობად ითვლება მარ-თლზომიერი და არაერთჯერადი საქმიანობა, რომელიც ხორციელდება მოგების მიზნით. შპს "... " დაგვიანებით, ნაწილ-ნაწილ გადაუხადა ფიზიკურ პირ ზ. გ-მეს და არა ი/მ "ზ.გ-მეს" ნარდობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხა. ამასთან, ხელშეკრულებით გათვალისწინე-ბული ნაკეთობის დასამზადებლად ზ. გ-მემ გამოიყენა თავის მიერ შეძენილი მასალა-სამსხვრევ-დამხარისხებელი დანადგარი და ბეტონის კვანძი, რომლის არსებობაც დასტურდება ამავე ხელშეკ-რულებით.

სარჩელის სამართლებრივი საფუძველები:

საგადასახადო კოდექსის 177-ე მუხლის თანახმად, ერთობლივი შემოსავლიდან გამოიქვითება ყველა ის ხარჯი, რომელიც დაკავშირებულია ამ შემოსავლის მიღებასთან. ამასთან, პირის დაურე-გისტრირებლობა ინდემწარმის სტატუსით არ ნიშნავს, რომ ის არ არის გადასახადის გადამხდელი, თუ ის ეწევა ეკონომიკურ საქმიანობას (საგადასახადო კოდექსი 34-ე-37-ე მუხლები). ფიზიკური პირის ეკონომიკური საქმიანობა შესაძლებელია როგორც საგადასახადო ორგანოში რეგისტრაციით (გადასახადის გადამხდელი ფიზიკური პირი, ინდემწარმე), ისე რეგისტრაციის გარეშე. ამდენად, სარეგისტრაციო სტატუსის უქონლობა ან მისი შეცვლა არ ართმევს ფიზიკურ პირს საგადასახადო კოდექსით დადგენილი უფლებებით სარგებლობის შესაძლებლობას, კერძოდ, შემოსავლიდან ამ შე-მოსავალთან დაკავშირებული ხარჯის გამოქვითვის, ანუ კონკრეტულ შემთხვევაში გამოყენებული მასალის ღირებულების გამოქვითვის უფლებას. ამასთან, გაურკვეველია, თუ რატომ მოხდა ი/მ "ზ. გ-მეზე" 3000 ლარის ჯარიმის დარიცხვა საგადასახადო კოდექსის 133-ე მუხლის მე-3 ნაწი-ლის საფუძველზე, რამდენადაც 133-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, ამ მუხლის მიზნებისათ-ვის შემოსავლებისა და ხარჯების, აგრეთვე, გადასახადებით დასაბეგრი სხვა ობიექტების აღრიც-ხვის წესის დარღვევად ითვლება პირველადი დოკუმენტების, სასაქონლო ზედნადებების (დღგ-ის საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურების), საბუღალტრო აღრიცხვის რეგისტრირების უქონლობა, ან დადგენილი წესის დარღვევით მათი წარმოება სათამაშო ბიზნესის გადასახადის გადახდის ნიშნის ან/და დალუქვის გარეშე შესაბამისი დაბეგვრითი ობიექტის არსებობა, აგრეთვე, ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშებზე და ანგარიშგებაში გადასახადის გადამხდელის სამეურნეო ოპერაციების, ფულადი სახსრების, მატერიალური ფასეულობების, არამატერიალური აქტივებისა და ფინანსური



დაბანდებების სისტემატურად (კალენდარული წლის განმავლობაში ორჯერ და მეტჯერ) არადროულად ან არასწორად ასახვა. აღრიცხვის რომელიმე წესის დარღვევა სადავო აქტებში მითითებული არ არის და არც საქმის მასალებით დასტურდება. ამდენად, სადავო აქტები დაუსაბუთებელი და უსაფუძვლოა.

საქალაქო სასამართლოს სხდომაზე მოწინააღმდეგე მხარის თბილისის რეგიონალური ცენტრის წარმომადგენელმა არ ცნო ი/მ "ზ. გ-ძის" სარჩელი და მოითხოვა მის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 16 ივლისის გადაწყვეტილებით ი/მ "ზ. გ-ძის" სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; სადავო საკითხის გადაწყვეტლად, ბათილად იქნა ცნობილი საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის თბილისის საგადასახადო ინსპექციის 2006 წლის 20 დეკემბრის ბრძანება და 2006 წლის 26 დეკემბრის საგადასახადო მოთხოვნა და მოპაუხეს დაევალა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებათა გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა გადაწყვეტილების ძალაში შესვლიდან 1 თვის ვადაში, რაც საქალაქო სასამართლომ დაასაბუთა შემდეგნაირად:

საქალაქო სასამართლომ დადგინილად მიიჩნია შემდეგი ფაქტები:

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგადასახადო დეპარტამენტის მსხვილ გამამხდელთა საგადასახადო ინსპექციის 22.08.2006 წლის #11/2923 წერილისა და ქ.თბილისის საგადასახადო ინსპექციის გამამხდელთა ადმინისტრირების სამმართველოს განყოფილების უფროსის მოადგილის 31.08.2006 წლის #02-4737 მოხსენებითი ბარათისა და ქ.თბილისის საგადასახადო ინსპექციის უფროსის 06.09.2006 წლის #მ/211 ბრძანების საფუძველზე ფიზიკურ პირს ზ. გ-ძისაგან გამოთხოვილ იქნა შემოსავლებისა და გამოქვითვების ამსახველი საბუღალტრო დოკუმენტაცია, ხოლო 09.11.2006 წლის #03/კ/754 ბრძანებით დადგინდა ინდ/საწარმო ზ. გ-ძის მიერ 2004 წლის 1 იანვრიდან 2006 წლის 1 ნოემბრამდე პერიოდის ბიუჯეტთან ანგარიშსწორების საკითხების კამერალური შემოწმების ჩატარება. აღნიშნული შემოწმების თაობაზე შედგენილი აქტის თანახმად, ინდ. მეწარმე ზ. გ-ძე ისანი-სამგორის საგადასახადო ინსპექციის მიერ რეგისტრირებულია 2004 წლის 17 აგვისტოს, მინიჭებული აქვს საიდენტიფიკაციო კოდი 106155776, რა დრომდეც იგი ფუნქციონირებდა აღრიცხვის გარეშე. ამავე შემოწმებისას დადგინდა, რომ ი/მ ზ. გ-ძის მიერ 2004 წელს განხორციელდა 2676,51 ლარის იმპორტი, 2006 წელს 6957,04 ლარის და 17200 ლარის საქონლის იმპორტი. 2005 წელს ზ. გ-ძის შემოსავალმა შეადგინა 43000 ლარი, რომელიც დასტურდებოდა შპს "... " მიერ 2006 წლის 20 სექტემბერს გაცემული ცნობით, ამავე პერიოდში გამოქვითვებს შეადგენდა 785.85 ლარი 2004 წლის 31 აგვისტოს #ც 34352 საბაჟო დეკლარაციის შესაბამისად და გამოქვითვების გარეშე - 42214.15 ლარი. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგადასახადო დეპარტამენტის ქ.თბილისის საგადასახადო ინსპექციის 20.12.2006 წლის #ზ/766 ბრძანების თანახმად, ი/მ ზ. გ-ძეს ბიუჯეტთან ანგარიშსწორების საკითხების შემოწმების შედეგად დაერიცხა შემოსავლების გადასახადი - 6585.42 ლარი, სოციალური გადასახადი - 13719.61 ლარი, ჯარიმა -3000 ლარი, 2006 წლის სოციალური გადასახადი - 8443,83 ლარი, საშემოსავლო გადასახადი - 4052,56 ლარი. ამავე ბრძანების საფუძველზე 26.12.2006 წელს გაიცა #2695 საგადასახადო მოთხოვნა 23305,03 ლარის დარიცხვის თაობაზე. საქმეში წარმოდგენილი 10.04.2003 წლის მომსახურების ხელშეკრულებით, რომელიც გაფორმდა შპს "... " და ზ. გ-ძეს შორის, დადგინდა, რომ სამუშაოების დასრულების ვადა განისაზღვრა ავანსის მიცემის დღიდან, ხოლო ანგარიშსწორების ფორმა ნაღდი ანგარიშსწორებით, ეტაპობრივად. დამკვეთის - შპს "... " 06.09.2006 წლის #130 ცნობით ზ. გ-ძის მიერ სამუშაოების ჩაბარების დროდ დადგინდა 2005 წლის იანვარი, აღნიშნული ცნობა გაიცა, ვინაიდან შპს "... " სამეწარმეო შემოწმებისას მიღებული შესრულებული სამუშაოების მიღება-ჩაბარების აქტს არ გააჩნდა თარიღი და შეუძლებელი იყო რეალურად სამუშაოს შესრულების ვადის დადგენა. ამასთან, საქმეში წარმოდგენილი შპს საქართველოს სამხედრო გზის სალაროს გასავლის #158, 168, 168 ორდერებით დგინდება, რომ მოსარჩელე ზ. გ-ძე, ხელშეკრულების თანახმად, პერიოდულად ღებულობდა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანაზღაურების თანხებს 2004 წლის ბოლოსა და 2005 წლის იანვრამდე.

საქალაქო სასამართლომ გამოიყენა საგადასახადო კოდექსის 204-ე მუხლი და განმარტა, რომ გადასახდელის გამამხდელის მიერ შემოსავლების მიღების უფლება მოპოვებულად ითვლება, თუ შესაბამისი თანხა ექვემდებარება გადასახადის გამამხდელისათვის გადახდას, ან თუ მან შეასრულა გარიგებით (ხელშეკრულებით) გათვალისწინებული ყველა ვალდებულება. ამავე კოდექსის 112-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, კამერალური საგადასახადო შემოწმება გადასახადის გამამხდელის მიერ წარდგენილი ფინანსური ანგარიშგების, საგადასახადო დეკლარაციების, ცნობების, დასკვნების, გაანგარიშებების, საგადასახადო ორგანოში არსებული სხვა დოკუმენტებისა და მონაცემების, აგრეთვე, გადასახადის გამამხდელისაგან მიღებული ახსნა-განმარტებებისა და სააღრიც-

ხვო დოკუმენტაციის ანალიზის საფუძველზე გადასახადის გადამხდელის მიერ საგადასახადო ვალდებულებათა შესრულების შესაბამისობას ამ კოდექსით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან. საქალაქო სასამართლოს დასკვნით, მიუხედავად იმისა, რომ შემმოწმებელმა შპს "... 06.092006 წლის #130 ცნობის თანახმად, ზ. გ-ძის მიერ სამუშაოების ჩაბარების დროდ მიიჩნია 2005 წლის იანვარი. იგი ვალდებული იყო, საგადასახადო ვალდებულების წარმოშობის დროის ზუსტად განსაზღვრისათვის დამატებით გამოეთხოვა შესამოწმებელი პირისაგან დოკუმენტაცია, მიეღო მისგან ახსნა-განმარტება და დაედგინა დარიცხვის განხორციელებისათვის აუცილებელი გარემოებები, ხომ არ იყო წარმოშობილი გადახდის ვალდებულება 2004 წლამდე პერიოდში, საქმეში არსებული მასალებით დგინდებოდა, რომ ი/მ ზ. გ-მე 2004 წლიდან ახორციელებდა იმპორტ-ექსპორტს, რის თაობაზე წარდგენილი ჰქონდა სხვადასხვა სახის დეკლარაციები. ამდენად, სადავო აქტის გამოცემისას არ იქნა შესწავლილი, აღნიშნული გადასახადების გადახდის ვალდებულება ზ. გ-მეს ეკისრება ინდივიდუალურ მეწარმედ საქმიანობის თუ ფიზიკურ პირად სამეწარმეო საქმიანობის განხორციელებისას წარმოშობილი საგადასახადო ურთიერთობისას.

საქალაქო სასამართლოს დასკვნით, მოპასუხემ ადმინისტრაციული აქტის გამოცემისას არ უხელმძღვანელია კანონმდებლობის მოთხოვნათა გათვალისწინებით, კერძოდ, ზ. გ-მეს არ მიეცა საშუალება, განეხორციელებინა ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით და საგადასახადო კოდექსით მისთვის მინიჭებული უფლება და ახსნა-განმარტებებით თუ დამატებითი დოკუმენტაციის წარმოდგენით ემტკიცებინა მის მიერ, როგორც ფიზიკური პირის და როგორც ინდემწარმის მიერ განხორციელებული ოპერაციებისა და მიღებული შემოსავლების გათვალისწინების აუცილებლობა, რასაც შესაძლებელია გავლენა მოეხდინა გადაწყვეტილების შინაარსზე. აღნიშნულიდან გამომდინარე, სარჩელი ნაწილობრივ ექვემდებარებოდა დაკმაყოფილებას.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა თბილისის რეგიონალურმა ცენტრმა, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა, შემდეგი მოტივით:

აპელანტის განმარტებით, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, კერძოდ, საქართველოს საგადასახადო კოდექსის 112-ე მუხლი. საგადასახადო ინსპექციამ მეწარმესთან შემოწმება ჩაატარა მოქმედი საგადასახადო კოდექსის 112-ე მუხლის შესაბამისად და ამ მუხლის მოთხოვნათა სრული დაცვით. აღნიშნულს მოწმობს სასამართლოსათვის წარდგენილი ადმინისტრაციული წარმოების მასალები. საგადასახადო ინსპექციამ კამერალური საგადასახადო შემოწმების შედეგებზე 112-ე მუხლის მე-5 და მე-6 ნაწილების შესაბამისად შეადგინა აქტი და მისცა, კანონმდებლობით დადგენილი, შემდგომი მსვლელობა. საგადასახადო კოდექსის 99.1. მუხლის შესაბამისად, "საგადასახადო ორგანო უფლებამოსილია, გადასახადის გადამხდელის /საგადასახადო აგენტის ან სხვა ვალდებული პირის საქმიანობაზე განახორციელოს საგადასახადო კონტროლი მხოლოდ ამ კოდექსით დადგენილი წესით.

აპელანტის განმარტებით, სასამართლომ არ გამოიყენა "ამნისტიისა და არადეკლარირებული საგადასახადო ვალდებულებებისა და ქონების ლეგალიზაციის შესახებ" კანონი; რევიზიის ჩატარებისას, საგადასახადო ინსპექციამ გამოითხოვა გადამხდელისაგან ინფორმაცია და რევიზიის აქტი შეადგინა იმ "ზ. გ-ძის" მიერ წარმოდგენილი საბუღალტრო საბუთებისა და იმ მონაცემებზე დაყრდნობით, რომელიც არსებობს მონაცემთა კომპიუტერულ ბაზაში და შეეხება 2004 წლის 1 იანვრის შემდგომ პერიოდს, ე.ი. ამნისტირებული პერიოდი საგადასახადო ინსპექციას არ განუხილავს "ამნისტიისა და არადეკლარირებული საგადასახადო ვალდებულებებისა და ქონების ლეგალიზაციის შესახებ" კანონის ძალაში შესვლის თარიღისათვის, ი/მ "ზ. გ-ძის" ვალდებულებები სახელმწიფო ბიუჯეტის წინაშე რევიზიის აქტში დაფიქსირებული არ არის. გადამხდელს დაერიცხა თანხა 2004 წლის 1 იანვრის შემდგომ პერიოდზე: მისი ვალი საგადასახადო ინსპექციის მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესითაა დარიცხული. საგადასახადო ინსპექციამ მხედველობაში არ მიიღო გადამხდელის მიერ ამნისტირებულ პერიოდში როგორც მიღებული შემოსავალი ისე გაწეული ხარჯი, რადგან ზემოაღნიშნული კანონის მე-4 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, "ამნისტიისა და არადეკლარირებული საგადასახადო ვალდებულებებისა და ქონების ლეგალიზაციის შესახებ" კანონის ამოქმედებისთანავე შესრულებულად ჩაითვალა საქართველოს რეზიდენტი და არარეზიდენტი ფიზიკური და იურიდიული პირების მიერ 2004 წლის 1 იანვრამდე წარმოშობილი და შეუსრულებელი საგადასახადო და საბაჟო ვალდებულებები და არ განხორციელდა მათ მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა, ადმინისტრაციული ან კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა სახის სამართალწარმოება. იმავე კანონის მე-4 მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად კი მაკონტროლებელ ორგანოებს - ეკრძალებათ ამ მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებით განსაზღვრულ საგადასახადებთან დაკავშირებით ნებისმიერი ფორმით რევიზიის (კონტროლი, შესწავლა, გადამოწმება) განხორციელება.

ამდენად, აპელანტის მოსაზრებით, იმ "ზ. გ-მის" მიმართ "ამნისტიისა და არადეკლარირებული საგადასახადო ვალდებულებებისა და ქონების ლეგალიზაციის შესახებ" კანონის ყველა მოთხოვნა დაცულია და შესაბამისად, საგადასახადო ინსპექციის მიერ დაცული საგადასახადო კანონმდებლობა, კერძოდ, საგადასახადო კოდექსის 199-ე მუხლი ზუსტად განსაზღვრავს შემოსავლებისა და ხარჯების აღრიცხვის პრინციპებს. საგადასახადო ინსპექციამ რევიზიის აქტში თანხა დაარიცხა კოდექსის 203-ე, 204-ე, 205-ე მუხლების შესაბამისად განსაზღვრული შემოსავლებისა და ხარჯების აღრიცხვის დარიცხვის მეთოდის შესაბამისად.

სააპელაციო სასამართლოს სხდომაზე მოწინააღმდეგე მხარის ი/მ "ზ. გ-მის" წარმომადგენელმა არ ცნო თბილისის რეგიონალური ცენტრის სააპელაციო საჩივარი, მოითხოვა მის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა და საქალაქო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილების უცვლელად დატოვება.

სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 13 მაისის განჩინებით თბილისის რეგიონალური ცენტრის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, შესაბამისად, უცვლელად დარჩა საქალაქო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება, რაც სააპელაციო სასამართლომ დაასაბუთა შემდეგნაირად:

სააპელაციო სასამართლო სრულად დაეთანხმა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებით დადგენილად მიჩნეულ საქმის ფაქტობრივ გარემოებებსა და სამართლებრივ შეფასებას და განმარტა, რომ მათი გამაბათილებელი არგუმენტები აპელანტს არ წარმოუდგენია. შესაბამისად, საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება, როგორც არსებითად სწორი, ექვემდებარებოდა უცვლელად დატოვებას.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა თბილისის რეგიონალურმა ცენტრმა, რომელმაც მოითხოვა სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და საკასაციო სასამართლოს მიერ ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

#### **კასაციის მოტივი:**

კასატორის განმარტებით, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, კერძოდ, საქართველოს საგადასახადო კოდექსის 112-ე მუხლი. საგადასახადო ინსპექციამ მეწარმესთან შემოწმება ჩაატარა მოქმედი საგადასახადო კოდექსის 112-ე მუხლის შესაბამისად და ამ მუხლის მოთხოვნათა სრული დაცვით. აღნიშნულს მოწმობს სასამართლოსათვის წარდგენილი ადმინისტრაციული წარმოების მასალები. საგადასახადო ინსპექციამ კამერალური საგადასახადო შემოწმების შედეგებზე 112-ე მუხლის მე-5 და მე-6 ნაწილების შესაბამისად შეადგინა აქტი და მისცა, კანონმდებლობით დადგენილი, შემდგომი მსვლელობა. საგადასახადო კოდექსის 99.1. მუხლის შესაბამისად, საგადასახადო ორგანო უფლებამოსილია, გადასახადის გადამხდელის /საგადასახადო აგენტის ან სხვა ვალდებული პირის საქმიანობაზე განახორციელოს საგადასახადო კონტროლი მხოლოდ ამ კოდექსით დადგენილი წესით.

კასატორის განმარტებით, სასამართლომ არ გამოიყენა "ამნისტიისა და არადეკლარირებული საგადასახადო ვალდებულებებისა და ქონების ლეგალიზაციის შესახებ" კანონი; რევიზიის ჩატარებისას საგადასახადო ინსპექციამ გამოითხოვა გადამხდელისაგან ინფორმაცია და რევიზიის აქტი შეადგინა იმ "ზ. გ-მის" მიერ წარმოდგენილი საბუღალტრო საბუთებისა და იმ მონაცემებზე დაყრდნობით, რომელიც არსებობს მონაცემთა კომპიუტერულ ბაზაში და შეეხება 2004 წლის 1 იანვრის შემდგომ პერიოდს, ე.ი. ამნისტირებული პერიოდი საგადასახადო ინსპექციას არ განუხილავს "ამნისტიისა და არადეკლარირებული საგადასახადო ვალდებულებებისა და ქონების ლეგალიზაციის შესახებ" კანონის ძალაში შესვლის თარიღისათვის, ი/მ "ზ. გ-მის" ვალდებულებები სახელმწიფო ბიუჯეტის წინაშე რევიზიის აქტში დაფიქსირებული არ არის. გადამხდელს დაერიცხა თანხა 2004 წლის 1 იანვრის შემდგომ პერიოდზე: მისი ვალი საგადასახადო ინსპექციის მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესითაა დარიცხული. საგადასახადო ინსპექციამ მხედველობაში არ მიიღო გადამხდელის მიერ ამნისტირებულ პერიოდში როგორც მიღებული შემოსავალი, ისე გაწეული ხარჯი, რადგან ზემოაღნიშნული კანონის მე-4 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, "ამნისტიისა და არადეკლარირებული საგადასახადო ვალდებულებებისა და ქონების ლეგალიზაციის შესახებ" კანონის ამოქმედებისთანავე შესრულებულად ჩაითვალა საქართველოს რეზიდენტი და არარეზიდენტი ფიზიკური და იურიდიული პირების მიერ 2004 წლის 1 იანვრამდე წარმოშობილი და შეუსრულებელი საგადასახადო და საბაჟო ვალდებულებები და არ განხორციელდა მათ მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა, ადმინისტრაციული ან კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა სახის სამართალწარმოება. იმავე კანონის მე-4 მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად კი მაკონტროლებელ ორგანოებს - ეკრძალებათ ამ მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებით განსაზღვრულ გადასახადებთან დაკავშირებით ნებისმიერი ფორმით რევიზიის (კონტროლი, შესწავლა, გადამოწმება) განხორციელება.

ამდენად, კასატორის მოსაზრებით, იმ "ზ. გ-მის" მიმართ "ამნისტიისა და არადეკლარირებული საგადასახადო ვალდებულებებისა და ქონების ლეგალიზაციის შესახებ" კანონის ყველა მოთ-

ხოვნა დაცულია და შესაბამისად, საგადასახადო ინსპექციის მიერ დაცულია საგადასახადო კანონ-მდებლობა, კერძოდ, საგადასახადო კოდექსის 199-ე მუხლი ზუსტად განსაზღვრავს შემოსავლებისა და ხარჯების აღრიცხვის პრინციპებს. საგადასახადო ინსპექციამ რევიზიის აქტში თანხა დაარიცხა კოდექსის 203-ე, 204-ე, 205-ე მუხლების შესაბამისად განსაზღვრული შემოსავლებისა და ხარჯების აღრიცხვის დარიცხვის მეთოდის შესაბამისად.

საკასაციო სასამართლოში წარმოდგენილ მოსაზრებაში მოწინააღმდეგე მხარის ი/მ "ზ. გ-მის" წარმომადგენელმა მიუთითა, რომ საკასაციო საჩივარი არ ექვემდებარებოდა დასაშვებად ცნობას, შესაბამისად, მოითხოვა მის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა და სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინების უცვლელად დატოვება.

საკასაციო სასამართლოს 2009 წლის 11 მაისის განჩინებით თბილისის რეგიონალური ცენტრის საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დასაშვებად ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34.3. "გ" პუნქტის საფუძველზე /პროცესუალური კასაცია/.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, საკასაციო საჩივრის მოტივების საფუძველია-ნობისა და გასაჩივრებული განჩინების დასაბუთებულობა-კანონიერების შემოწმების შედეგად მივი-და იმ დასკვნამდე, რომ თბილისის რეგიონალური ცენტრის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, შესაბამისად გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 13 მაისის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს, შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო სასამართლოს მიერ გასაჩივრებული განჩინების გამოტანისას დაირღვა მატერიალური და საპროცესო სამართლის ნორმები, კერძოდ, სსსკ-ის 393.2, 394 "ე" მუხლების მოთხოვნები. სააპელაციო სასამართლომ არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, არასწორად გან-მარტა კანონი, სწორი შეფასება არ მისცა საქმის მასალებს, განჩინება იურიდიული თვალსაზრისით დაუსაბუთებელია. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმე განხილულ და გადაწყვეტილ იქნა საპროცესო ნორმებით დადგენილი მოთხოვნების უგულვებლყოფით, სასამართლო აქტი საერთოდ არ შეიცავს მსჯელობას სააპელაციო საჩივრის მოტივებზე, არ არის გაქარწყლებული აპელანტის მოსაზრებები, ისე არის მიჩნეული დაუსაბუთებლად და კანონშე-უსაბამოდ.

სსსკ-ის 390-ე მუხლის მე-3 ნაწილის "გ" ქვეპუნქტის მიხედვით: სააპელაციო სასამართლოს განჩინება, რომლითაც უცვლელად რჩება გასაჩივრებული გადაწყვეტილება და თუ სააპელაციო სა-სამართლო ეთანხმება პირველი ინსტანციის სასამართლოს შეფასებებსა და დასკვნებს საქმის ფაქ-ტობრივ ან/და სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით, მაშინ დასაბუთება იცვლება მასზე მი-თითებით.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სააპელაციო სასამართლოს პროცესუალური უფლებამო-სილება, განჩინებაში გადმოსცეს მოკლე დასაბუთება, არც ერთ შემთხვევაში არ უნდა იქნეს გაგე-ბული იმგვარად, რომ სააპელაციო სასამართლო მხოლოდ ფორმალური თვალსაზრისით ახორციე-ლებს მართლმსაჯულებას. მითითებული ნორმით დადგენილი პროცესუალური უფლებამოსილების გამოყენება არ უნდა მოვიდეს წინააღმდეგობაში ამავე კოდექსის 377.1 მუხლით განსაზღვრულ სა-აპელაციო სასამართლოს იურისდიქციასა და კომპეტენციასთან, ვინაიდან სააპელაციო ინსტანციაში მართლმსაჯულების განხორციელების არსი მდგომარეობს სწორედ გასაჩივრებული გადაწყვეტილების ფაქტობრივი და სამართლებრივი თვალსაზრისით სააპელაციო საჩივრის ფარგლებში შემოწმების ვალდებულების დადგენით. გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერების და დასაბუთებულო-ბის შემოწმების ვალდებულება პროცესუალურ-სამართლებრივი დოქტრინის მიხედვით უცილობლად გულისხმობს და მოიაზრებს სააპელაციო საჩივრის მოტივების საფუძვლიანობის შეფასებას.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სამოქალაქო სამართალწარმოება, რომელიც აგებულია მხარეთა დისპოზიციურობის და შეჯიბრებითობის პრინციპებზე, სააპელაციო და საკასაციო საჩი-ვარს აკუთვნებს მხარის უფლების დაცვის სამართლებრივ საშუალებებს, ამასთან, სწორედ მხარის ამ საპროცესო უფლების რეალიზაცია თანაზომიერია მხარისავე საპროცესო ვალდებულებასთან - დასაბუთოს საჩივარი, კერძოდ, სსსკ-ის 368-ე მუხლის პირველი ნაწილის "ე" და "ვ" ქვეპუნ-ქტებში მითითებულია, თუ რა უნდა იყოს ასახული სააპელაციო საჩივრის შინაარსში. მხარის ამ-გვარი პროცესუალური ვალდებულება შეიცავს მხარის საპროცესო უფლებრივ გარანტიას, ზემდგომ-მა სასამართლომ შეაფასოს მისი საჩივრის მოტივების საფუძვლიანობა, გაიზიაროს ან უარყოს, გაა-ქარწყლოს ისინი იურიდიულად არგუმენტირებული სახით.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სსსკ-ის 390-ე მუხლის მე-3 ნაწილის "გ" ქვეპუნ-ქტით განსაზღვრული უფლებამოსილების გამოყენება ზემომითითებული საპროცესო ნორმების ობი-ექტური შინაარსის კონტექსტის გათვალისწინების გარეშე, სააპელაციო სამართალწარმოებას გახდის

ზედაპირულს და განაპირობებს მის უკიდურესად ფორმალისტურ ხასიათს, რაც წინააღმდეგობაში მოდის სააპელაციო სამართალწარმოების არსსა და მართლმსაჯულების პრინციპებთან.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ საპროცესო ნორმა შეუძლებელია გამოყენებულ იქნეს მხარის პროცესუალური უფლების შეზღუდვის თვალსაზრისით. ასეთ შემთხვევაში სასამართლოს პროცესუალური უფლებამოსილება უნდა შეიზღუდოს, რათა არ მოხდეს მხარის საპროცესო უფლების იგნორირება, უკიდურეს შემთხვევაში სააპელაციო სასამართლოს მიერ კანონით გათვალისწინებული საპროცესო ზედამხედველობა განუხორციელებელი დარჩება.

საკასაციო სასამართლო საგადასახადო კოდექსის 204-ე მუხლის საფუძველზე განმარტავს, რომ გადასახდელის გადამხდელის მიერ შემოსავლების მიღების უფლება მოპოვებულად ითვლება, თუ შესაბამისი თანხა ექვემდებარება გადასახადის გადამხდელისათვის გადახდას, ან თუ მან შეასრულა გარიგებით (ხელშეკრულებით) გათვალისწინებული ყველა ვალდებულება. ამვე კოდექსის 112.1 მუხლის თანახმად, კამერალური საგადასახადო შემოწმება გადასახადის გადამხდელის მიერ წარდგენილი ფინანსური ანგარიშგების, საგადასახადო დეკლარაციების, ცნობების, დასკვნების, გაანგარიშებების, საგადასახადო ორგანოში არსებული სხვა დოკუმენტებისა და მონაცემების, აგრეთვე, გადასახადის გადამხდელისგან მიღებული ახსნა-განმარტებებისა და სააღრიცხვო დოკუმენტაციის ანალიზის საფუძველზე გადასახადის გადამხდელის მიერ საგადასახადო ვალდებულებათა შესრულების შესაბამისობას ამ კოდექსით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ საქმის ხელახლა განხილვისას სსსკ-ის 105-ე მუხლის საფუძველზე სარწმუნოდ უნდა დაადგინოს საქმის ფაქტობრივი გარემოებები, მისცეს მათ სამართლებრივი შეფასება და გამოიტანოს დასკვნა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობის ან არარსებობის შესახებ, მოცემულ შემთხვევაში კი სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვისას საქმის ფაქტობრივი გარემოება დადგენილ იქნა არასრულყოფილად, შესაბამისად, არსებობს სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვისას მითითებული ნორმით დადგენილი პირობების დარღვევულად მიჩნევის პროცესუალური საფუძველები.

საქმის მასალების თანახმად, შემმოწმებელმა საგადასახადო ორგანომ, შპს "... " 06.092006 წლის #130 ცნობის თანახმად, ზ. გ-მის მიერ სამუშაოების ჩაბარების დროდ მიიჩნია 2005 წლის იანვარი. სააპელაციო სასამართლომ საქმის ხელახალი განხილვისას უნდა მოიპოვოს მტკიცებულებები და სარწმუნოდ დაადგინოს საქმის ფაქტობრივი გარემოებები, რის საფუძველზეც უნდა გამოიტანოს დასკვნა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოების არსებობის ან არარსებობის შესახებ, კერძოდ, ვალდებული იყო თუ არა საგადასახადო ორგანო, საგადასახადო ვალდებულების წარმოშობის დროის ზუსტად განსაზღვრისათვის დამატებით გამოეთხოვა შესამოწმებელი პირისაგან დოკუმენტაცია, მიეღო მისგან ახსნა-განმარტება და დაედგინა დარიცხვის განხორციელებისათვის აუცილებელი გარემოებები, იყო თუ არა წარმოშობილი გადახდის ვალდებულება 2004 წლამდე პერიოდში, რამდენადაც საქმის მასალების თანახმად, ი/მ ზ. გ-მე 2004 წლიდან ახორციელებდა იმპორტ-ექსპორტს, რის თაობაზე წარდგენილი ჰქონდა დეკლარაციები, ანუ სააპელაციო სასამართლომ საქმის ხელახალი განხილვისას უნდა იმსჯელოს სააპელაციო საჩივარში ჩამოყალიბებულ სააპელაციო საჩივრის ძირითად მოტივებზე და შესაბამისად სამართლებრივი შეფასება მოახდინოს მტკიცებულებათა ობიექტური შეფასების გზით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სსსკ-ის 412.2 მუხლის შესაბამისად, სახეზეა გასაჩივრებული განჩინების გაუქმების პროცესუალური და სამართლებრივი საფუძველები, რის გამოც სსსკ-ის 411-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლოს მიერ ახალი გადაწყვეტილების მიღება შეუძლებელია. შესაბამისად, სასამართლომ საქმის ხელახლა განხილვისას ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-4 და მე-19 მუხლებით მინიჭებული უფლებამოსილების გამოყენებით, კანონიერი და ობიექტური გადაწყვეტილების დადგენის მიზნით, სრულყოფილად უნდა გამოიკვლიოს ზემოთითხებულ გარემოებები და დავა გადაწყვიტოს მოქმედი საპროცესო და მატერიალური სამართლის კანონმდებლობის შესაბამისად.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სსსკ-ის 53.4 მუხლის შესაბამისად, სასამართლო ხარჯები უნდა გადაიწილდეს საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების დადგენისას.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1.2, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე, 257-ე, 372-ე, 399-ე, 408.3, 412-ე მუხლებით და

#### **და ა ა დ გ ი ნ ა:**

1. თბილისის რეგიონალური ცენტრის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;

2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 13 მაისის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;
3. სასამართლო ხარჯები გადანაწილდეს საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების დადგენისას;
4. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## მტკიცების ტვირთი საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დროს

### განჩინება

#ბს-156-151(23-09)

24 სექტემბერი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ნ. ქადაგიძე,  
პ. სილაგაძე

**სარჩელის საგანი:** ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობა, საკუთრების უფლების აღდგენა

#### აღწერილობითი ნაწილი:

2007 წლის 27 აპრილს მ. ბ-მემ სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხე ქ. თბილისის მთავრობის მიმართ.

სასარჩელო განცხადებაში აღნიშნული იყო, რომ 2006 წლის 13 დეკემბერს ქ. თბილისის მთავრობამ გამოსცა #03.30.98 დადგენილება, რომლის საფუძველზეც ბათილად იქნა ცნობილი ქ. თბილისის მთავრობის 2002 წლის 4 აპრილის #06.27.121 დადგენილება, რის შედეგადაც მოსარჩელეს ჩამოერთვა მის საკუთრებაში არსებული ქ. თბილისში, ... ქ. #5-ბ-ში მდებარე ოროთახიანი 41,2 კვ.მ-ის ბინა. 2006 წლის 26 დეკემბერს ქ. თბილისის მთავრობის მიერ მიღებულ იქნა ახალი #04.29.159 დადგენილება, რომლის საფუძველზეც დაუყოვნებლივ უნდა აღსრულებულიყო ქ. თბილისის მთავრობის 2006 წლის 13 დეკემბრის დადგენილება. მოსარჩელემ ქ. თბილისის მთავრობის 2006 წლის 13 დეკემბრის #03.30.98 და 2006 წლის 26 დეკემბრის #04.29.159 დადგენილებები უკანონოდ მიიჩნია და სასარჩელო განცხადებით მიმართა ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, რომლითაც ზემოხსენებული დადგენილებების ბათილად ცნობა მოითხოვა.

მოსარჩელის განმარტებით, თბილისის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 29 მარტის სხდომის წინ მისთვის ცნობილი გახდა "ქ. თბილისის მთავრობის რიგი დადგენილებების ბათილად ცნობის თაობაზე" ქ. თბილისის მთავრობის 2007 წლის 14 თებერვლის #04.07.126 დადგენილების შესახებ. ხსენებული დადგენილებით ბათილად იქნა ცნობილი ქ. თბილისის მთავრობის 2006 წლის 13 დეკემბრის #03.30.98 და 2006 წლის 26 დეკემბრის #04.29.159 დადგენილებები.

მოსარჩელემ აღნიშნა, რომ ქ. თბილისის მთავრობის 2007 წლის 14 თებერვლის #04.07.126 დადგენილება 2007 წლის 19 მარტიდან იყო ძალაში შესული, რაც გახდა მ. ბ-მის სარჩელის გამოხმობის საფუძველი. 2007 წლის 25 აპრილს მოსარჩელისათვის ცნობილი გახდა, რომ მას ქ. თბილისის მთავრობის 2007 წლის 30 მარტის #07.01.205 დადგენილების საფუძველზე, კვლავ ჩამოერთვა კერძო საკუთრება. ამასთან, ხსენებულ დადგენილებას წინ უსწრებდა "ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე" ქ. თბილისის მთავრობის 2007 წლის 14 თებერვლის #04.06.125 დადგენილება და "ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე" ქ. თბილისის მთავრობის 2007 წლის 14 თებერვლის #04.06.125 დადგენილებაში დაშვებული შეცდომების გასწორების შესახებ" 2007 წლის 7 მარტის #06.19.186 დადგენილება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელემ ქ. თბილისის მთავრობის 2002 წლის 4 აპრილის #06.27.121 დადგენილების ბათილად ცნობის თაობაზე ქ. თბილისის მთავრობის 2007 წლის 14 თებერვლის #04.06.125 და 2007 წლის 30 მარტის #07.01.205 დადგენილებების ბათილად და ქ. თბილისში, ... ქ. #5-ში მშენებარე "ბ" კორპუსში, მეორე სადარბაზოს I სართულზე მდებარე #25 ბინაზე საკუთრების უფლების აღდგენა მოითხოვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 27 დეკემბრის გადაწყვეტილებით მ. ბ-მის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა - საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, არსებითი დავის გადაწყვეტლად ბათილად იქნა ცნობილი ქ. თბილისის მთავრობის 2002 წლის 4 აპრილის #06.27.121 დადგენილების ბათილად ცნობის თაობაზე ქ. თბილისის მთავრობის 2007 წლის 14 თებერვლის #04.06.125 დადგენილება - "ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე" და

ქ. თბილისის მთავრობის 2007 წლის 30 მარტის #07.01.205 დადგენილება მოსარჩელის ნაწილში და მოპასუხე ქ. თბილისის მთავრობას საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებებისა და ფაქტების გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა დაევალა გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა მ. ბ-მემ, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 27 დეკემბრის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ქ. თბილისის მთავრობამაც. აპელანტმა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 26 სექტემბრის განჩინებით მ. ბ-მისა და ქ. თბილისის მთავრობის სააპელაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდა - უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 27 დეკემბრის გადაწყვეტილება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 26 სექტემბრის განჩინება მ. ბ-მემ საკასაციო წესით გაასაჩივრა. კასატორმა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის სრულად დაკმაყოფილება მოითხოვა.

კასატორმა მ. ბ-მემ აღნიშნა, რომ ქ. თბილისის მთავრობამ 2006 წლის 13 და 26 დეკემბერს გამოსცა დადგენილებები (#03.30.98 და #04.29.159) და ჩამოერთვა ბინა. აღნიშნული აქტები გასაჩივრებულ იქნა მის მიერ და მათი ბათილობა მოითხოვა. მოპასუხემ 2007 წლის 29 მარტის სასამართლო სხდომაზე წარმოადგინა ახალი აქტი (2007 წლის 14 თებერვლის #04.07.126), რომლის ძალითაც თვითონვე გააუქმა თავის გამოცემული დადგენილებები, მაგრამ მეორე დღეს, 2007 წლის 30 მარტს, კანონის იგნორირებით კვლავ გამოსცა ახალი დადგენილება #07.01.205, რომლითაც ასევე ჩამოერთვა ბინა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 26 სექტემბრის განჩინება საკასაციო წესით ქ. თბილისის მერიამაც გაასაჩივრა. კასატორმა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

კასატორ ქ. თბილისის მერიის განმარტებით ქ. თბილისის მთავრობის 2007 წლის 30 მარტის #07.01.205 დადგენილებით, ბათილად იქნა ცნობილი ქ. თბილისის მთავრობის 2002 წლის 4 აპრილის #06.27.121 დადგენილება მ. ბ-მის ოჯახისათვის ქ. თბილისში, ... ქ. #5-ში ასაშენებელ "ბ" კორპუსში მე-2 სადარბაზოს პირველ სართულზე #25 ბინის დამაგრების თაობაზე. ბათილად ცნობილი აქტის მომზადების და გამოცემის დროს არსებითად იქნა დარღვეული საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 115-ე მუხლის მე-2 ნაწილისდ მოთხოვნები, არ ყოფილა დაცული ამავე კოდექსის მე-9 თავით გათვალისწინებული წესები და 53-ე მუხლის მე-3 ნაწილის იმპერატიული მოთხოვნა. შესაბამისად 2002 წლის 4 აპრილის #06.27.121 დადგენილება, როგორც კანონსაწინააღმდეგო, მართებულად იქნა ბათილად ცნობილი. გარდა ამისა, კასატორმა მიუთითა, რომ მ. ბ-მე არ გამოცხადდა ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილეობის მისაღებად და ამ მიზეზით არ მოხდა მისი მითითება ზეპირი მოსმენის ოქმში.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2009 წლის 4 თებერვლის განჩინებებით, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული მ. ბ-მისა და ქ. თბილისის მერიის საკასაციო საჩივრები; მხარეებს მიეცათ უფლება, 2009 წლის 4 თებერვლის განჩინებების ჩაბარებიდან 14 დღის ვადაში წარმოედგინათ მოსაზრება, თუ რამდენად იყო დასაშვები განსახილველად საკასაციო საჩივრები საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით; საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული დასაშვებობის შემოწმება განისაზღვრა 2009 წლის 16 აპრილამდე.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2009 წლის 16 აპრილის განჩინებით მ. ბ-მისა და ქ. თბილისის მერიის საკასაციო საჩივრები მიჩნეულ იქნა დასაშვებად და განსახილველად ჩანიშნულ იქნა მხარეთა დასწრებით 2009 წლის 11 ივნისს, 12.00 საათზე; მოწინააღმდეგე მხარეებს საკასაციო საჩივრებზე წერილობითი პასუხის გასაცემად მიეცათ 10 დღის ვადა 2009 წლის 16 აპრილის განჩინების ჩაბარებიდან.

### სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო ზეპირი მოსმენის გარეშე გაეცნო საქმის მასალებს, შეამოწმა გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობა, წარმოდგენილი საკასაციო საჩივრების საფუძვლიანობა და მიაჩნია, რომ საკასაციო საჩივრები არ უნდა დაკმაყოფილდეს.

საკასაციო სასამართლოს საქმის მასალებზე დაყრდნობით დადგენილად მიაჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები: ქ. თბილისის 2002 წლის 4 აპრილის დადგენილება #06.27.121-ით ... ქუჩის #5-ში ასაშენებელ "ბ" კორპუსში ბინა #25 დაუმაგრდა მ. ბ-მის ოჯახს. ქ. თბილისის მთავრობამ 2006 წლის 13 დეკემბრის #03.30.98 დადგენილებით საქართველოს გენერალური პროკურატურის 2006 წლის 24 ნოემბრის (#გ24.11.2006/71 / 12-312/247) წერილის, ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2006 წლის 21 ნოემბრის განაჩენის (საქმე 1/7126) საფუძველზე, ბათილად ცნო ქ. თბილისის მთავრობის 2002 წლის 4 აპრილის #06.27.121 დადგენილება, მისი ძალაში შესვლის დღიდან. ქ. თბილისის მთავრობის 2007 წლის 14 თებერვლის დადგენილებით კი ბათილად იქნა ცნობილი 2006 წლის 13 დეკემბრის #03.30.98 დადგენილება. 2007 წლის 14 თებერვლის დადგენილება #04.06.125-ით ქ. თბილისის მთავრობამ, დაიწყო საჯარო ადმინისტრაციული წარმოება 2002 წლის 4 აპრილის #06.27.121 დადგენილების კანონიერების დადგენის მიზნით. ქ. თბილისის მთავრობამ 2007 წლის 30 მარტის #07.01.205 დადგენილებით დაადგინა, რომ ქ. თბილისის მთავრობის 2007 წლის 14 თებერვლის #04.06.125 დადგენილების შესაბამისად, ქ. თბილისის მერიაში ჩატარებული საჯარო ადმინისტრაციული წარმოების შედეგად, რომლის მიზანს წარმოადგენდა ქ. თბილისის მთავრობის 2002 წლის 4 აპრილის #06.27.121 დადგენილების კანონიერების დადგენა, ქ. თბილისის მთავრობა მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ბათილად უნდა ყოფილიყო ცნობილი ქ. თბილისის მთავრობის 2002 წლის 4 აპრილის #06.27.121 დადგენილება.

ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის საფუძველს განსაზღვრავს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 60<sup>1</sup> მუხლის პირველი და მეორე ნაწილი. აღნიშნული ნორმის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ბათილია, თუ იგი ეწინააღმდეგება კანონს ან არსებითად დარღვეულია მისი მომზადების ან გამოცემის კანონმდებლობით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მომზადების ან გამოცემის წესის არსებით დარღვევად ჩაითვლება ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა ამ კოდექსის 32-ე ან 34-ე მუხლით გათვალისწინებული წესის დარღვევით ჩატარებულ სხდომაზე ან კანონით გათვალისწინებული ადმინისტრაციული წარმოების სახის დარღვევით, ანდა კანონის ისეთი დარღვევა, რომლის არარსებობის შემთხვევაში მოცემულ საკითხზე იქნებოდა სხვაგვარი გადაწყვეტილება.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 32-ე მუხლის თანახმად, თითოეული კოლეგიური საჯარო დაწესებულება ვალდებულია, ღიად და საჯაროდ წარმართოს თავისი სხდომები, გარდა ამ კოდექსის 28-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

ამავე კოდექსის 34-ე მუხლი განსაზღვრავს, რომ კოლეგიური საჯარო დაწესებულება ვალდებულია, ერთი კვირით ადრე საჯაროდ გამოაცხადოს მომავალი სხდომის, მისი ჩატარების ადგილის, დროის და დღის წესრიგის თაობაზე, ხოლო შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებისას - აგრეთვე მისი დახურვის შესახებაც, ხოლო გადაუდებელი აუცილებლობისას კოლეგიური საჯარო დაწესებულება უფლებამოსილია, ჩაატაროს სხდომა ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული წესების დაუცველად. ამ შემთხვევაში საჯარო დაწესებულება ვალდებულია, დაუყოვნებლივ გამოაცხადოს სხდომის ჩატარების ადგილის, დროისა და დღის წესრიგის თაობაზე, ხოლო შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებისას - მისი დახურვის შესახებ. კოლეგიური საჯარო დაწესებულების მიერ გადაუდებელი აუცილებლობისას სხდომის ჩატარების ან სხდომის დახურვის შემთხვევაში დაწესებულება ვალდებულია, გადაწყვეტილების მიღებიდან 3 დღის ვადაში განმარტოს სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრების წესი. სარჩელი გადაუდებელი აუცილებლობისას ჩატარებული სხდომის, ასევე, სხდომის დახურვის კანონიერების შესახებ სასამართლოს უნდა წარუდგინოს კოლეგიური საჯარო დაწესებულების სხდომის ჩატარებიდან ერთი თვის ვადაში. კოლეგიური საჯარო დაწესებულების სხდომის კანონით დადგენილი წესით დარღვევის ჩატარება იწვევს ამ სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილების ბათილად გამოცხადებას სასამართლოს მიერ.

ამავე კოდექსის მე-9 მუხლი ეხება საჯარო ადმინისტრაციულ წარმოებას, კერძოდ, 115-ე მუხლის შესაბამისად, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ამ თავით დადგენილი წესის შესაბამისად გამოიცემა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს პირდაპირ არის გათვალისწინებული კანონით. ასევე, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილებით, ამ თავით დადგენილი წესით, შეიძლება გამოიცეს იმ შემთხვევაშიც, თუ იგი ეხება პირთა ფართო წრის ინტერესებს.



საჯარო ადმინისტრაციული წარმოება მიმდინარეობს ამ კოდექსის VI თავით დადგენილი წესის შესაბამისად, ამ თავის დებულებების გათვალისწინებით, თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი.

ამავე კოდექსის 118-ე მუხლის შესაბამისად, ყველას აქვს უფლება, წარადგინოს თავისი წერილობითი მოსაზრება 20 დღის განმავლობაში ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის შესახებ განცხადების ან ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის პროექტის საჯარო გაცნობისათვის წარდგენის დღემდე.

თუ კანონით ან მის საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე აქტით სხვა ვადა არ არის დადგენილი, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია, გამოცხადების რეგისტრაციიდან ერთი თვის განმავლობაში მოამზადოს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის პროექტი. საჯარო ადმინისტრაციული წარმოებისას უნდა გაიმართოს ზეპირი მოსმენა, რომლის დროსაც გამოიყენება ამ კოდექსის 110-ე-112-ე მუხლების დებულებები. ადმინისტრაციული ორგანო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს გამოსცემს ზეპირი მოსმენის გამართვიდან 10 დღის ვადაში.

როგორც სამოქალაქო, ასევე ადმინისტრაციულ წარმოებაში მხარეები სარგებლობენ თაბანარი საპროცესო უფლებებითა და შესაძლებლობებით. კერძოდ, თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს. ამდენად, თითოეულმა მხარემ უნდა მიუთითოს მის სასარგებლოდ მოქმედ გარემოებებზე და თუ იგი სადავო გახდა, უნდა დაამტკიცოს ამ გარემოებების არსებობა.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის თანახმად, მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებს. ამ გარემოებათა დამტკიცება შეიძლება თვით მხარეთა ახსნა-განმარტებით, მოწმეთა ჩვენებებით, წერილობითი თუ ნივთიერი მტკიცებულებებით, მაგრამ საქმის გარემოებები, რომლებიც კანონის თანახმად უნდა დადასტურდეს გარკვეული სახის მტკიცებულებებით, არ შეიძლება დადასტურდეს სხვა სახის მტკიცებულებებით.

ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 54-ე მუხლის მე-4 ნაწილი იმპერატიულად განსაზღვრავს, რომ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გაგზავნასთან დაკავშირებული დავის შემთხვევაში მტკიცების ტვირთი ეკისრება ადმინისტრაციულ ორგანოს.

საკასაციო სასამართლო ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს, როდესაც იგი იზიარებს პირველი ინსტანციის სასამართლოს მსჯელობას, რომ მოპასუხე მხარეს არ წარმოუდგენია და საქმეში არ მოიპოვება მტკიცებულება იმის შესახებ, რომ სადავო ქ. თბილისის მთავრობის 2002 წლის 4 აპრილის #06.27.121 დადგენილების ბათილად ცნობის თაობაზე ქ. თბილისის მთავრობის 2007 წლის 14 თებერვლის #04.06.125 დადგენილების - "ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე" მუნიციპალიტეტის კაბინეტისა და ქ. თბილისის მთავრობის 2007 წლის 30 მარტის #07.01.205 დადგენილების მიღების დროს მოსარჩელის მიმართ შესწავლილი იყო საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე დარღვეულია საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის მე-5 პუნქტის მოთხოვნა, რომლის მიხედვითაც ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილი არ არის თავისი გადაწყვეტილება დააფუძნოს იმ გარემოებებზე, არგუმენტებზე, რომლებიც არ არის სათანადოდ გამოკვლეული და შესწავლილი, ხოლო საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-17 მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, ინდივიდუალური ადმინისტრაციული აქტის ბათილად ცნობის ან ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ სარჩელის წარდგენის შემთხვევაში მტკიცების ტვირთი ეკისრება იმ ადმინისტრაციულ ორგანოს, რომელმაც გამოსცა ადმინისტრაციული აქტი.

საკასაციო სასამართლო ასევე ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს, როცა იგი იზიარებს პირველი ინსტანციის სასამართლოს მსჯელობას, კერძოდ, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია ადმინისტრაციული წარმოებისას გამოიკვლიოს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება და გადაწყვეტილება მიიღოს ამ გარემოებათა შეფასებისა და ურთიერთმეჯერების საფუძველზე. ამავე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციულ ორგანოს უფლება აქვს, წინასწარი გამოკვლევის გარეშე უარი განაცხადოს მის უფლებამოსილებაში შემავალ საკითხზე განცხადების ან შუამდგომლობის მიღებაზე იმ საფუძველით, რომ ეს განცხადება ან შუამდგომლობა დაუშვებელი ან დაუსაბუთებელია, აღნიშნულიდან გამომდინარე, სადავო ქ. თბილისის მთავრობის 2002 წლის 4 აპრილის #06.27.121 დადგენილებაში ბათილად ცნობის თაობაზე ქ. თბილისის მთავრობის 2007 წლის 14 თებერვლის #04.06.125 დადგენილების - "ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე", ქ. თბილისის მთავრობის 2007 წლის 30 მარტის #07.01.205 დადგენილება მოსარჩელის

ნაწილში გამოცემულია ადმინისტრაციული ორგანოს მიერ არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემო-  
ბების გამოკვლევისა და შესწავლის გარეშე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ მ. ბ-მის და ქ. თბი-  
ლისის მერიის საკასაციო საჩივრები უსაფუძვლოა, რის გამოც იგი არ უნდა დაკმაყოფილდეს და  
უცვლელად დარჩეს გასაჩივრებული განჩინება.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის  
პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით  
და

#### **და ა ა დ გ ი ნ ა:**

1. მ. ბ-მის და ქ. თბილისის მერიის საკასაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალა-  
ტის 2008 წლის 26 სექტემბრის განჩინება;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

#### **მტკიცებულებების სრულყოფილი გამოკვლევა, დაინტერესებული მხარის დასწრებით; მხარის კანონიერი ნდობის უფლების საფუძველი**

#### **განჩინება**

#ბს-535-506(კ-09) 6 ოქტომბერი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ნ. წკეპლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
მ. ვაჩაძე,  
პ. სილაგაძე

**დავის საგანი:** საცხოვრებელი ფართის გამოყოფა

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

2005 წლის 30 მარტს რ. შ-იანცმა სარჩელი აღძრა თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონულ  
სასამართლოში თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის გამგეობის მიმართ და მოითხოვა მოპასუხის და-  
ვალდებულება საცხოვრებელი ფართის გამოყოფის შესახებ შემდეგი საფუძველით:

მოსარჩელის მითითებით, 1926 წლიდან ცხოვრობდა და რეგისტრირებული იყო ქ. თბილისში,  
. . . ქ. II შესახვევის #1-ში მშობლებთან ერთად, მაგრამ ამჟამად სახლი დანგრეულია გამგეობის  
მიერ. მითითებული შენობა იყო ერთსართულიანი, შედგებოდა 4 საცხოვრებელი ოთახისაგან, რო-  
მელთაგან 3 ოჯახი დაკმაყოფილდა სხვა საცხოვრებელი ფართით, ხოლო მოსარჩელე სახლის დან-  
გრევის შემდეგ დარჩა უბინაოდ.

ტექლრიცხვის სამსახურის 2004 წლის ცნობის თანახმად, ქ. თბილისში, . . . ქ. II შესახვევი  
#1-ში მდებარე ერთსართულიანი შენობა ირიცხება ჩუღურეთის რაიონის საბინაო საქსპლუატაციო  
ტრესტის სახელზე.

მოსარჩელის მითითებით, 1992 წლის 1 თებერვალს გამოცემული საქართველოს რესპუბლიკის  
მინისტრთა კაბინეტის #107 დადგენილების შესაბამისად, 1992 წელს ვერ მოახერხა ბინის პრივა-  
ტიზება შვილის მიმე ავადმყოფობის გამო. სახლის დანგრევის შემდეგ, მრავალჯერ მიმართავდა  
ადგილობრივ გამგეობას სხვა საცხოვრებელი ფართით დაკმაყოფილების მოთხოვნით. გამგეობისაგან  
ეცნობა, რომ მისი განცხადება აყვანილი იყო კონტროლზე და ფართის გამოთავისუფლების შემ-  
თხვევაში განიხილებოდა მისი ბინით დაკმაყოფილების საკითხი.

მოპასუხე საქალაქო სასამართლოს სხდომაზე არ გამოცხადდა და არც წერილობითი შესაგებელი  
წარუდგენია რ. შ-იანცის სარჩელთან დაკავშირებით.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2005 წლის 17 ივნ-  
ისის გადაწყვეტილებით რ. შ-იანცის სარჩელი დაკმაყოფილდა - მოპასუხე დიდუბე-ჩუღურეთის  
გამგეობას დაევალა ადმინისტრაციული აქტის გამოცემა რ. შ-იანცისათვის დიდუბე-ჩუღურეთის  
რაიონში 16.08 კვ.მ-ის შესაბამისი გამოთავისუფლებული საცხოვრებელი ფართის გადაცემის შესა-  
ხებ, რაც საქალაქო სასამართლომ დაასაბუთა შემდეგნაირად:

საქალაქო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ რ. შ-იანი 1943 წლიდან რეგისტრირებულია ქ. თბილისში, ... ქ. II შესახვევის #1-ში. აღნიშნულ მისამართზე არსებული საცხოვრებელი სახლი დანგრეულია და ბინა ირიცხება კომუნალურ ფონდში. ქ. თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის გამგეობის 2004 წლის 24 ივნისის წერილის თანახმად, რ. შ-იანს საცხოვრებელი ფართის პრივატიზაციაზე ეთქვა უარი იმ მოტივით, რომ სახლი დანგრეულია და მითითებული ფართი წარმოადგენს ქუჩის ნაწილს. ბინით დაკმაყოფილების მოთხოვნაზე რ. შ-იანს გამგეობის წერილით ეცნობა, რომ ბინის გამოთავისუფლების შემთხვევაში მოხდებოდა მისი ბინით დაკმაყოფილების საკითხის განხილვა.

საქალაქო სასამართლომ ტექნიკური აღრიცხვის სამსახურის 2004 წლის #უ-60 ცნობის საფუძველზე დადგენილად მიიჩნია, რომ ქ. თბილისში, ... ქ. II შესახვევის #1-ში მდებარე ერთსართულიანი, ოთხი საცხოვრებელი ოთახისაგან შემდგარი შენობა ირიცხება დიდუბე-ჩუღურეთის გამგეობის საბინაო საქსპლუატაციო ტრესტის სახელზე.

საქალაქო სასამართლომ დადასტურებულად მიიჩნია, რომ ქ. თბილისში, ... ქ. II შესახვევის #1-ში მდებარე სახლთმფლობელობა წარმოადგენდა მოსარჩელის საცხოვრებელ ფართს და იყო მის სარგებლობაში. სასამართლოს მოსაზრებით, მოსარჩელე წარმოადგენდა მითითებულ მისამართზე არსებული მიწის ნაკვეთის კანონიერ მოსარგებლეს. აღნიშნულის შესაბამისად, საქალაქო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ მიწის ნაკვეთი, რომელიც იყო მოსარჩელის მფლობელობაში, ამჟამად სახელმწიფოს სარგებლობაშია და წარმოადგენს ქუჩის ნაწილს, რაც სარჩელის დაკმაყოფილების საფუძველია.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა დიდუბე-ჩუღურეთის გამგეობამ და მოითხოვა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2005 წლის 17 ივნისის გადაწყვეტილების გაუქმება შემდეგი მოტივით:

აპელანტის მითითებით, რ. შ-იანს მოთხოვნის უფლება წარმოეშვა 1992 წლიდან, როდესაც მოხდა სახლის დანგრევა. სამოქალაქო კოდექსის 128.4 მუხლის შესაბამისად, მოთხოვნის ხანდაზმულობის საერთო ვადა შეადგენს 10 წელს. რ. შ-იანს 1992 წლიდან 2004 წლამდე არ მიუმართავს გამგეობისათვის და არ მოუთხოვია შესაბამისი ქმედების განხორციელება.

აპელანტის მოსაზრებით, საქალაქო სასამართლო ვალდებული იყო გამოეკვლია საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება, რაც არ შესრულდა და რასაც შედეგად მოჰყვა საქმეზე არასწორი გადაწყვეტილების გამოტანა.

მოწინააღმდეგე მხარე - რ. შ-იანი სააპელაციო სასამართლოს სხდომაზე არ გამოცხადდა და არც წერილობითი შესაგებელი წარუდგენია.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 6 ივნისის გადაწყვეტილებით დიდუბე-ჩუღურეთის გამგეობის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა - გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2005 წლის 17 ივნისის გადაწყვეტილება და ახალი გადაწყვეტილებით რ. შ-იანის სარჩელი არ დაკმაყოფილდა, რაც სააპელაციო სასამართლომ დაასაბუთა შემდეგნაირად:

სააპელაციო სასამართლომ სრულად გაიზიარა საქალაქო სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები, მაგრამ მიიჩნია, რომ საქალაქო სასამართლომ არასწორად შეაფასა ისინი, არასწორად გამოიყენა კანონი.

სააპელაციო სასამართლოს მითითებით, მიუხედავად იმისა, რომ რ. შ-იანს გააჩნდა მის სარგებლობაში არსებული ფართის პრივატიზაციის უფლება, მას არ მიუმართავს გამგეობისათვის, ამასთან, იმის გათვალისწინებით, რომ ბინა დანგრეულია, აღნიშნული უფლების რეალიზაციაზე უარის ტოლფასია.

სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, მოსარჩელეს არც მის სარგებლობაში არსებული ბინის დანგრევით მიყენებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება გააჩნდა. ახალი ბინის გამოყოფის შესახებ მოთხოვნა ზიანის ნატურით მოთხოვნაა, მაგრამ მოსარჩელეს გაშვებული აქვს სამოქალაქო კოდექსის 1008-ე მუხლით დადგენილი 3-წლიანი ხანდაზმულობის ვადა. სააპელაციო სასამართლომ საქმის მასალებზე დაყრდნობით დადგენილად მიიჩნია, რომ რ. შ-იანმა 1990 წელს დანგრეული ბინის სანაცვლო ფართის გამოყოფის მოთხოვნით გამგეობას მიმართა 2004 წელს, ხოლო სარჩელი აღძრა 2005 წელს.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა რ. შ-იანმა და მოითხოვა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 6 ივნისის გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილება შემდეგი მოტივით:

კასატორის მითითებით, სააპელაციო სასამართლომ საქმე განიხილა რ. შ-იანის დასწრების გარეშე.

კასატორმა არ გაიზიარა სააპელაციო სასამართლოს დასკვნა ხანდაზმულობის 3-წლიანი ვადის გაშვების შესახებ, რადგან 2004 წელს რ. შ-იანცმა შეიტყო ზიანის ანაზღაურებაზე ვალდებული პირის შესახებ. დიდუბე-ჩუღურეთის გამგეობა 2004 წლის 7 ოქტომბრის #შ-14777 წერილით აღიარებს ვალდებულებას და პირდება რ. შ-იანცს ბინის გამოთავისუფლების შემთხვევაში ფართით დაკმაყოფილებას.

საკასაციო სასამართლოს 2009 წლის 7 ივლისის განჩინებით რ. შ-იანცის საკასაციო საჩივარი დასაშვებად იქნა ცნობილი ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის "გ" ქვეპუნქტის საფუძველზე (პროცესუალური კასაცია).

მოწინააღმდეგე მხარეს წერილობითი შესაგებელი არ წარმოუდგენია.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერება-დასაბუთებულობისა და საკასაციო საჩივრის მოტივების საფუძვლიანობის შემოწმების შედეგად მივიდა იმ დასკვნამდე, რომ რ. შ-იანცის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 6 ივნისის გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს, შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ გასაჩივრებული გადაწყვეტილების გამოტანისას დაარღვია საპროცესო სამართლის ნორმები, კერძოდ, გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა, არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, არასწორად განმარტა იგი, არ გამოიკვლია საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და სათანადო სამართლებრივი შეფასება არ მისცა მათ, დაუსაბუთებელია სააპელაციო სასამართლოს დასკვნები, რაც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე-394-ე მუხლის შესაბამისად, განჩინების გაუქმების საფუძველია.

საკასაციო სასამართლო იზიარებს კასატორის საკასაციო პრეტენზიას, რომ სააპელაციო სასამართლომ საქმე განიხილა რ. შ-იანცის დაუსწრებლად, რომელსაც შეტყობინება არ მიუღია კანონით დადგენილი წესით.

საქმის მასალების მიხედვით, სააპელაციო სასამართლოს სხდომის შესახებ უწყება ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 13.4 მუხლის მოთხოვნის დარღვევით (სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვის დროს მოქმედი რედაქცია) გაეგზავნა მხოლოდ რ. შ-იანცს, მაგრამ იმ მოტივით, რომ სასამართლოსათვის ცნობილ მისამართზე რ. შ-იანცისათვის უწყების ჩაბარება ვერ იქნა უზრუნველყოფილი, სასამართლო სხდომა ჩატარდა მოწინააღმდეგე მხარის მონაწილეობის გარეშე. ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 13.4 მუხლის შესაბამისად, თუ მხარე საქმეს აწარმოებს წარმომადგენლის მეშვეობით, ყველა დოკუმენტი ეგზავნება წარმომადგენელს, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევისა, როდესაც დოკუმენტი მხარესაც უნდა გაეგზავნოს. საქმეში წარმოდგენილია რწმუნებულება, რომლის მიხედვით, რ. შ-იანცის მიერ წარმომადგენლობითი უფლებამოსილება მინიჭებული ჰქონდა ხ. გ-იანს. რწმუნებულება გაცემული იყო 2005 წლის 20 იანვარს სამი წლის ვადით - 2008 წლის 20 იანვრამდე.

ამდენად, 2007 წლის 23 დეკემბერს ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსში ცვლილებების შეტანამდე, მოქმედი საპროცესო კანონმდებლობა ადგენდა სასამართლო დოკუმენტების, მათ შორის უწყების, (თუ მხარე საქმეს აწარმოებს წარმომადგენლის მეშვეობით) წარმომადგენლისათვის გაგზავნის ვალდებულებას და არ ანიჭებდა სასამართლოს უფლებამოსილებას უწყება გაეგზავნა მხოლოდ მხარისათვის. რ. შ-იანცს სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვისას ჰყავდა წარმომადგენელი, რომელსაც იმ პერიოდისათვის მოქმედი საპროცესო კანონმდებლობის მოთხოვნის დარღვევით არ გაეგზავნა უწყება სასამართლო პროცესის შესახებ. სააპელაციო სასამართლოს არ ჰქონდა ცნობა იმის თაობაზე, რომ, რ. შ-იანცს შეწყვეტილი ჰქონდა ხელშეკრულება წარმომადგენელთან, რაც გამორიცხავდა წარმომადგენლისათვის სასამართლო უწყების გაგზავნის საპროცესო ვალდებულებას.

ამდენად, საკასაციო სასამართლო იზიარებს კასატორის საკასაციო პრეტენზიას, რომ იგი სააპელაციო სასამართლოს მიერ არ იყო მიწვეული საქმის განხილვაში მონაწილეობის მისაღებად საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნათა დაცვით, რაც სსსკ-ის 394-ე მუხლის "ბ" ქვეპუნქტის შესაბამისად, სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტური საფუძველია.

საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს სააპელაციო სასამართლოს დასკვნას, რომ მოსარჩელე რ. შ-იანცს გაშვებული აქვს სამოქალაქო კოდექსის 1008-ე მუხლით განსაზღვრული მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადა. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ აღნიშნულთან დაკავშირებით სააპე-

ლაციო სასამართლოს არ გამოუკვლევეთ საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის გარემოებები, სათანადო სამართლებრივი შეფასება არ მოუხდენია საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებისათვის.

სააპელაციო სასამართლომ დადგინდად მიიჩნია, რომ ბინის დანგრევიდან 2004 წლამდე რ. შ-იანცს არ მიუმართავს გამგეობისათვის ბინის გამოყოფის მოთხოვნით. საქმის მასალების თანახმად, ბინა დაინგრა 1992 წელს. სააპელაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქმეში წარმოდგენილი მხოლოდ ერთი დოკუმენტით, დიდუბე-ჩუღურეთის გამგეობის 2004 წლის 7 ოქტომბრის #შ-14777 პასუხით, რომლითაც რ. შ-იანცს ეცნობა, რომ მისი განცხადება საცხოვრებელი ბინით დაკმაყოფილების შესახებ აყვანილია კონტროლზე და გამოთავისუფლებული ბინის შემთხვევაში განიხილებოდა მისი ბინით დაკმაყოფილების საკითხი. სააპელაციო სასამართლოს არ გამოუკვლევეთ და მხოლოდ ერთ წერილზე დაყრდნობით მიიჩნია მოთხოვნა ხანდაზმულად, კერძოდ, არ დაუდგენია, მიმართავდა თუ არა რ. შ-იანცი ბინის დანგრევის შემდეგ - 2004 წლამდე ადმინისტრაციულ ორგანოებს ბინით დაკმაყოფილების მოთხოვნით. არ უსარგებლია ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-4 და მე-19 მუხლებით მინიჭებული საპროცესო უფლებამოსილებით და არ გამოუთხოვია აღნიშნულთან დაკავშირებით სათანადო მტკიცებულებები ადმინისტრაციული ორგანოდან. მით უფრო, რომ სააპელაციო სასამართლოს სხდომას არ ესწრებოდა რ. შ-იანცი და სააპელაციო სასამართლოს არ მოუხმენია მისი განმარტებები მოთხოვნის ხანდაზმულობასთან დაკავშირებით.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ საქმის ხელახლა განხილვისას სააპელაციო სასამართლომ უნდა იმსჯელოს მითითებულ გარემოებებზე, შესაბამისი საპროცესო მოქმედებების შესრულების შედეგად სათანადოდ გამოიკვლიოს იგი და მხოლოდ აღნიშნულის შემდეგ უნდა მოახდინოს საქმის გარემოებების სათანადო სამართლებრივი შეფასება.

გარდა აღნიშნულისა, სააპელაციო სასამართლოს სამართლებრივი თვალსაზრისით არ შეუფასებია გამგეობის 2004 წლის 7 ოქტომბრის #შ-14777 პასუხი, კერძოდ, არ უმსჯელია, წარმოადგენდა თუ არა ადმინისტრაციული ორგანოს ამგვარი შინაარსის წერილი ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-9 მუხლის შესაბამისად, ადმინისტრაციული ორგანოს დაპირებას, რადგან მითითებული წერილის თანახმად, გამგეობა ჰპირდება რ. შ-იანცს, რომ მისი ბინით დაკმაყოფილების საკითხს განიხილავს ბინის გამოთავისუფლების შემთხვევაში.

ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 9.1 მუხლის შესაბამისად, ადმინისტრაციული ორგანოს დაპირება არის ადმინისტრაციული ორგანოს წერილობითი დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს, რომ მოცემული ქმედება განხორციელდება, რაც შეიძლება გახდეს დაინტერესებული მხარის კანონიერი ნდობის საფუძველი.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ კანონიერი ნდობა წარმოადგენს ადმინისტრაციული სამართლის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ინსტიტუტს.

კანონიერი ნდობის უფლება ადმინისტრაციულ-სამართლებრივ ურთიერთობებში განსაკუთრებულ დატვირთვას ატარებს, რადგან ადმინისტრაციულ-სამართლებრივ ურთიერთობას თავისი არსით სუბორდინაციული ხასიათი გააჩნია. კანონიერი ნდობის უფლება იცავს პირს ადმინისტრაციული ორგანოს სამართლებრივი შეცდომის და მომავალში განსახორციელებელი მოქმედების შეუსრულებლობისაგან. აღნიშნული ინსტიტუტის სრულფასოვანი დამკვიდრება უზრუნველყოფს მმართველობის კანონიერებას, სტაბილურობას, მის ავტორიტეტს საზოგადოებაში.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ ასეთ პირობებში, სააპელაციო სასამართლოს უნდა შეეფასებინა, წარმოეშვა თუ არა რ. შ-იანცს კანონიერი ნდობის უფლება გამგეობიდან პასუხის მიღებით და ასეთ ვითარებაში, არსებობდა თუ არა მოსარჩელის მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველი ხანდაზმულობის მოტივით და მოსარჩელეს მოთხოვნის უფლების წარმოშობის სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენდა თუ არა ადმინისტრაციული ორგანოდან დაპირების მიღება.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, კასატორის მიერ წამოყენებული საკასაციო პრეტენზიები შეიცავს დასაბუთებულ არგუმენტაციას გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონშეუსაბამობის თაობაზე და სსსკ-ის 412-ე მუხლის შესაბამისად, მოცემული საქმე ექვემდებარება ხელახლა განხილვას, რა დროსაც სააპელაციო სასამართლომ უნდა იმსჯელოს ზემოაღნიშნულ გარემოებებზე და მათი გამოკვლევისა და შეფასების შედეგად დაადგინოს ობიექტური გადაწყვეტილება.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1.2 მუხლით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 372-ე, 390-ე 399-ე, 408.3, 412-ე მუხლებით და

**და ა დ გ ი ნ ა :**

1. რ. შ-იანცის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 6 ივნისის გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;
3. სასამართლო ხარჯები გადანაწილდეს საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების დადგენისას;
4. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**მტკიცებულებების სრულყოფილი  
გამოკვლევის აუცილებლობა**

**განჩინება**

#ბს-791-755(კ-09) 8 ოქტომბერი, 2009 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა**  
**შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),**  
**ნ. ქადაგიძე,**  
**პ. სილაგაძე**

**სარჩელის საგანი:** ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა, თანამდებობაზე აღდგენა, იძულებით განაცდურის ანაზღაურება

**აღწერილობითი ნაწილი:**

2008 წლის 30 აპრილს მ. ც-ელმა სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხე ივანე ბერიტაშვილის სახელობის ფიზიოლოგიის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს მიმართ.

მოსარჩელემ აღნიშნა, რომ 2008 წლის 1 აპრილს ივანე ბერიტაშვილის სახელობის ფიზიოლოგიის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარემ მოიწვია სამეცნიერო საბჭოს სხდომა, რომელზედაც მოულოდნელად დააყენა მოსარჩელის, როგორც დირექტორის ვადაზე ადრე გათავისუფლების საკითხი. მოსარჩელის მითითებით, კენჭისყრის შედეგად 6 ხმით 3-ის წინააღმდეგ იგი გაათავისუფლეს... თანამდებობიდან ისე, რომ ოფიციალური ბრალდება მისთვის არ წაუყენებიათ, ძირითად მიზეზად მოყვანილ იქნა მისი ნაკლებად ზრდილობიანი დამოკიდებულება საბჭოს წევრების მიმართ.

მოსარჩელემ მიუთითა, რომ სამეცნიერო საბჭოს ეს გადაწყვეტილება სრულიად უკანონო იყო, რადგან, ინსტიტუტის წესდების მე-9 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, "დირექტორს შეიძლება ვადაზე ადრე შეუწყდეს უფლებამოსილება შემდეგ შემთხვევებში: ა) პირადი სურვილით; ბ) მის მიმართ სასამართლოს მიერ გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენის ძალაში შესვლისას; გ) სასამართლოს მიერ ქმედუუნაროდ ან შეზღუდულქმედუნარიანად აღიარებისას; დ) გარდაცვალებისას; ე) 65 წლის ასაკის მიღწევისას", ხოლო ამავე მუხლის მე-5 პუნქტის მიხედვით, "დირექტორის უფლებამოსილების ვადაზე ადრე შეწყვეტის თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს სამეცნიერო საბჭო სიითი შემადგენლობის უმრავლესობით", რაც, მოსარჩელის განმარტებით, მხოლოდ გამოხატავდა პროცედურას, ხოლო მის შემთხვევაში არ არსებობდა მე-4 პუნქტით გათვალისწინებული არც ერთი პირობა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელემ ივანე ბერიტაშვილის სახელობის ფიზიოლოგიის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების, ინსტიტუტის 2008 წლის 1 აპრილის #09-პ ბრძანების ბათილობა, ივანე ბერიტაშვილის სახელობის ფიზიოლოგიის ინსტიტუტის დირექტორის თანამდებობაზე აღდგენა და სასამართლოს გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლამდე განაცდური ხელფასის ანაზღაურება მოითხოვა.

2008 წლის 24 ივნისის სასამართლო სხდომაზე მ. ც-ელის შუამდგომლობით საქმეში თანამოპასუხედ ჩაება ივანე ბერიტაშვილის სახელობის ფიზიოლოგიის ინსტიტუტი.

სასამართლოში საქმის განხილვისას, მოსარჩელემ დააზუსტა სასარჩელო მოთხოვნა და ივანე ბერიტაშვილის სახელობის ფიზიოლოგიის ინსტიტუტის დირექტორის 2008 წლის 1 აპრილის #09-პ ბრძანების ბათილად ცნობის, ... აღდგენისა და სასამართლო გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლამდე განაცდური ხელფასის ანაზღაურებასთან ერთად ასევე ივანე ბერიტაშვილის სახელობის

ფიზიოლოგიის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს 2008 წლის 1 აპრილის #04 სხდომის ოქმის ბათილად ცნობა მოითხოვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 1 ივლისის საოქმო განჩინებით საქმეში მესამე პირად ჩართულ იქნა ნ. ნ-ია.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 14 ივლისის საოქმო განჩინებით ადმინისტრაციული საქმე მ. ც-ელის სარჩელისა გამო მოპასუხე ივანე ბერიტაშვილის სახელობის ფიზიოლოგიის ინსტიტუტის და ივანე ბერიტაშვილის სახელობის ფიზიოლოგიის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს მიმართ, მესამე პირი ნ. ნ-ია, ფიზიოლოგიის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს 2008 წლის 1 აპრილის #04 სხდომის ოქმის ბათილად ცნობის ნაწილში შეწყდა წარმოებით დაუშვებლობის გამო.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 17 ივლისის გადაწყვეტილებით, მოსარჩელე მ. ც-ელის სასარჩელო განცხადება საჯარო სამართლის იურიდიული პირის ივანე ბერიტაშვილის სახელობის ფიზიოლოგიის ინსტიტუტის 2008 წლის 1 აპრილის #09-პ ბათილად ცნობის, დირექტორის თანამდებობაზე აღდგენისა და სასამართლო გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლამდე განაცდური ხელფასის ანაზღაურების თაობაზე არ დაკმაყოფილდა უსაფუძვლოების გამო.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 14 ივლისის საოქმო განჩინებაზე კერძო საჩივარი შეიტანა მ. ც-ელმა და აღნიშნული განჩინების გაუქმება და ამ ნაწილში სარჩელის დასაშვებად ცნობა მოითხოვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 17 ივლისის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა მ. ც-ელმა, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 26 ნოემბრის განჩინებით კერძო საჩივარი დაკმაყოფილდა - გაუქმდა მოცემულ საქმეზე თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 14 ივლისის საოქმო განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა იმავე სასამართლოს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 10 დეკემბრის გადაწყვეტილებით სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა - თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 17 ივლისის გადაწყვეტილების შეცვლით მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება - მ. ც-ელის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა: სადავო საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად იქნა ცნობილი სსიპ ივანე ბერიტაშვილის ფიზიოლოგიის ინსტიტუტის 2008 წლის 1 აპრილის #09-პ ბრძანება მ. ც-ელის თანამდებობიდან განთავისუფლების შესახებ და დაევალი ინსტიტუტს საქმეზე გამოკვლევულ და დადგენილად ცნობილ ფაქტობრივ გარემოებებზე დაფუძნებით შესაბამისი ნორმატიული საფუძვლის მითითებით გამოეცა ახალი აქტი; სარჩელი თანამდებობაზე აღდგენის შესახებ არ დაკმაყოფილდა; მოპასუხეებს მ. ც-ელისათვის იძულებითი განაცდურის, გათავისუფლების დღიდან ახალი აქტის გამოცემამდე ანაზღაურება დაევალი.

თბილისის სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ფიზიოლოგიის ინსტიტუტის 2008 წლის 1 აპრილის #09-პ გასაჩივრებული ბრძანება ბათილად უნდა ყოფილიყო ცნობილი, რადგან საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის მე-3 ნაწილის მოთხოვნათა დარღვევით იგი არ იყო ნორმატიულად ჯეროვნად დასაბუთებული, კერძოდ, როგორც ბრძანებაში, ისე სამეცნიერო საბჭოს საოქმო გადაწყვეტილებაში არ იყო დასახელებული ინსტიტუტის წესდებით ან სხვა ნორმატიული აქტით გათვალისწინებული, მ. ც-ელის თანამდებობიდან გათავისუფლების სასამართლებრივი საფუძველი.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 10 დეკემბრის გადაწყვეტილება იმ ნაწილში, რომლითაც დაკმაყოფილდა მოსარჩელის მოთხოვნა საკასაციო წესით გაასაჩივრეს ივანე ბერიტაშვილის სახელობის ფიზიოლოგიის ინსტიტუტმა, ივანე ბერიტაშვილის სახელობის ფიზიოლოგიის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭომ და ნ. ნ-იამ, რომლებმაც გასაჩივრებული ნაწილის გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვეს.

კასატორებმა აღნიშნეს, რომ სააპელაციო სასამართლომ 2008 წლის 10 დეკემბრის გადაწყვეტილება დააფუძნა არასწორ გარემოებებზე, საქმე განიხილა მნიშვნელოვანი საპროცესო დარღვევებით, რამაც არსებითად იმოქმედა საქმის განხილვის შედეგებზე და არასწორი გადაწყვეტილების მიღებას შეუწყო ხელი. სსიპ ივანე ბერიტაშვილის სახელობის ფიზიოლოგიის ინსტიტუტის წესდების მე-4 მუხლის "გ" ქვეპუნქტის მიხედვით, ინსტიტუტის დირექტორის უფლებამოსილების შეწყვეტის იურიდიული უფლებამოსილება ჰქონდა მხოლოდ სამეცნიერო საბჭოს, რასაც კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში მოჰყვებოდა თავისი იურიდიული შედეგი. კასატორებმა აგრეთვე

განმარტეს, რომ მ. ც-ელის - სსიპ ივანე ბერიტაშვილის სახელობის ფიზიოლოგიის ინსტიტუტის დირექტორის გათავისუფლება მოხდა არა 2008 წლის 1 აპრილის #09-პ ბრძანებით, არამედ სსიპ ივანე ბერიტაშვილის სახელობის ფიზიოლოგიის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს 2008 წლის 1 აპრილის #04/08 ოქმის #1 გადაწყვეტილებით.

კასატორებმა მიუთითეს, რომ, ვიდრე არ იქნებოდა განხილული სსიპ ივანე ბერიტაშვილის სახელობის ფიზიოლოგიის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს 2008 წლის 1 აპრილის #04/08 ოქმის #1 გადაწყვეტილების კანონიერების საკითხი, შეუძლებელი იქნებოდა გათავისუფლების და მისგან გამომდინარე შედეგების კანონიერების განხილვა; #09-პ ბრძანების ბათილად ცნობა არ წარმოადგენდა განაცდური ხელფასის ანაზღაურების საფუძველს, რადგან მას მ. ც-ელის სამსახურეობრივი ურთიერთობის შეწყვეტა - იურიდიული შედეგი არ მოჰყოლია.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2009 წლის 10 ივნისის განჩინებით, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული ივანე ბერიტაშვილის სახელობის ფიზიოლოგიის ინსტიტუტის, ივანე ბერიტაშვილის სახელობის ფიზიოლოგიის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოსა და ნ. ნ-იას საკასაციო საჩივარი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2009 წლის 10 სექტემბრის განჩინებით ივანე ბერიტაშვილის სახელობის ფიზიოლოგიის ინსტიტუტის, ივანე ბერიტაშვილის სახელობის ფიზიოლოგიის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოსა და ნ. ნ-იას საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დასაშვებად და მისი განხილვა დაინიშნა მხარეთა დასწრების გარეშე. მოწინააღმდეგე მხარეს საკასაციო საჩივარზე წერილობითი პასუხის გასაცემად მიეცა 10 დღის ვადა 2009 წლის 10 სექტემბრის განჩინების ჩაბარებიდან.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა ზეპირი მოსმენის გარეშე გაეცნო საქმის მასალებს, შეამოწმა გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერება-დასაბუთებულობა, წარმოდგენილი საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა და მიაჩნია, რომ ივანე ბერიტაშვილის სახელობის ფიზიოლოგიის ინსტიტუტის, ივანე ბერიტაშვილის სახელობის ფიზიოლოგიის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოსა და ნ. ნ-იას საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

საკასაციო სასამართლოს დადგენილად მიაჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები: მ. ც-ელი იყო ივანე ბერიტაშვილის სახელობის ფიზიოლოგიის ინსტიტუტის დირექტორის ამავე ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს 2008 წლის 1 აპრილის სხდომის ოქმი #04/08-ის, #1 გადაწყვეტილებით იგი გათავისუფლებულ იქნა დაკავებული თანამდებობიდან. ამ ოქმის საფუძველზე გამოცემულ იქნა ბრძანება #09-პ, სადაც მითითებულია, რომ მ. ც-ელი განთავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან 2008 წლის 1 აპრილიდან. ივანე ბერიტაშვილის ფიზიოლოგიის ინსტიტუტის 2009 წლის 17 აპრილის ბრძანება #06-პ-ით ბათილად იქნა ცნობილი 2008 წლის 1 აპრილის ბრძანება #09-პ.

საკასაციო სასამართლო ეთანხმება კასატორს, როდესაც იგი მიუთითებს, რომ ვიდრე არ იქნებოდა განხილული სსიპ ივანე ბერიტაშვილის სახელობის ფიზიოლოგიის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს 2008 წლის 1 აპრილის #04/08 ოქმის #1 გადაწყვეტილების კანონიერება, მანამდე შეუძლებელია გათავისუფლების კანონიერების და მისგან გამომდინარე შედეგების შესახებ მსჯელობა.

საკასაციო სასამართლო არ ეთანხმება კასატორებს, როდესაც ისინი მიუთითებენ, რომ 2008 წლის 14 ივლისის საოქმო განჩინებით, ხანდაზმულობის ვადის გასვლის გამო აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით შეწყდა წარმოება დაუშვებლობის გამო. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ მართალია თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 14 ივლისის საოქმო განჩინებით შეწყდა წარმოება დაუშვებლობის გამო, მაგრამ აღნიშნულ განჩინებაზე მ. ც-ელის მიერ შეტანილ იქნა კერძო საჩივარი, რომელიც თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 26 ნოემბრის განჩინებით დაკმაყოფილდა - გაუქმდა მოცემულ საქმეზე თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 14 ივლისის საოქმო განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა იმავე სასამართლოს. შესაბამისად საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ სსიპ ივანე ბერიტაშვილის სახელობის ფიზიოლოგიის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს 2008 წლის 1 აპრილის #04/08 ოქმთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღებამდე შეუძლებელია დანარჩენ ნაწილებზე მსჯელობა.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი.



საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლის პირველი ნაწილის "ა" პუნქტზე, რომლის მიხედვითაც საკასაციო სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილებას და საქმეს ხელახლა განსახილველად აბრუნებს სააპელაციო სასამართლოში თუ საქმის გარემოებები საპროცესო ნორმების ისეთი დარღვევითაა დადგენილი, რომ ამ დარღვევების შედეგად საქმეზე არასწორი გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი და საჭიროა მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევა. საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების მიღება ისე, რომ ივანე ბერიტაშვილის სახელობის ფიზიოლოგიის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს 2008 წლის 1 აპრილის ოქმის კანონიერების განხილვა არ მომხდარა, წარმოადგენს ასეთ შემთხვევას და გადაწყვეტილების მიღება აღნიშნულ ოქმზე მსჯელობის გარეშე შეუძლებელია.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს გასაჩივრებული გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

#### **და ა ა დ გ ი ნ ა:**

1. ივანე ბერიტაშვილის სახელობის ფიზიოლოგიის ინსტიტუტის, ივანე ბერიტაშვილის სახელობის ფიზიოლოგიის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოსა და ნ. ნ-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;

2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 10 დეკემბრის გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;

3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

#### **მტკიცებულებების სრულყოფილად გამოკვლევა**

##### **განჩინება**

#ბს-1054-1012(კ-09) 19 ნოემბერი, 2009 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა**  
**შემადგენლობა: მ. ცისკაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),**  
**ნ. სხირტლამე,**  
**პ. სილაგაძე**

**დავის საგანი:** ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა და ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

ს. დ-მემ 2008 წლის დეკემბერში სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხე ქ. თბილისის საკრებულოს მიერ შექმნილი ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიის მიმართ და მოითხოვა ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიის 2008 წლის 12 ნოემბრის გადაწყვეტილების ბათილად ცნობა, რომლის საფუძველზეც მოსარჩელეს უარი ეთქვა დიდ დილომში, ... ქუჩის მიმდებარე ტერიტორიაზე, მის მფლობელობაში არსებულ 315 კვ.მ მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების აღიარებაზე; მოსარჩელემ ასევე მოითხოვა მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოსათვის მის მფლობელობაში არსებულ 315.კვ.მ მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების აღიარების და მ. კ-შვილის განცხადებაზე - მოსარჩელის მფლობელობაში არსებულ 315.კვ.მ მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების აღიარების ნაწილში ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის თაობაზე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტების გამოცემის დავალდებულება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 14 იანვრის განჩინებით საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად საქმეში მესამე პირად ჩაბმულ იქნა მ. კ-შვილი.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 13 თებერვლის განჩინებით ს. დ-ძის სარჩელზე, მესამე პირის - მ. კ-შვილის განცხადებაზე ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის ნაწილში, დაუშვებლობის მოტივით შეწყდა საქმის წარმოება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 13 თებერვლის გადაწყვეტილებით ს. დ-ძის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ - სადავო საკითხის გადაწყვეტლად ბათილად იქნა ცნობილი ქ. თბილისის საკრებულოს ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიის 2008 წლის 26 სექტემბრის გადაწყვეტილება ს. დ-ძისათვის საკუთრების უფლების აღიარებაზე უარის თქმის შესახებ და მოპასუხე ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიას დაევალა, შესაბამისი გარემოებების შესწავლისა და შეფასების შედეგად, კანონით დადგენილ ვადაში ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა.

პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება ეფუძნება შემდეგ მოტივებს:

სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ იმ დოკუმენტების ნუსხა, რომელიც "ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მესამე პუნქტით იყო განსაზღვრული, მოსარჩელის მიერ წარდგენილ იქნა. აღნიშნულთან დაკავშირებით სასამართლომ განმარტა, რომ "ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ" საქართველოს კანონისა და საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 15 სექტემბრის #525 ბრძანებულებით დამტკიცებული "ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების წესი" განსაზღვრავს საკუთრების უფლების აღიარების შესაძლებლობას, მართლზომიერ მფლობელობაში, ასევე სარგებლობაში არსებულ ან თვითნებურად დაკავებულ მიწის ნაკვეთზე; ამასთან, როგორც კანონით, ისე პრეზიდენტის ბრძანებულებით, დაინტერესებული პირებისათვის დადგენილ იქნა განსხვავებულ სამართლებრივ რეჟიმში (მფლობელობა, სარგებლობა, თვითნებურად დაკავება) არსებულ მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების აღიარებისათვის განსხვავებული დოკუმენტების წარდგენის ვალდებულება.

პირველი ინსტანციის სასამართლომ მიიჩნია, რომ კომისიამ ს. დ-ძის საკითხის განხილვისას უგულვეტელყო როგორც ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით, ისე "ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ" საქართველოს კანონითა და საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 15 სექტემბრის #525 ბრძანებულებით დამტკიცებული "ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების წესით" დადგენილი მოთხოვნები.

სასამართლომ განმარტა, რომ "ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტით და საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 15 სექტემბრის #525 ბრძანებულებით დამტკიცებული "ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების წესით" თვითნებურად დაკავებულ მიწაზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ მოთხოვნის განხილვისას გათვალისწინებული უნდა ყოფილიყო მოთხოვნის შესაბამისობა სივრცით-ტერიტორიული დაგეგმის პირობებთან და მიწის განკარგვის სტრატეგიულ გეგმასთან, რომლის განსაზღვრის შემთხვევაში კოლეგიური ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილი იყო, მიეღო გადაწყვეტილება თვითნებურად დაკავებულ მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების აღიარების ან საკუთრების უფლების აღიარებაზე უარის თქმის შესახებ. სასამართლომ მიუთითა, რომ მოცემულ შემთხვევაში ს. დ-ძემ მიმართა კომისიას განცხადებით და მოითხოვა თვითნებურად დაკავებულ მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების აღიარება, თუმცა ადმინისტრაციულმა ორგანომ მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ მოთხოვნაზე მოსარჩელეს უარი უთხრა იმ მოტივით, რომ წარმოდგენილი დოკუმენტებიდან არ დასტურდებოდა მიწის ნაკვეთის ფლობისა და სარგებლობის ფაქტი.

პირველი ინსტანციის სასამართლომ განმარტა, რომ კომისიამ სადავო მიწის ნაკვეთზე იმსჯელა, როგორც მფლობელობასა და სარგებლობაში არსებულ მიწის ნაკვეთზე, მაშინ, როდესაც სადავო

ურთიერთობების მომწესრიგებელი ნორმატიული აქტებით დადგენილი მოთხოვნებიდან გამომდინარე, კომისიას უნდა განეხილა საკითხი, გამოეკვლია გარემოებები და დაედგინა ს. დ-მის მიერ მიწის ნაკვეთის თვითნებურად დაკავების ფაქტი, ამასთან, სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვის პირობებთან და მიწის განკარგვის სტრატეგიულ გეგმასთან მოთხოვნის შესაბამისობის განსაზღვრის შემდეგ საჯარო და კერძო ინტერესების დაცვის საფუძველზე კანონმდებლობის შესაბამისი რამდენიმე გადაწყვეტილებიდან უნდა მიეღო ყველაზე მისაღები გადაწყვეტილება, რაც მოპასუხე კოლეგიური ადმინისტრაციული ორგანოს მიერ არ ყოფილა განხორციელებული. სასამართლომ აღნიშნა, რომ თვითნებურად დაკავებულ მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ საკითხის განხილვისას კომისიას მინიჭებული ჰქონდა დისკრეციული უფლებამოსილება, რაც ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-6 მუხლის მოთხოვნიდან გამომდინარე, ავალბდა კომისიას ეს უფლებამოსილება განეხორციელებინა კანონით დადგენილ ფარგლებში და არ ათავისუფლებდა მას კანონით დადგენილი ვალდებულებებისაგან - დაესაბუთებინა მის მიერ დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში მიღებული გადაწყვეტილება.

პირველი ინსტანციის სასამართლომ ჩათვალა, რომ ს. დ-მის განცხადების განხილვისას ადმინისტრაციულ ორგანოს უნდა გამოეკვლია და ემსჯელა დაინტერესებული პირის მოთხოვნა აკმაყოფილებდა თუ არა "ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ" საქართველოს კანონითა და საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით დამტკიცებული წესით თვითნებურად დაკავებულ მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების აღიარებისათვის განსაზღვრულ პირობებს, კერძოდ, განცხადებისათვის დართული დოკუმენტებით დასტურდებოდა თუ არა მიწის ნაკვეთის თვითნებურად დაკავების ფაქტი, ხოლო ასეთის არარსებობის პირობებში კომისია ვალდებული იყო დაესაბუთებინა თუ რის საფუძველზე მივიდა ამგვარ დასკვნამდე.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 13 თებერვლის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიამ.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 13 თებერვლის განჩინებაზე კერძო საჩივარი შეიტანა ს. დ-მემ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 6 მაისის განჩინებით ს. დ-მის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 13 თებერვლის განჩინება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 6 მაისის განჩინებით ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 13 თებერვლის გადაწყვეტილება.

სააპელაციო პალატის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიამ, რომელმაც მოითხოვა სააპელაციო პალატის განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

კასატორი აღნიშნავს, რომ სასამართლომ არასრულად განმარტა "ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებული მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-3 ნაწილი. კერძოდ, ამ კანონის მე-5 მუხლის მე-3 ნაწილის "ა" ქვეპუნქტის თანახმად, თვითნებურად დაკავებულ მიწაზე საკუთრების უფლების აღიარების მოთხოვნის დასადასტურებლად დაინტერესებულმა პირმა უნდა წარმოადგინოს მიწის თვითნებურად დაკავების დამადასტურებელი დოკუმენტები. მიწის თვითნებურად დაკავების დოკუმენტების დეფინიციას კი იძლევა "ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებული მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების წესის" შესახებ საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 15 სექტემბრის #525 ბრძანებულება. აღნიშნული ბრძანებულების მე-2 მუხლის "ე" ქვეპუნქტის თანახმად, მიწის თვითნებურად დაკავების დამადასტურებელი დოკუმენტი არის ცნობა-დახასიათება, მიწის თვითნებურად დაკავების დამადასტურებელი სასამართლოს აქტი, ორთოფოტო (აეროფოტოგადაღება), აბონენტად აყვანის დოკუმენტი, გადახდის ქვითარი ან/და სხვა დოკუმენტი.

კასატორი მიუთითებს, რომ კანონმდებელი სავალდებულოდ მიიჩნევს "ან/და სხვა დოკუმენტების" წარმოდგენას, რომელიც დაადასტურებს მიწის ნაკვეთის ფლობისა და სარგებლობის ფაქტს. საკასაციო საჩივარში აღნიშნულია, რომ განმცხადებლის მიერ წარდგენილი დოკუმენტაციით ვერ

დადასტურდა მიწის ნაკვეთის ფლობისა და სარგებლობის ფაქტი, რაც საფუძვლად დაედო მისთვის მიწის დაკანონებაზე უარის თქმას.

კასატორი აღნიშნავს, რომ მიწის თვითნებურად დაკავების ფაქტი უნდა არსებობდეს 2007 წლის პირველ იანვრამდე და აღნიშნული განმცხადებელმა უნდა დაადასტუროს წარმოდგენილი დოკუმენტაციით. თუკი წარმოდგენილი დოკუმენტაცია ვერ ადასტურებს პირის მიერ 2007 წლის პირველ იანვრამდე მიწის ნაკვეთის თვითნებურად დაკავების ფაქტს, თავისთავდა კომისია მიდის იმ დასკვნამდე, რომ შესაბამისად პირის მიერ ვერ დასტურდება მიწის ფლობა და სარგებლობა. გადაწყვეტილებაში კი აისახება ერთ-ერთი და კომისიას არჩევანის საშუალება ეძლევა, ამიტომ კასატორი არ იზიარებს, სასამართლოს მითითებას იმის თაობაზე, რომ კომისიას არ უნდა ემსჯელა მიწის ნაკვეთის ფლობის და სარგებლობის საკითხებზე, არამედ უნდა შეეფასებინა და დაედგინა მიწის ნაკვეთის ფლობის თვითნებურად დაკავების ფაქტი.

კასატორი აღნიშნავს, თუკი განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია არ იძლევა მის მიერ სადავო მიწის ნაკვეთის ფლობისა და სარგებლობის თაობაზე დასკვნის გაკეთების შესაძლებლობას, უკვე ზედმეტია სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვის პირობებთან და მიწის განკარგვის სტრატეგიული გეგმისათვის მოთხოვნის შესაბამისობაზე მსჯელობა.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, საკასაციო საჩივრის მოტივების შემოწმების შედეგად თვლის, რომ ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ; მოცემულ საქმეზე გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 6 მაისის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო პალატას დაუსაბუთებლად მიაჩნია სააპელაციო სასამართლოს მოსაზრება იმის შესახებ, რომ მოცემულ შემთხვევაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ სწორად გამოიყენა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მეოთხე ნაწილი; საკასაციო სასამართლო არ იზიარებს სააპელაციო პალატის მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ ს. დ-მის განცხადების განხილვისას ადმინისტრაციულმა ორგანომ უნდა გამოიკვლიოს და იმსჯელოს დაინტერესებული პირის მოთხოვნა აკმაყოფილებს თუ არა "ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ" საქართველოს კანონითა და საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით დამტკიცებული წესით თვითნებურად დაკავებულ მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების აღიარებისათვის განსაზღვრულ პირობებს.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილზე, რომლის თანახმად, თუ სასამართლო მიიჩნევს, რომ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოცემულია საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის გარემოების გამოკვლევისა და შეფასების გარეშე, იგი უფლებამოსილია, სადავო საკითხის გადაწყვეტილად, ბათილად ცნოს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი და დაავალოს ადმინისტრაციულ ორგანოს, ამ გარემოებათა გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ გამოსცეს ახალი. სასამართლო ამ გადაწყვეტილებას იღებს, თუ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობისათვის არსებობს მხარის გადაუდებელი კანონიერი ინტერესი. საკასაციო პალატა თვლის, რომ სააპელაციო სასამართლომ არ დაასაბუთა, რატომ იყო შეუძლებელი საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულების შემოწმებისა და შეფასების შემდეგ თვითონ გამოეკვლია საქმის გარემოებები და სადავო საკითხის არსებითად გადაწყვეტილად, საქმეზე დასაბუთებული გადაწყვეტილება მიედო.

საკასაციო სასამართლო თვლის, რომ სააპელაციო სასამართლოს, პირველ ყოვლისა, თვითონ უნდა დაედგინა შესაბამისი ფაქტობრივი გარემოებები, გამოეკვლია საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებები.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლით განმტკიცებულ ინკვიზიციურობის პრინციპზე, რომლის თანახმად, ადმინისტრაციული საქმის განხილვისას სასამართლო უფლებამოსილია, თავისი ინიციატივით მიიღოს გადაწყვეტილება დამატებითი ინფორმაციის ან მტკიცებულების წარმოსადგენად.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლომ დაარღვია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის მე-2 ნაწილი, რომლის მიხედვით, სასამართლო აფასებს მტკიცებულებებს თავისი შინაგანი რწმენით, რომელიც უნდა ემყარებოდეს სასამართლო სხდომაზე მათ ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას, რის შედეგად-

დაც მას გამოაქვს დასკვნა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობის ან არარსებობის შესახებ.

ყოველივე ზემოაღნიშნული მიუთითებს იმაზე, რომ სააპელაციო პალატის განჩინების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია, რის გამოც იგი სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის "ე<sup>1</sup>" ქვეპუნქტის თანახმად, კანონის დარღვევით მიღებულად უნდა ჩაითვალოს

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მეორე ნაწილით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

#### **და ა ა დ გ ი ნ ა:**

1. ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიის საკასაციო საჩივარი;

2. გაუქმდეს მოცემულ საქმეზე თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 6 მაისის განჩინება და საქმე ხელახალი განხილვისათვის დაუბრუნდეს იმავე პალატას;

3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

#### **მტკიცებულებების სრულყოფილად გამოკვლევა და სათანადო მოპასუხის განსაზღვრა**

#### **განჩინება**

#ბს-552-523(კ-09)

24 ნოემბერი, 2009 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა**  
**შემადგენლობა: ლ. მურუსიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),**

**მ. ვაჩაძე,**

**პ. სილაგაძე**

**სარჩელის საგანი:** თანხის დაკისრება

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიულმა პირმა - დაცვის პოლიციის დეპარტამენტმა სარჩელი აღძრა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში, მოპასუხის - შპს "... " მიმართ.

მოსარჩელის განმარტებით, მხარეებს შორის 2006 წლის 31 მარტს დაიდო სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება შპს "... " კუთვნილი ობიექტის დაცვის თაობაზე. აღნიშნული ხელშეკრულების საფუძველზე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირი - დაცვის პოლიციის დეპარტამენტი ახორციელებდა "შემსყიდველის" კუთვნილი ობიექტების, მათ შორის, სამტრედიის "... " სპორტული კომპლექსის დაცვას. 2007 წლის 1 აპრილს შპს "... " და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - დაცვის პოლიციის დეპარტამენტს შორის გაფორმდა ახალი ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ, რის შედეგადაც გაგრძელდა სახელმწიფო ურთიერთობა მითითებულ ორგანიზაციებს შორის. შესაბამისად, დაცვის პოლიციის დეპარტამენტის შესაბამისმა დანაყოფმა კვლავ განაგრძო სამტრედიის "... " სპორტული კომპლექსის დაცვა. აღნიშნული გარემოების დასაბუთებულად მოსარჩელე მიუთითებდა 2007 წლის 1 მაისს, 1 ივნისსა და 1 ივლისს გაწეული მომსახურების თაობაზე, შპს "... " და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის - დაცვის პოლიციის დეპარტამენტის წარმომადგენლების მიერ გაცემულ ცნობებზე, საიდანაც დასტურდებოდა მოსარჩელის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, რაც მოპასუხემ არ შესრულებულა, მას გადასახდელი ჰქონდა დაცვის მომსახურების ღირებულება 24 270,96 ლარი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დაცვის პოლიციის დეპარტამენტმა მოითხოვა შპს "... " მის სასარგებლოდ 24 270,96 ლარის გადახდა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 1 თებერვლის გადაწყვეტილებით საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის სასარჩელო განცხადება დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; მოპასუხეს - "... " მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა 17 100 ლარის გადახდა, ხოლო მოსარჩელეს უარი ეთქვა დარჩენილი თანხის - 7 170,96 ლარის მოპასუხე მხარისათვის დაკისრებაზე.

საქალაქო სასამართლომ საქმის მასალების მიხედვით დადგენილად მიიჩნია, რომ 2006 წლის 31 მარტს სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტსა და შპს "... " შორის გაფორმებულ იქნა შპს "... " ობიექტების დაცვის ხელშეკრულება. 2006 წლის დეკემბერში მხარეთა შეთანხმებით, მათ შორის, არსებულ სახელშეკრულებო ურთიერთობათა ფარგლებში და ამავე ხელშეკრულებით მომსახურების პირობებით სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტს დასაცავ ობიექტთა ნუსხაში დამატებით გადაეცა შპს "... " სადგურ "სამტრედიის" სპორტული კომპლექსი "... ". აღნიშნულ ობიექტზე მოსარჩელის მიერ დაცვა ხორციელდებოდა 2007 წლის ივნისამდე, რაც დასტურდებოდა საქმეში წარმოდგენილი ცნობებით.

საქალაქო სასამართლომ არ გაიზიარა მოპასუხის მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტსა და შპს "... " შორის გაფორმებული ახალი ხელშეკრულებით სადავო ობიექტი არ იყო გათვალისწინებული, რის გამოც მომსახურების საფასურის გადახდის ვალდებულება არ წარმოშობილა. სასამართლომ საქმის მასალებით დადგენილად მიიჩნია, რომ სამტრედიის სპორტული კომპლექსის "... " დაცვის სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენდა შპს "... " დირექტორთა საბჭოზე მიღებული გადაწყვეტილება, რის თაობაზეც სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტს გაეგზავნა შესაბამისი შეტყობინება ხელშეკრულებით დადგენილი პირობებით მითითებულ ობიექტზე მომსახურების გაწევის შესახებ. პირველი ინსტანციის სასამართლომ ასევე არ გაითვალისწინა მოპასუხე მხარის მოსაზრება 2007 წლის აპრილი, მაისი და ივნისის ცნობებზე შპს "... " მხრიდან ხელმოწერი პირების არაუფლებამოსილების თაობაზე და მიიჩნია, რომ აღნიშნული ცნობები წარმოადგენდა ვალის აღიარებას და ადასტურებდა მათში მითითებულ თვეებში დაცვის პოლიციის შესაბამისი თანამშრომლების მიერ სპორტკომპლექს "... " დაცვის განხორციელებას. საქალაქო სასამართლომ ასევე არ გაიზიარა მოპასუხის მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ რაკი 2007 წლის 12 აპრილიდან დასაცავი ობიექტი აღარ წარმოადგენდა შპს "... " საკუთრებას, თანხის ანაზღაურების ვალდებულება მას არ წარმოშობია. სასამართლომ განმარტა, რომ მოპასუხეს დასაცავი ობიექტის მისი საკუთრების სფეროდან გასვლის თაობაზე არ შეუტყობინებია დაცვის პოლიციისათვის და მოსარჩელეს არ შეეძლო ევარაუდა, რომ დაცვის ობიექტთან დაკავშირებით ვალდებულების შესრულების სამართლებრივი საფუძველი აღარ არსებობდა, რის გამოც მან კეთილსინდისერად განაგრძო ხელშეკრულების შესრულება, მოპასუხეს მომსახურების საფასურის გადახდის ვალდებულება წარმოეშვა. საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოსარჩელის მოთხოვნა 2007 წლის ივნისსა და ივლისში გაწეული მომსახურების ანაზღაურების თაობაზე არ გამომდინარეობდა საქმის ფაქტობრივი გარემოებებიდან.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 1 თებერვლის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიულმა პირმა - დაცვის პოლიციის დეპარტამენტმა, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების ნაწილობრივ - შპს "... " 17 100 ლარის დაკისრების ნაწილში გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 1 თებერვლის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ასევე შპს "... ", რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების ნაწილობრივ - შპს "... " 17 100 ლარის დაკისრების ნაწილში გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 13 თებერვლის განჩინებით საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის - დაცვის პოლიციის დეპარტამენტისა და შპს "... " სააპელაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 1 თებერვლის გადაწყვეტილება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 13 თებერვლის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიულმა პირმა - დაცვის პოლიციის დეპარტამენტმა, რომელმაც სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის მოთხოვნის - 7170,96 ლარის მოპასუხისათვის დაკისრების ნაწილში დაკმაყოფილება მოითხოვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 13 თებერვლის განჩინება თანხის დაკისრების ნაწილში საკასაციო წესით გაასაჩივრა შპს "...", რომელმაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2009 წლის 20 ივლისის განჩინებით შპს "... საკასაციო საჩივარი ცნობილ იქნა დაუშვებლად, ხოლო ამავე სასამართლოს 2009 წლის 20 ივლისის განჩინებით საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის - დაცვის პოლიციის დეპარტამენტის საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დასაშვებლად საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის "ა" ქვეპუნქტით და მისი განხილვა დაინიშნა მხარეთა დასწრებით 2009 წლის 10 ნოემბერს, 14 საათზე.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა გაეცნო საქმის მასალებს, შეამოწმა გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობა, სსიპ დაცვის პოლიციის საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა და თვლის, რომ წარმოდგენილი საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, უნდა გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციული საქმეთა სააპელაციო პალატის 2009 წლის 1 თებერვლის განჩინება დაშვებულ ნაწილში და საქმე ამ ნაწილში ხელახლა განსახილველად უნდა დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლოს, საქმის მასალების მიხედვით, დადგენილად მიაჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

შპს "... და სსიპ - დაცვის პოლიციის დეპარტამენტს შორის 2006 წლის 31 მარტს გაფორმდა #შს/06-049 ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ. შესყიდვის საგანს წარმოადგენდა რკინიგზის ობიექტების დაცვის მომსახურება. ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრა 2007 წლის 1 აპრილამდე. ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში შპს "... დირექტორთა საბჭოს 2006 წლის 8 დეკემბრის #21/137 დადგენილებით მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული შპს "... სამტრედიის "... სტადიონისა და მის ბაზაზე არსებული სპორტული კომპლექსის შს სსიპ - დაცვის პოლიციის დეპარტამენტის სამმართველოს მიერ დაცვის ქვეშ აყვანა, აღნიშნული ობიექტის სახელმწიფოსათვის გადაცემის პროცედურის დასრულებამდე. აღნიშნული დადგენილების თაობაზე 2006 წლის 21 დეკემბრის წერილით ეცნობა შს სსიპ - დაცვის პოლიციის დეპარტამენტს და ეთხოვა ობიექტის დაცვის ქვეშ აყვანა. საქმეში წარმოდგენილი 2006 წლის 28 დეკემბრის აქტით დგინდება, რომ დაცვის პოლიციის დეპარტამენტმა დააყენა დაცვა სადგურ სამტრედიის "... სპორტულ კომპლექსზე 1 ინსპექტორისა და 15 უმცროსი ინსპექტორის სამტატო ერთეულით. სსიპ "საწარმოთა მართვის სააგენტოს" 2007 წლის 11 იანვრის #1-3/13 ბრძანებით შპს "... საწესდებო კაპიტალი შემცირდა 2 456 040 ლარით საწესდებო კაპიტალიდან რიგი ობიექტების, მათ შორის, ქ. სამტრედიის "... ბაზაზე არსებული სპორტული კომპლექსის ამოღებით. საწესდებო კაპიტალი ნაცვლად 587 274 740 ლარისა განისაზღვრა 584 818 700 ლარით. შპს "... გენერალურ დირექტორს, ბრძანების აღსრულების მიზნით უნდა უზრუნველყო დადგენილი წესით საზოგადოების სამეწარმეო რეესტრში აღნიშნული ცვლილების რეგისტრაცია და სათანადო დოკუმენტაციის წარდგენა სსიპ "საწარმოთა მართვის სააგენტოში". 2007 წლის 12 აპრილს საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების რაჭა-ლეჩხუმ-იმერეთის სამხარეო სამმართველოსა და სამტრედიის მუნიციპალიტეტს შორის გაფორმდა ხელშეკრულება შპს "... საწესდებო კაპიტალიდან ამოღებული უძრავი ქონების, მდებარე სამტრედიის, ... ქ. #95-ში მდებარე სამტრედიის "... ბაზაზე არსებული სპორტული კომპლექსისა და მასზე დამაგრებული მიწის ნაკვეთის სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში გადაცემის თაობაზე. ამავე დღეს აღნიშნული უძრავი ქონება მიღება-ჩაბარების აქტით გადაეცა სამტრედიის მუნიციპალიტეტს. საქმეში წარმოდგენილი ორმხრივად დადასტურებული 2007 წლის 1 მაისის, 1 ივნისისა და 1 ივლისის ცნობებით დგინდება, რომ შესაბამისად, აპრილში, მაისსა და ივნისში დაცვის პოლიციის დეპარტამენტის მიერ გაწეული მომსახურება მიღებულ იქნა შპს "... მიერ. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სასარჩელო მოთხოვნის ამ ნაწილის მიმართ შპს "... საკასაციო საჩივარი ცნობილია დაუშვებლად და თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 1 თებერვლის განჩინება ამ ნაწილში კანონიერ ძალაშია შესული.

დადგენილია, რომ საქართველოს შს სსიპ - დაცვის პოლიციის დეპარტამენტის იმერეთი-გურიის რეგიონალური დაცვის პოლიციის სამმართველოს უფროსის 2007 წლის 8 აგვისტოს ბრძანებით, შპს "... სტადიონი და მის ბაზაზე არსებული სპორტული კომპლექსი მოხსნილი

იქნა დაცვიდან და დადგინდა ობიექტიდან პოლიციელების გამოყვანა შესაბამისი აქტით. ამავე დღეს შედგენილი ოქმი #1-ით დგინდება, რომ შპს "... " სადგურ სამტრედიის დირექტორმა უარი განაცხადა ობიექტიდან დაცვის პოლიციელების გამოყვანის აქტის ხელმოწერაზე, ვინაიდან არ იყო უფლებამოსილი, დაედასტურებია აღნიშნული. ამავე დღეს შედგენილი აქტით დგინდება, რომ აღნიშნული ობიექტიდან გამოყვანილ იქნა დამცავი პოლიციელები, რაზეც შედგა სათანადო აქტი და დამტკიცებულ იქნა ერთი მხრივ იმერეთი-გურიის რეგიონალური დაცვის პოლიციის სამმართველოს უფროსის, ხოლო მეორე მხრივ, შპს "... " დირექტორის მიერ. ასევე შედგა მიღება-ჩაბარების აქტი შპს სპორტული კომპლექსი "... " გადაბარების თაობაზე, რაც დადასტურებულ იქნა როგორც დაცვის პოლიციის ასევე შპს სპორტული კომპლექსი "... " დირექტორის, ამავე კომპლექსის მთავარი სპეციალისტისა და სპეციალისტის მიერ. ამდენად, საკასაციო პალატა დადასტურებულად მიიჩნევს იმ ფაქტს, რომ სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის მიერ 2007 წლის 8 აგვისტომდე ხორციელდებოდა შპს "... " დირექტორთა საბჭოს 2006 წლის 8 დეკემბრის #21/137 დადგენილებით გათვალისწინებული ობიექტის დაცვა.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სსიპ "საწარმოთა მართვის სააგენტოს" 2007 წლის 11 იანვრის #1-3/13 ბრძანებით განხორციელებული ცვლილება - საწესდებო კაპიტალიდან რიგი ობიექტების, მათ შორის, ქ. სამტრედიის "... " ბაზაზე არსებული სპორტული კომპლექსის ამოღებით შპს "... " საწესდებო კაპიტალის შემცირება, კანონიერ ძალაში შესასვლელად საჭიროებდა სამეწარმეო რეესტრში რეგისტრაციას მეწარმეთა შესახებ კანონის 5.3.3 და 5<sup>6</sup>.1, 5<sup>6</sup>.2 პუნქტების თანახმად. ამასთან, შპს "... " ბალანსზე არსებული უძრავი ქონების სამტრედიის მუნიციპალიტეტი-სათვის გადაცემა საჭიროებდა საჯარო რეესტრში რეგისტრაციას. საკასაციო სასამართლო სააპელაციო სასამართლოს ყურადღებას მიაქცევს ზემოაღნიშნული ნორმების შინაარსს და თვლის, რომ სააპელაციო სასამართლო შემოიფარგლა რა მხოლოდ იმ მოსაზრებით, რომ საქმეში არ იყო წარმოდგენილი რაიმე მტკიცებულება, ორმხრივად დადასტურებული აქტი შპს "... " მხრიდან სადავო თვეებში დაცვის განხორციელების აღიარების თაობაზე, არ დაადგინა საქმის გადასაწყვეტად საჭირო ფაქტობრივი გარემოება, კერძოდ, გაურკვეველი დარჩა საკითხი იმის შესახებ, თუ ვის საკუთრებაში იმყოფებოდა ფართი სადავო პერიოდში, კერძოდ, გადაეცა რა მუნიციპალიტეტს შპს "... " ბალანსზე არსებული ქონება საკუთრებაში, მისი საწესდებო კაპიტალის შემცირების გზით, ზემოაღნიშნული ნორმების სრული დაცვით მოხსნილ იქნა თუ არა ქონება შპს "... " ბალანსიდან და წარმოეშვა საკუთრების უფლება სამტრედიის მუნიციპალიტეტს. იმის გასარკვევად შპს "... " ეკისრება თუ არა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულება, აანაზღაუროს 2007 წლის ივლის-აგვისტოში გაწეული დაცვის მომსახურების საფასური, უნდა დადგინდეს, ამ დროისათვის ვის ბალანსზე ირიცხებოდა დასაცავი ქონება.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საქმეში წარმოდგენილი არ არის შპს "... " ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან, სადაც რეგისტრირებული იქნებოდა საწარმოს საწესდებო კაპიტალის ცვლილება. ასევე საქმეს არ ერთვის ამონაწერი საჯარო რეესტრიდან, სადაც მითითებული იქნებოდა უძრავი ნივთის მესაკუთრის ცვლილება. ამდენად, საქმეში არსებული მტკიცებულებების ერთობლივი ანალიზი ვერ ცხადყოფს სადავო პერიოდისათვის, 2007 წლის ივლის-აგვისტოში სამტრედიისში, ... ქ. #95-ში მდებარე სამტრედიის "... " ბაზაზე არსებული სპორტული კომპლექსი იყო თუ არა მოხსნილი შპს "... " ბალანსიდან, დასრულებული იყო თუ არა საწესდებო კაპიტალიდან ამოღებული ქონების სახელმწიფოსათვის გადაცემის პროცესი. აღნიშნული გარემოებების გამოკვლევით შესაძლოა, დღისწესრიგში დადგეს სასარჩელო მოთხოვნის ამ ნაწილის მიმართ მოპასუხის სათანადოობის საკითხი.

შესაბამისად, სააპელაციო სასამართლომ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-4 და მე-19 მუხლებით მინიჭებული უფლებამოსილების საფუძველზე უნდა გამოიკვლიოს საქმის მასალებში დაცული მტკიცებულებები, ასევე გამოითხოვოს დამატებითი მტკიცებულებები, რათა სრულყოფილად დადგინდეს დაცვის გადასაწყვეტად საჭირო ფაქტობრივი გარემოებები.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ კასატორის მიერ წამოყენებული საკასაციო პრეტენზია შეიცავს დასაბუთებულ არგუმენტაციას გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონშეუსაბამობის თაობაზე და სსკ-ის 412-ე მუხლის შესაბამისად, მოცემული საქმე ექვემდებარება ხელახლა განხილვას, რა დროსაც სააპელაციო სასამართლომ უნდა იმსჯელოს ზემოაღნიშნულ გარემოებებზე და მათი გამოკვლევისა და შეფასების შედეგად მიიღოს გადაწყვეტილება.



**სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

**და ა ა დ გ ი ნ ა:**

1. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის - დაცვის პოლიციის დეპარტამენტის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 13 თებერვლის განჩინება დაშვებულ ნაწილში და საქმე ამ ნაწილში ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე პალატას;
3. სასამართლო ხარჯების განაწილების საკითხი გადაწყდეს საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებისას;
4. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**საკასაციო ინსტანციაში ახალი მტკიცებულებების წარდგენის დაუშვებლობა**

**განჩინება**

#ბს-1353-1292(კ-09) 16 დეკემბერი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ნ. ქადაგიძე,  
ლ. მურუსიძე

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა ლ. ს-ძის შუამდგომლობა დამატებითი მტკიცებულებების მოპოვებისა და საქმეზე დართვის თაობაზე.

**აღწერილობითი ნაწილი:**

ლ. ს-ძემ 28.09.09წ. საკასაციო საჩივრით მიმართა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატას, მოწინააღმდეგე მხარის - საქართველოს ნოტარიუსთა პალატის მიმართ, რომლითაც თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 07.07.09წ. განჩინების გაუქმება და მისი სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილება მოითხოვა. ამასთან, კასატორმა ნოტარიუსი ნ. ხ-ანის მოწმის სახით დაბარება და ნ. ხ-ანის 12.08.09წ. შესაგებლის საქმეზე მტკიცებულების სახით დართვა იშუამდგომლა, რაც, კასატორის მოსაზრებით, სასამართლოს მისცემს საფუძველს, მიიღოს ახალი გადაწყვეტილება.

**სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, შუამდგომლობის საფუძვლიანობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ის არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). აღნიშნულიდან გამომდინარე საკასაციო ინსტანციაში საქმის წარმოების დროს, სასამართლო მოკლებულია ახალი მტკიცებულებების მოპოვების შესაძლებლობას, საკასაციო პალატა არ წარმოადგენს საქმის ფაქტობრივი გარემოებების დამდგენ სასამართლოს, საპროცესო კანონმდებლობა არ ითვალისწინებს საკასაციო ინსტანციაში ახალი ფაქტობრივი გარემოებების დადგენის და მტკიცებულებების მიღების შესაძლებლობას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე საკასაციო სასამართლო არ არის უფლებამოსილი მიიღოს ახალი მტკიცებულებები, რის გამოც ლ. ს-ძის შუამდგომლობა არ უნდა დაკმაყოფილდეს.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე, 284-ე და 285-ე მუხლებით და

### **და ა ა დ გ ი ნ ა:**

1. ლ. ს-ძის შუამდგომლობა მოწმის დაბარებისა და საკასაციო პალატის მიერ ახალი მტკიცებულებების მიღების თაობაზე არ დაკმაყოფილდეს;
2. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## **2. სარჩელის უზრუნველყოფა**

### **ყადაღის დადება**

#### **განჩინება**

#ბს-1364-1322(კს-08) 14 იანვარი, 2009 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა**  
**შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),**  
**ნ. ქადაგიძე,**  
**ლ. მურუსიძე**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა გ. ჯ-ძის საჩივარი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 22.09.08წ. განჩინებაზე.

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

გ. ჯ-ძემ 21.03.08წ. სასარჩელო განცხადებით მიმართა წყალტუბოს რაიონულ სასამართლოს მოპასუხის - წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამგეობის წინააღმდეგ, რომლითაც მოპასუხის 12.02.08წ. #35 ბრძანების ბათილად ცნობა, წყალტუბოში, ... ქუჩის მე-2 ჩიხის #1/8-ში არსებული საცხოვრებელი ფართის კანონიერ მოსარგებლედ ცნობა და მოპასუხისათვის მის სახელზე აღნიშნული ფართის პრივატიზაციის დავალება მოითხოვა.

წყალტუბოს რაიონული სასამართლოს 28.05.08წ. საოქმო განჩინებით საქმეში მესამე პირად იქნა ჩაბმული გ. ბ-ძე.

წყალტუბოს რაიონული სასამართლოს 01.07.08წ. გადაწყვეტილებით მოსარჩელე გ. ჯ-ძის სასარჩელო მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა უსაფუძვლობის გამო. აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა გ. ჯ-ძემ.

გ. ჯ-ძემ 19.09.08წ. სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განცხადებით მიმართა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას, რომლითაც გ. ბ-ძის სახელზე რიცხულ სადავო ბინაზე ყადაღის დადება, საქართველოს შს იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს წყალტუბოს რაიონული სამმართველოს თანამშრომლებისათვის განმცხადებლის ბინიდან გამოსახლების და დავის საბოლოოდ გადაწყვეტამდე, სადავო ბინის გ. ბ-ძისათვის გადაცემის აკრძალვა მოითხოვა.

განმცხადებლის მითითებით, მისთვის ცნობილი გახდა, რომ გ. ბ-ძე აპირებს სადავო ბინის გაყიდვას, რის შესაძლებლობასაც მას აძლევს ის ფაქტი, რომ წყალტუბოს სარეგისტრაციო სამსახურში იგი რეგისტრირებულია სადავო ბინის მესაკუთრედ. გ. ბ-ძის მიერ სადავო ბინის გასხვისება სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში, გააძნელებდა ან შეუძლებელს გახდიდა გადაწყვეტილების აღსრულებას.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 22.09.08წ. განჩინებით გ. ჯ-ძის განცხადება სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შესახებ დაკმაყოფილდა ნაწილობრივ - ყადაღა დაედო გ. ბ-ძის საკუთრებაში რიცხულ საცხოვრებელ ბინას, მდებარე ქ. წყალტუბოში, ... ქ. II ჩიხის, #1/8-ში, დანარჩენ ნაწილში განცხადება არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო პალატამ მიუთითა, რომ გ. ბ-ძის მიერ სადავო სახლის გასხვისება მომავალში გააძნელებს ან შეუძლებელს გახდის საქმეზე მიღებული გადაწყვეტილების აღსრულებას. ამდენად, მოსარჩელის მოთხოვნა, გ. ბ-ძის სახელზე რიცხულ სადავო ქონებაზე ყადაღის დადების შესახებ, საფუძვლიანად და დასაბუთებულად იქნა მიჩნეული. რაც შეეხება განმცხადებლის მოთხოვნას, სა-

ქართველოს შს იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს წყალტუბოს რაიონული სამმართველოსათვის მოპასუხე გ. ბ-მეზე ქონების გადაცემის აკრძალვასა და მის მიმართ რაიმე ვალდებულების შესრულების შესახებ, სააპელაციო პალატამ მიუთითა, რომ გ. ჯ-ძის მიერ წარმოდგენილია გ. ბ-ძის განცხადება წყალტუბოს შს რაიონული განყოფილების მიმართ გ. ჯ-ძის ბინიდან გამოსახლების შესახებ, მაგრამ განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი არ არის იმის დამადასტურებელი მტკიცებულება, რომ წყალტუბოს შს რაიონული განყოფილების მიერ მიღებულია რაიმე აქტი გ. ჯ-ძის სადავო ბინიდან გამოსახლების შესახებ, რის გამოც განცხადება ამ ნაწილში არ დაკმაყოფილდა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 22.09.08წ. განჩინებაზე იმავე სასამართლოში საჩივარი წარადგინა გ. ჯ-ძემ, რომელმაც მოითხოვა განჩინების იმ ნაწილის გაუქმება, რომლითაც უარი ეთქვა განცხადების დაკმაყოფილებაზე და შს იმერეთის რაჭა-ლეჩხუმის და ქვემო სვანეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს წყალტუბოს რაიონული სამმართველოსათვის გ. ბ-ძის სასარგებლოდ ქმედების განხორციელების აკრძალვა.

საჩივრის ავტორმა მიუთითა, რომ 24.09.08წ. ჩაჰბარდა წყალტუბოს რაიონული სამმართველოს გაფრთხილება "საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთის ხელყოფის ან სხვაგვარად ხელშეშლის აღკვეთის შესახებ". გ. ჯ-ძის მოსაზრებით, თუ წყალტუბოს შს რაიონული სამმართველო მას გამოსახლებს სადავო საცხოვრებელი ბინიდან, სარჩელის მოთხოვნის დაკმაყოფილების შემთხვევაში, გამწვანდება ან შესაძლოა, შეუძლებელი გახდეს გადაწყვეტილების აღსრულება.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 20.10.08წ. განჩინებით გ. ჯ-ძის საჩივარი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 22.09.08წ. განჩინებაზე, როგორც უსაფუძვლო, გადაეცა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატას.

სააპელაციო პალატამ მიუთითა, რომ გ. ჯ-ძის განცხადება სადავო ბინაზე ყადაღის დადების შესახებ დაკმაყოფილდა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 22.09.08წ. განჩინებით. ამდენად, სასამართლოს მიერ გამოყენებულია ისეთი უზრუნველყოფის ღონისძიება, რომლის გამოყენებლობა მართლაც გააძნელებდა ან შეუძლებელს გახდიდა საქმეზე მიღებული გადაწყვეტილების აღსრულებას. რაც შეეხება უზრუნველყოფის ღონისძიების სახით მესამე პირისათვის გარკვეული ქმედების, კერძოდ, მოსარჩელების ბინიდან გამოსახლების აკრძალვის გამოყენებლობას, აღნიშნული ვერ გააძნელებს ამ საქმეზე მიღებული გადაწყვეტილების აღსრულებას.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო ზეპირი მოსმენის გარეშე, საქმის მასალების შესწავლისა და წარმოდგენილი საჩივრის დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ გ. ჯ-ძის საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 191-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, მოსარჩელეს შეუძლია მიმართოს სასამართლოს სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განცხადებით, რომელიც უნდა შეიცავდეს მითითებას იმ გარემოებებზე, რომელთა გამოც უზრუნველყოფის ღონისძიებათა მიუღებლობა გააძნელებს ან შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების აღსრულებას და შესაბამის დასაბუთებას, თუ უზრუნველყოფის რომელი ღონისძიების გატარება მიაჩნია მოსარჩელეს აუცილებლად. თუ სასამართლოს გაუჩნდება დასაბუთებული ვარაუდი, რომ უზრუნველყოფის ღონისძიებათა მიუღებლობა გააძნელებს ან შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების აღსრულებას, მას გამოაქვს განჩინება სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ მოცემულ საქმეზე დავის საგანია წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამგეობის 12.02.08წ. #35 ბრძანების ბათილად ცნობა, რომლითაც გ. ბ-ძეს უსასყიდლოდ გადაეცა ქ. წყალტუბოში, ... ქუჩის მე-2 ჩიხის #1/8-ში მდებარე იზოლირებული საცხოვრებელი (63,4 კვ.მ) და არასაცხოვრებელი (33,5 კვ.მ) ფართობი. ქ. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 30.09.08წ. გადაწყვეტილებით გ. ჯ-ძის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ - გაუქმდა წყალტუბოს რაიონული სასამართლოს 01.07.08წ. გადაწყვეტილება და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც გ. ჯ-ძის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ - ბათილად იქნა ცნობილი წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამგეობის 12.02.08წ. ბრძანება გ. ბ-ძისათვის ქ. წყალტუბოში, ... ქ. მე-2 ჩიხის, #1/8-ში მდებარე ბინის უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ, გ. ჯ-ძის სარჩელი დანარჩენ ნაწილში არ დაკმაყოფილდა. გ. ჯ-ძე საჩივრის დაკმაყოფილების საფუძვლად მიუთითებს საკუთრებაში არსებული

უძრავი ნივთის ხელყოფის ან სხვაგვარად ხელშეშლის აღკვეთის შესახებ 24.09.08წ. გაფრთხილებზე, რაც, საკასაციო პალატის აზრით, ვერ იქნება მიჩნეული საქმეზე გამოტანილი საბოლოო გადაწყვეტილების აღსრულების ხელისშემშლელ საფუძველად, რადგან ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 22.09.08წ. განჩინებით ნაწილობრივ დაკმაყოფილებულია გ. ჯ-ძის განცხადება სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შესახებ და ყადაღა დაედო გ. ბ-ძის საკუთრებაში რიცხულ საცხოვრებელ ბინას ქ. წყალტუბოში, ... ქ. II ჩიხის, #1/8-ში. აღნიშნული განჩინება წარმოადგენს გ. ბერიძისათვის სადავო ბინის განკარგვის ხელისშემშლელ დოკუმენტს, რის გამოც სასამართლოს მიერ გ. ჯ-ძის სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში, საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთის ხელყოფის ან სხვაგვარად ხელშეშლის აღკვეთის შესახებ 24.09.08წ. გაფრთხილება ვერ გააძნელებს მის სასარგებლოდ გამოტანილი გადაწყვეტილების აღსრულებას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ გ. ჯ-ძის საჩივარი არის დაუსაბუთებელი, რის გამოც არ არსებობს აღნიშნული საჩივრის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 191-ე, 197<sup>1</sup>-ე, 419-ე, 420-ე მუხლებით და

### **და ა ა დ გ ი ნ ა:**

1. გ. ჯ-ძის საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 22.09.08წ. და 20.10.08წ. განჩინებები;
3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

### **განცხადება სარჩელის უზრუნველყოფის თაობაზე**

#### **განჩინება**

#ბს-44-44(კს-09)

9 თებერვალი, 2009 წე., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა**  
**შემადგენლობა:** ლ. მურუსიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ნ. სხირტლაძე,  
პ. სილაგაძე

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საჩივარი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 19 ნოემბრის განჩინებაზე.

### **აღწერილობითი ნაწილი:**

საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ სასარჩელო განცხადებით მიმართა ჩხოროწყუს რაიონულ სასამართლოს, მოპასუხე შპს "...-ს" მიმართ და მოითხოვა: შპს "...-სთვის" სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ 550570 ლარის გადახდის დაკისრება; საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 198-ე მუხლის მე-2 ნაწილის "ა" ქვეპუნქტის საფუძველზე, სარჩელის უზრუნველყოფის მიზნით, სასარჩელო მოთხოვნის ფარგლებში, შპს "...-ს" უძრავ-მომრავ ქონებაზე, მათ შორის, საბანკო ანგარიშებზე, ფასიან ქაღალდებსა და ფულად სახსრებზე, რომლებიც მოპასუხეს ეკუთვნოდა და იყო მასთან ან სხვა პირთან, ყადაღის დადება, ვინაიდან საქმის ხანგრძლივი დროის განმავლობაში განხილვა ქმნიდა იმის საშიშროებას, რომ მოპასუხის მიერ შესაძლებელი იყო გასხვისებულიყო მის საკუთრებაში არსებული ქონება ან დაკმაყოფილებულიყვნენ სხვა კრედიტორები, რაც შემდგომში შეუძლებელს გახდიდა გადაწყვეტილების აღსრულებას და მნიშვნელოვან ზიანს მიაყენებდა სახელმწიფო ბიუჯეტს; საქმის დაჩქარებული წესით განხილვა, რადგან სარჩელით მოთხოვნილი თანხა იყო სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაცემული სესხი.

მოსარჩელის განმარტებით, "მეჩაივობის დარგში აღდგენისა და რეაბილიტაციის ღონისძიებათა შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 25 აპრილის #266 ბრძანებულების საფუძველზე,

შპს "...-ს" 1997 წელს აშშ-დან შემოტანილი ხორბლის რეალიზაციით მიღებული ამონაგებიდან სესხის სახით გამოეყო 170900 ლარი. 1998 წლის 5 ოქტომბერს საქართველოს ფინანსთა სამინისტროსა და შპს "...-ს" შორის გაფორმდა #141 ხელშეკრულება, რომლის 1.1 პუნქტის თანახმად, შპს "...-ს" გამოეყო 170900 ლარი 3 წლის ვადით, წლიური 15%-იანი სარგებლის დარიცხვით. აღნიშნული ხელშეკრულების პირობებიდან გამომდინარე, 2005 წლის 1 ივნისის მდგომარეობით, შპს "...-ს" სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ სულ ერიცხებოდა დავალიანება - 550570 ლარი. მოსარჩელის მტკიცებით, მისი არაერთგზის მოთხოვნის მიუხედავად, შპს "...-ს" არ ასრულებდა ხსენებული ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს და არღვევდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 361-ე მუხლის მოთხოვნებს.

შპს "...-მ" ჩხოროწყუს რაიონულ სასამართლოში წარადგინა შესაგებელი, რომლითაც არ ცნო სარჩელი და მოითხოვა მის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

ჩხოროწყუს რაიონული სასამართლოს 2008 წლის 16 ივლისის გადაწყვეტილებით საქართველოს ფინანსთა სამინისტროს უარი ეთქვა სარჩელის დაკმაყოფილებაზე ხანდაზმულობის ვადის გასვლის გამო.

ჩხოროწყუს რაიონული სასამართლოს 2008 წლის 16 ივლისის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება. საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ ასევე დააყენა შუამდგომლობა, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 198-ე მუხლის მე-2 ნაწილის "ა" ქვეპუნქტის საფუძველზე, სარჩელის უზრუნველყოფის მიზნით, სასარჩელო მოთხოვნის ფარგლებში, შპს "...-ს" მოძრავ ქონებაზე, მათ შორის, საბანკო ანგარიშებზე, ფასიან ქაღალდებსა და ფულად სახსრებზე, რომლებიც მოპასუხეს ეკუთვნოდა და იყო მასთან ან სხვა პირთან, ყადაღის დადების თაობაზე, ვინაიდან საქმის ხანგრძლივი დროის განმავლობაში განხილვა ქმნიდა იმის საშიშროებას, რომ მოპასუხის მიერ შესაძლებელი იყო გასხვისებულიყო მის საკუთრებაში არსებული ქონება ან დაკმაყოფილებულიყვნენ სხვა კრედიტორები, რაც შემდგომში შეუძლებელს გახდიდა გადაწყვეტილების აღსრულებას და მნიშვნელოვან ზიანს მიაყენებდა სახელმწიფო ბიუჯეტს.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატამ 2008 წლის 31 ოქტომბრის ხარვეზის შესახებ განჩინებით მიიჩნია, რომ სააპელაციო საჩივარში მხარის მიერ დაყენებული შუამდგომლობა, თავისი შინაარსით, წარმოადგენდა სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განცხადებას, რომელიც წარდგენილი უნდა ყოფილიყო საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 191-ე მუხლით გათვალისწინებული წესების დაცვით, რაც განმცხადებლის მიერ არ იყო შესრულებული. სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ საპროცესო კანონმდებლობით განსაზღვრული იყო არა მხოლოდ მხარეთა საპროცესო უფლებები, არამედ - საპროცესო მოვალეობებიც. მხარის ერთ-ერთი უფლება - სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გატარების მოთხოვნა შეიცავდა საპროცესო ვალდებულებას აღნიშნული მოთხოვნის დასაბუთებისა და შესაბამისი მტკიცებულების წარდგენის შესახებ, კერძოდ, წარმოდგენილი უნდა ყოფილიყო მოძრავი ქონების, საბანკო ანგარიშების, ფასიანი ქაღალდებისა და ფულადი სახსრების ჩამონათვალი, რომლებსაც უნდა დადებოდა ყადაღა და ამ ქონების და საბანკო ანგარიშების მოპასუხისადმი კუთვნილების დამადასტურებელი დოკუმენტი. აღნიშნული მონაცემების არარსებობის პირობებში, სასამართლო ვერ იმსჯელებდა მოთხოვნილი უზრუნველყოფის ღონისძიების გატარებაზე, რის გამოც საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 192-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილების ანალოგიით, მხარეს უნდა დადგენოდა ხარვეზი. ხარვეზის შესახებ ხსენებული განჩინებით საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ხარვეზის აღმოსაფხვრელად განესაზღვრა ვადა - 10 დღე, იმავე განჩინების ასლის ჩაბარებიდან და განემარტა, რომ ამ ვადაში ხარვეზის შეუვსებლობის შემთხვევაში, სასამართლო თავისი განჩინებით განცხადებას განუხილველად დატოვებდა.

საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ 2008 წლის 17 ნოემბრის #08-01/11146 წერილით მიმართა ჩხოროწყუს რაიონულ სასამართლოს და აღნიშნა, რომ სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ შუამდგომლობაში მან მიუთითა იმ გარემოებებზე, რომელთა გამოც უზრუნველყოფის ღონისძიებათა მიუღებლობა გააძნელებდა ან შეუძლებელს გახდიდა გადაწყვეტილების აღსრულებას, ხოლო საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 191-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ცნობა საჯარო რეესტრიდან ან შესაბამისი დოკუმენტი, რომლითაც დასტურდებოდა უძრავ ქონებაზე მოპასუხის საკუთრების უფლება, წარმოდგენილი უნდა ყოფილიყო მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ პირი ითხოვდა ყადაღის დადებას უძრავ ქონებაზე. შესაბამისად, უსაფუძვლო იყო სასამართლოს მითითება იმის თაობაზე, რომ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შუამდგომლობა სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ შეტანილი იყო საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 191-ე მუხლით გათვალისწინებული წესების დაუცველად. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 191-ე მუხლის თანახმად, პირი, რომელიც ითხოვდა მოძრავ ქონებაზე ყადაღის დადებას,

ვალდებული იყო, სასამართლოსთვის დაესაბუთებინა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების მართებულობა. სასამართლოს მითითება იმის თაობაზე, რომ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს უნდა წარმოედგინა შესაბამისი მტკიცებულებები, კერძოდ, მოძრავი ქონების, საბანკო ანგარიშების, ფასიანი ქაღალდებისა და ფულადი სახსრების ჩამონათვალი, რომლებსაც უნდა დადებოდა ყადაღა და მოპასუხისადმი მათი კუთვნილების დამადასტურებელი დოკუმენტი კანონშესაბამო იყო, რადგან, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 191-ე მუხლის მიხედვით, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ხსენებულ განჩინებაში მითითებული მტკიცებულებების წარმოდგენის ვალდებულება არ ჰქონდა. უსაფუძვლო და კანონსაწინააღმდეგო იყო სასამართლოს მითითება იმის თაობაზე, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 192-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილების ანალოგიით მხარეს უნდა დადგენოდა ხარვეზი და მისცემოდა 10 დღე მის აღმოსაფხვრელად, რადგან საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 192-ე მუხლის მე-2 ნაწილი ეხებოდა სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განცხადებას სასამართლოში სარჩელის აღძვრამდე და ამ განცხადების დაკმაყოფილების შემთხვევაში სასამართლოში სარჩელის შეტანის ვადებს. შესაბამისად, ამ ნორმების საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შუამდგომლობასთან დაკავშირებით, ანალოგიით გამოყენება, იყო უსაფუძვლო.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 19 ნოემბრის განჩინებით საქართველოს ფინანსთა სამინისტროს განცხადება სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შესახებ, განუხილველი დარჩა ხარვეზის შეუვსებლობის გამო.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ ხარვეზის შესახებ განჩინება განცხადების ავტორს ჩაჯბარდა 2008 წლის 7 ნოემბერს. 2008 წლის 19 ნოემბერს სააპელაციო სასამართლოში შევიდა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს 2008 წლის 17 ნოემბრის #08-01/11146 წერილი, სადაც მითითებული იყო, რომ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შესახებ სასამართლოსთვის განცხადებით მიმართვისას საქართველოს ფინანსთა სამინისტრო არ იყო ვალდებული, წარედგინა შესაბამისი მტკიცებულებები, კერძოდ, იმ მოძრავი ქონების, საბანკო ანგარიშების, ფასიანი ქაღალდებისა და ფულადი სახსრების ჩამონათვალი, რომლებზეც იგი ითხოვდა ყადაღის დადებას, ასევე - ამ ქონების შპს "...-ისთვის" კუთვნილების დამადასტურებელი დოკუმენტები. შესაბამისად, განცხადების ავტორმა მიიჩნია, რომ სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 31 ოქტომბრის ხარვეზის შესახებ განჩინება იყო უსაფუძვლო და კანონშესაბამო, რის გამოც მან უარი განაცხადა ხარვეზის შევსებაზე.

ამდენად, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ, ვინაიდან განცხადების ავტორმა სასამართლოს მიერ დანიშნულ ვადაში არ შეავსო ხარვეზი, სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ მისი განცხადება უნდა დარჩენილიყო განუხილველი.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 19 ნოემბრის განჩინებაზე საჩივარი წარადგინა საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ, რომელმაც მოითხოვა ხარვეზის შეუვსებლობის გამო განცხადების განუხილველად დატოვების შესახებ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 19 ნოემბრის განჩინების გაუქმება და სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შესახებ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შუამდგომლობის დაკმაყოფილება.

საჩივრის ავტორის განმარტებით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 191-ე მუხლის თანახმად, მოსარჩელეს შეუძლია მიმართოს სასამართლოს სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განცხადებით, რომელიც უნდა შეიცავდეს მითითებას იმ გარემოებებზე, რომელთა გამოც უზრუნველყოფის ღონისძიებათა მიუღებლობა გააძნელებს ან შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების აღსრულებას და შესაბამის დასაბუთებას, თუ უზრუნველყოფის რომელი ღონისძიების გატარება მიაჩნია მოსარჩელეს აუცილებლად. აღნიშნული მუხლის მოთხოვნები საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ სრულად არის დაცული, კერძოდ, საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ შუამდგომლობაში მიუთითა იმ გარემოებებზე, რომელთა გამოც უზრუნველყოფის ღონისძიებათა მიუღებლობა გააძნელებდა ან შეუძლებელს გახდიდა გადაწყვეტილების აღსრულებას. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შუამდგომლობაში მითითებულია, რომ, ვინაიდან საქმის განხილვა გრძელდება ხანგრძლივი დროის განმავლობაში, იქმნება საშიშროება, რომ შპს "...-ს" მიერ გასხვისებული იქნება ქონება და დაკმაყოფილდებიან სხვა კრედიტორები. სწორედ ამ გარემოებათა გამო საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ მოითხოვა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებად შპს "...-ს" მოძრავ ქონებაზე, საბანკო ანგარიშებსა და ფულად სახსრებზე ყადაღის დადება. ამასთან, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 191-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ცნობა საჯარო რეესტრიდან ან შესაბამისი დოკუმენტი, რომლითაც დასტურდება უძრავ ქონებაზე მოპასუხის საკუთრების უფლება, წარმოდგენილი უნდა იყოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ პირი ითხოვს ყადაღის დადებას უძრავ ქონებაზე. შესაბამისად, სასამართლოს მითითება, რომ სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შუამ-

დგომლობა შეტანილია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 191-ე მუხლით გათვალისწინებული წესების დაუცველად, უსაფუძვლოა. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 191-ე მუხლის მიხედვით, პირი, რომელიც ითხოვს მოძრავ ქონებაზე ყადაღის დადებას, ვალდებულია, სასამართლოს დაუსაბუთოს სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების მართებულობა. სასამართლო განჩინებაში მიუთითებს, რომ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს უნდა წარმოედგინა შესაბამისი მტკიცებულებები, კერძოდ, მოძრავი ქონების, საბანკო ანგარიშების, ფასიანი ქაღალდებისა და ფულადი სახსრების ჩამონათვალი და მოპასუხისადმი მათი კუთვნილების დამადასტურებელი დოკუმენტი. სასამართლოს ამგვარი მითითება კანონშეუსაბამოა, რადგან საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 191-ე მუხლის თანახმად, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სასამართლოს მიერ განჩინებაში მითითებული მტკიცებულებების წარმოდგენის ვალდებულება არ ჰქონდა.

საჩივრის ავტორის მტკიცებით, ხარვეზის შესახებ განჩინებაში სასამართლომ მიუთითა, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 192-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილების ანალოგიით, მხარეს უნდა დადგენოდა ხარვეზი და მისცემოდა ვადა - 10 დღე მის აღმოსაფხვრელად. სასამართლოს აღნიშნული მითითება უსაფუძვლო და კანონსაწინააღმდეგოა, რადგან საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 192-ე მუხლის მე-2 ნაწილი ეხება სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განცხადებას სასამართლოში სარჩელის აღძვრამდე და ამ განცხადების დაკმაყოფილების შემთხვევაში, სასამართლოში სარჩელის შეტანის ვადებს. შესაბამისად, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შუამდგომლობასთან დაკავშირებით, ამ ნორმების ანალოგიით გამოყენება უსაფუძვლოა. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ შუამდგომლობა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის ნორმების სრული დაცვით, ყოველგვარი ხარვეზის გარეშე იქნა შეტანილი.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 26 დეკემბრის განჩინებით საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საჩივარი არ დაკმაყოფილდა და საქმის მასალებთან ერთად, გადაეგზავნა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატას.

სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ საპროცესო კანონმდებლობით განსაზღვრული იყო არა მხოლოდ მხარეთა საპროცესო უფლებები, არამედ - საპროცესო მოვალეობებიც. მხარის ერთ-ერთი უფლება - სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გატარების მოთხოვნა შეიცავდა საპროცესო ვალდებულებას, აღნიშნული მოთხოვნის დასაბუთების და შესაბამისი მტკიცებულების წარდგენის შესახებ. მხარის მოთხოვნას წარმოადგენდა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 198-ე მუხლის მე-2 ნაწილის "ა" ქვეპუნქტით გათვალისწინებული უზრუნველყოფის ღონისძიების გატარება, კერძოდ, საბანკო ანგარიშებზე, მოძრავ ქონებაზე, ფასიან ქაღალდებსა და ფულად სახსრებზე ყადაღის დადება, რომლებიც მოპასუხეს ეკუთვნოდა და იყო მასთან ან სხვა პირთან. სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ, აღნიშნული ნორმის შინაარსიდან გამომდინარე, მხარის ვალდებულებას წარმოადგენდა, მიეთითებინა კონკრეტულ მოძრავ ქონებაზე, საბანკო ანგარიშებზე, ფასიანი ქაღალდებისა და ფულადი სახსრების ჩამონათვალი, რომლებსაც უნდა დადებოდა ყადაღა და ამ ქონების ან საბანკო ანგარიშების მოპასუხისადმი კუთვნილებაზე. ხსენებული მონაცემების არარსებობის პირობებში, სასამართლო ვერ იმსჯელებდა მოთხოვნილი უზრუნველყოფის ღონისძიების გატარებაზე. ამასთან, სააპელაციო სასამართლომ მიუთითა საქმეში დაცულ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის ფოტის რეგიონალური ცენტრის (საგადასახადო ინსპექცია) 2008 წლის 27 ივნისის #16-24/3-3/3608 წერილზე, რომლის თანახმადაც, 2008 წლის 27 ივნისის მდგომარეობით, შპს "...-ს" ბიუჯეტის მიმართ ერიცხებოდა დავალიანება - 109400,28 ლარი, რის გამოც ამ საწარმოს წარედგინა შეტყობინება გირავნობა/იპოთეკის შესახებ. საქმეში ასევე დაცული იყო საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ჩხოროწყუს სარეგისტრაციო სამსახურის 2008 წლის 11 ივლისის #22/51-199 წერილი, რომლის თანახმად, შპს "...-ს" უძრავი ქონება არ ერიცხებოდა, ხოლო სს "სახალხო ბანკის" ჩხოროწყუს ფილიალის 2008 წლის 11 ივლისის #48 წერილის მიხედვით, შპს "...-ს", სამეწარმეო საქმიანობის შეჩერების გამო, 2001 წლიდან საბანკო ოპერაციები არ განუხორციელებია, რის გამოც მისი საბანკო ანგარიში დაიხურა.

რაც შეეხებოდა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საჩივარში ხაზგასმულ გარემოებას 2008 წლის 31 ოქტომბრის განჩინებაში მითითებული საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 192-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილების ანალოგიით გამოყენებაზე, სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ აღნიშნული წარმოადგენდა აშკარა მექანიკურ უსწორობას, კერძოდ, ამ კოდექსის 191-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილების ნაცვლად, მითითებული იყო ამავე კოდექსის 192-ე მუხლი. ხსენებული უსწორობის მექანიკურ ხასიათზე მიუთითებდა ის გარემოება, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 192-ე მუხლს საერთოდ არ გააჩნდა მე-3 ნაწილი და სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განცხადების ამ კოდექსის 191-ე მუხლთან შეუსაბამობის შემთხვევაში, ხარვეზის დადგენას ითვალისწინებდა სწორედ ამავე კოდექსის 191-ე მუხლის მე-2 და

მე-3 ნაწილები, რომლებზეც ანალოგიის წესით იქნა მითითებული 2008 წლის 31 ოქტომბრის განჩინებაში.

ამდენად, სააპელაციო სასამართლო მივიდა დასკვნამდე, რომ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შუამდგომლობა (განცხადება) სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების თაობაზე კანონიერად იქნა დატოვებული განუხილველად ხარვეზის შეუვსებლობის გამო და საჩივარში მოყვანილი არგუმენტები არ ქმნიდა გასაჩივრებული განჩინების გაუქმების საფუძვლებს.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2009 წლის 20 იანვრის განჩინებით საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საჩივარი მიღებულ იქნა წარმოებაში და მისი განხილვა დაინიშნა მხარეთა დასწრების გარეშე.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლისა და წარმოდგენილი საჩივრის დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს.

საკასაციო სასამართლოს საქმის მასალების მიხედვით, დადგენილად მიაჩნია შემდეგი გარემოებები: ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 31 ოქტომბრის ხარვეზის შესახებ განჩინებით საქართველოს ფინანსთა სამინისტროს დაუდგინდა ხარვეზი და დაევალა მოძრავი ქონების, საბანკო ანგარიშების, ფასიანი ქაღალდებისა და ფულადი სახსრების ჩამონათვალის, რომლებსაც უნდა დადებოდა ყადაღა და ამ ქონების და საბანკო ანგარიშების მოპასუხისადმი კუთვნილების დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენა, იმავე განჩინების ასლის ჩაბარებიდან 10 დღის ვადაში და განემარტა, რომ ამ ვადაში ხარვეზის შეუვსებლობის შემთხვევაში, სასამართლო თავისი განჩინებით განცხადებას განუხილველად დატოვებდა. საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ 2008 წლის 17 ნოემბრის #08-01/11146 წერილით მიმართა ჩხოროწყუს რაიონულ სასამართლოს და აღნიშნა, რომ სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ შუამდგომლობაში მან მიუთითა იმ გარემოებებზე, რომელთა გამოც უზრუნველყოფის ღონისძიებათა მიუღებლობა გააძნელებდა ან შეუძლებელს გახდიდა გადაწყვეტილების აღსრულებას, ხოლო საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 191-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ცნობა საჯარო რეესტრიდან ან შესაბამისი დოკუმენტი, რომლითაც დასტურდებოდა უძრავ ქონებაზე მოპასუხის საკუთრების უფლება, წარმოდგენილი უნდა ყოფილიყო მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ პირი ითხოვდა ყადაღის დადებას უძრავ ქონებაზე, რის გამოც უსაფუძვლო იყო სასამართლოს მითითება იმის თაობაზე, რომ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შუამდგომლობა სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ, შეტანილი იყო საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 191-ე მუხლით გათვალისწინებული წესების დაუცველად - საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ხსენებულ განჩინებაში მითითებული მტკიცებულებების წარმოდგენის ვალდებულება არ ჰქონდა. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 19 ნოემბრის განჩინებით საქართველოს ფინანსთა სამინისტროს განცხადება სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შესახებ, განუხილველი დარჩა ხარვეზის შეუვსებლობის გამო. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 19 ნოემბრის განჩინებაზე საჩივარი წარადგინა საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ, რომელმაც მოითხოვა ხარვეზის შეუვსებლობის გამო განცხადების განუხილველად დატოვების შესახებ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 19 ნოემბრის განჩინების გაუქმება და სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შესახებ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შუამდგომლობის დაკმაყოფილება. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 26 დეკემბრის განჩინებით საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საჩივარი არ დაკმაყოფილდა და საქმის მასალებთან ერთად, გადაეგზავნა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატას.

საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებას იმის შესახებ, რომ, ვინაიდან განცხადების ავტორმა - საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ უარი განაცხადა ხარვეზის შევსებაზე, ამდენად, განცხადების ავტორმა სასამართლოს მიერ დანიშნულ ვადაში არ შეავსო ხარვეზი და სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ მისი განცხადება უნდა დარჩენილიყო განუხილველი.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 191-ე მუხლის პირველ ნაწილზე, რომლის თანახმად, მოსარჩელეს შეუძლია მიმართოს სასამართლოს სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განცხადებით, რომელიც უნდა შეიცავდეს მითითებას იმ გარემოებებზე, რომელთა გამოც უზრუნველყოფის ღონისძიებათა მიუღებლობა გააძნელებს ან შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების აღსრულებას და შესაბამის დასაბუთებას, თუ უზრუნველყოფის რომელი ღონისძიების გატარება მიაჩნია მოსარჩელეს აუცილებლად. თუ სასამართლოს გაუჩნდება დასაბუთებული ვარაუდი, რომ უზრუნველყოფის ღონისძიებათა მიუღებლობა გააძნელებს ან შეუძლებელს



გახდის გადაწყვეტილების აღსრულებას, მას გამოაქვს განჩინება სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ. ამავე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილების მიხედვით, განცხადებას, რომლითაც პირი ითხოვს უძრავ ქონებაზე ყადაღის დადებას, უნდა დაერთოს ცნობა საჯარო რეესტრიდან ან შესაბამისი დოკუმენტი, რომლითაც დასტურდება უძრავ ქონებაზე მოპასუხის საკუთრების უფლება. თუ სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განცხადებას არ ახლავს ამ მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული ცნობა საჯარო რეესტრიდან ან შესაბამისი დოკუმენტი, ანდა სახელმწიფო ბაჟი არ არის გადახდილი, სასამართლოს გამოაქვს განჩინება ხარვეზის თაობაზე და განმცხადებელს აძლევს ვადას მის შესავსებად. დანიშნულ ვადაში ხარვეზის შეუვსებლობის შემთხვევაში, სასამართლო თავისი განჩინებით განცხადებას განუხილველად დატოვებს, რაც გასაჩივრდება საჩივრით. ხსენებული კოდექსის 194-ე მუხლის მე-5 ნაწილის მიხედვით, სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განცხადების დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში, სასამართლოს გამოაქვს განჩინება სარჩელის უზრუნველყოფაზე უარის თქმის თაობაზე.

საკასაციო სასამართლო ასევე მიუთითებს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 197-ე მუხლის პირველ და 197<sup>1</sup> მუხლის მე-4 ნაწილებზე, რომელთა თანახმად, სარჩელის უზრუნველყოფაზე უარის თქმის შესახებ გამოტანილ განჩინებაზე შეიძლება საჩივრის შეტანა, რომელიც ზემდგომი ინსტანციის სასამართლოში განიხილება 419-ე და 420-ე მუხლებით დადგენილი წესებით. ხსენებული კოდექსის 198-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, საკითხს იმის შესახებ, თუ სარჩელის უზრუნველყოფის რომელი ღონისძიება უნდა იქნეს გამოყენებული, წყვეტს სასამართლო მოსარჩელის განცხადების შესაბამისად. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის "ა" ქვეპუნქტით რეგლამენტირებულია სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება - ყადაღის დადება ქონებაზე, ფასიან ქაღალდებსა თუ ფულად სახსრებზე, რომლებიც მოპასუხეს ეკუთვნის და არის მასთან ან სხვა პირთან.

საკასაციო სასამართლო ხაზგასმით აღნიშნავს და საჩივრის ავტორის ყურადღებას მიაპყრობს იმაზე, რომ, თუ მხარე თავისი განცხადებით მოითხოვს სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების - მოძრავ ქონებაზე, ფასიან ქაღალდებსა თუ ფულად სახსრებზე, რომლებიც მოპასუხეს ეკუთვნის და არის მასთან ან სხვა პირთან, ყადაღის დადების გამოყენებას, არ არის საკმარისი მხოლოდ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 191-ე მუხლის თანახმად, მითითება იმ გარემოებებზე, რომელთა გამოც უზრუნველყოფის ღონისძიებათა მიუღებლობა გააძნელებს ან შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების აღსრულებას, არამედ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შესახებ მხარის უფლების საპროცესო რეალიზებისათვის ასევე აუცილებელია, რომ მისი მოთხოვნა შეიცავდეს არა მარტო აღნიშნულზე მითითებას, არამედ მოსარჩელემ სასამართლოს უნდა წარუდგინოს შესაბამისი მტკიცებულებაც (მტკიცებულებებიც) - დოკუმენტი (დოკუმენტები), რომლებშიც კონკრეტულად იქნება მითითებული მოძრავი ქონების, საბანკო ანგარიშების, ფასიანი ქაღალდებისა და ფულადი სახსრების ჩამონათვალი, რომლებზე ყადაღის დადებასაც მოითხოვს მოსარჩელე და ამ მოძრავი ქონების, საბანკო ანგარიშების, ფასიანი ქაღალდებისა და ფულადი სახსრების მოპასუხისადმი კუთვნილებაზე. წინააღმდეგ შემთხვევაში, სასამართლო ვერ იმსჯელებს მოთხოვნილი უზრუნველყოფის ღონისძიების - მოძრავ ქონებაზე, საბანკო ანგარიშებზე, ფასიან ქაღალდებსა თუ ფულად სახსრებზე, რომლებიც მოპასუხეს ეკუთვნის და არის მასთან ან სხვა პირთან, ყადაღის დადების გამოყენებაზე, ანუ სასამართლო მოსარჩელის მხოლოდ ზოგადი ხასიათის მოთხოვნის საფუძველზე, შესაბამისი მტკიცებულებების წარმოდგენის გარეშე, ვერ გამოიყენებს სარჩელის უზრუნველყოფის ამ ღონისძიებას.

ამდენად, საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს საჩივრის ავტორის მიერ წარმოდგენილი საჩივრის საფუძველად იმაზე მითითებას, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 191-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ცნობა საჯარო რეესტრიდან ან შესაბამისი დოკუმენტი, რომლითაც დასტურდება უძრავ ქონებაზე მოპასუხის საკუთრების უფლება, წარმოდგენილი უნდა იყოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ პირი ითხოვს ყადაღის დადებას უძრავ ქონებაზე და ამ კოდექსის 191-ე მუხლის თანახმად, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სასამართლოს მიერ განჩინებაში მითითებული მტკიცებულებების წარმოდგენის ვალდებულება არ ჰქონდა.

საკასაციო სასამართლო ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ მხარის ერთ-ერთი უფლება - სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გატარების მოთხოვნა შეიცავს საპროცესო ვალდებულებას, აღნიშნული მოთხოვნის დასაბუთებისა და შესაბამისი მტკიცებულების წარდგენის შესახებ, ხოლო მხარის ვალდებულებას წარმოადგენდა, მიეთითებინა კონკრეტულ მოძრავ ქონებაზე, საბანკო ანგარიშებზე, ფასიანი ქაღალდებისა და ფულადი სახსრების ჩამონათვალი, რომლებსაც უნდა დასდებოდა ყადაღა და ამ ქონების ან საბანკო ანგარიშების მოპასუხისადმი კუთვნილებაზე, ხსენებული მონაცემების არარსებობის პირობებში კი, სასამართლო ვერ იმსჯელებდა მოთხოვნილი უზრუნველყოფის ღონისძიების გატარებაზე.

ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ, ვინაიდან საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ სააპელაციო სასამართლოს არ წარუდგინა შესაბამისი მტკიცებულება (მტკიცებულებები) -

დოკუმენტი (დოკუმენტები), რომლებშიც კონკრეტულად იქნებოდა მითითებული მოძრავი ქონების, საბანკო ანგარიშების, ფასიანი ქაღალდებისა და ფულადი სახსრების ჩამონათვალზე, რომლებზე ყადაღის დადებასაც მოითხოვს მოსარჩელე და ამ მოძრავი ქონების, საბანკო ანგარიშების, ფასიანი ქაღალდებისა და ფულადი სახსრების მოპასუხისადმი კუთვნილებაზე, სააპელაციო სასამართლო მართებულად მივიდა დასკვნამდე, რომ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შუამდგომლობა (განცხადება) სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების თაობაზე, კანონიერად იქნა დატოვებული განუხილველად ხარვეზის შეუვსებლობის გამო და საჩივარში მოყვანილი არგუმენტები არ ქმნიდა გასაჩივრებული განჩინების გაუქმების საფუძველს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საჩივარი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 19 ნოემბრის განჩინებაზე, არის დაუსაბუთებელი, რის გამოც არ არსებობს ხსენებული საჩივრის დაკმაყოფილების საფუძველი.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 191-ე, 197<sup>1</sup>, 420-ე მუხლებით და

#### **და ა ა დ გ ი ნ ა:**

1. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საჩივარი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 19 ნოემბრის განჩინებაზე არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 19 ნოემბრისა და 26 დეკემბრის განჩინებები;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

#### **სარჩელის უზრუნველყოფით გამოწვეული მოსალოდნელი ზარალის დამატებითი უზრუნველყოფის დაუშვებლობა**

#### **განჩინება**

#ბს-691-657(უს-კ-09) 7 ივლისი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ნ. წკეპლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

მ. ვაჩაძე,

პ. სილაგაძე

**დავის საგანი:** მოსალოდნელი ზარალის ანაზღაურების უზრუნველყოფა

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

2007 წლის 3 აგვისტოს თ. ე-მემ განცხადებით მიმართა ბათუმის საქალაქო სასამართლოს, რომლითაც მოითხოვა სსსკ-ის 196-ე მუხლის შესაბამისად სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების შეცვლა და დ. ა-ძის სახელზე აღრიცხული, ქ. ბათუმში, ... ქ. #17-ში მდებარე ბინაზე ყადაღის დადება შემდეგი საფუძველით:

განმცხადებლის მითითებით, ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 12 ივნისის განჩინებით სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების სახით საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ბათუმის სარეგისტრაციო სამსახურს აეკრძალა სადავო ქონების მოპასუხის სახელზე დარეგისტრირება. საქმის არსებითად განხილვისას დადგინდა, რომ სადავო ბინა აღრიცხული იყო მოპასუხის სახელზე, შესაბამისად, ამჟამად არსებობს ვარაუდი, რომ მოპასუხე გაასხვისებდა ბინას, რომლის დაბრუნებასაც ითხოვდა მოსარჩელე.

მოწინააღმდეგე მხარემ მოითხოვა სსსკ-ის 199-ე მუხლის შესაბამისად, მოსალოდნელი ზიანის უზრუნველყოფა შემდეგი მოტივით:

უზრუნველყოფის ღონისძიების შეცვლით მას მიადგება ზიანი, რადგან ის აპირებს მის საკუთრებაში არსებული ქონების გასხვისებას, ამასთან, კომერციულ ბანკებში ვადიან ანაზღაურებაზე დადგენილია მინიმუმ 15%-იანი სარგებელი. შესაბამისად, განცხადების დაკმაყოფილების შემთხვევაში, დ. ა-ძეს შეეზღუდება საქართველოს კონსტიტუციითა და ევროპული კონვენციის პირველი ოქმით გან-

მტკიცებული საკუთრების ფლობის უფლება და ვერ შეძლებს ქონების განკარგვას საკუთარი შეხედულებისამებრ, რითაც მიადგება ზიანი წლიური 9600 ლარის ოდენობით.

მოწინააღმდეგე მხარის მითითებით, დაწყებულ დავასთან დაკავშირებით საქმის წარმოება შესაძლოა გაგრძელდეს მინიმუმ ორი წელი, რაც მიაყენებს მას მნიშვნელოვან ზიანს.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 6 აგვისტოს განჩინებით თ. ე-ძის განცხადება დაკმაყოფილდა - საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე ყადაღა დაედო დ. ა-ძის საკუთრებაში არსებულ, ქ. ბათუმში, ... ქ. #17-ში მდებარე უძრავ ქონებას; განმცხადებელს განემარტა, რომ უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შედეგად დამდგარი ზიანის ანაზღაურების ვალდებულება სარჩელის უსაფუძვლო შემთხვევაში დაეკისრება მას; დ. ა-ძის განცხადება დაკმაყოფილდა ნაწილობრივ - თ. ე-ძეს დაევალა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებით მოსალოდნელი ზიანის უზრუნველყოფა და ამ მიზნით დეპოზიტზე 3000 ლარის შეტანა, რაც საქალაქო სასამართლომ დაასაბუთა შემდეგნაირად:

საქალაქო სასამართლომ იხელმძღვანელა სსსკ-ის 191.1 მუხლით, საქმეში არსებულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით დადგენილად მიიჩნია, რომ ქ. ბათუმში, ... ქ. #17-ში მდებარე საცხოვრებელი ბინის მესაკუთრეა დ. ა-ძე, ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 12 ივნისის განჩინებით საჯარო რეესტრს აეკრძალა ტექნიურის მონაცემების შესაბამისად, მითითებული უძრავი ქონების დ. ა-ძის სახელზე დარეგისტრირება, მაგრამ უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების მიუხედავად, დ. ა-ძის სახელზე დარეგისტრირდა სადავო ბინა.

საქალაქო სასამართლოს მითითებით, მხარეებს შორის დავის საგანს წარმოადგენს მითითებულ უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლება. შესაბამისად, საქმის წარმოების დასრულებამდე დ. ა-ძის მიერ სადავო ქონების გასხვისების პირობებში, სარჩელის დაკმაყოფილების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას შესაძლებელია გართულდეს გადაწყვეტილების აღსრულება, რაც წარმოადგენს უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების საფუძველს.

ამდენად, საქალაქო სასამართლომ საფუძვლიანად მიიჩნია თ. ე-ძის მოთხოვნა.

ბათუმის საქალაქო სასამართლომ ნაწილობრივ გაიზიარა მოწინააღმდეგე მხარის - დ. ა-ძის მოთხოვნა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებით მოსალოდნელი ზიანის უზრუნველყოფის თაობაზე, კერძოდ, დასაბუთებულად მიიჩნია მოწინააღმდეგე მხარის არგუმენტი, რომ მას სურს სადავო ბინის გასხვისება და მიღებული თანხით შემოსავლის მიღება, მაგრამ საქალაქო სასამართლომ არ გაიზიარა მოსაზრება დავის გაგრძელების ხანგრძლივობასთან დაკავშირებით და მიუთითა, რომ დავა არ გაგრძელდებოდა 2 წელზე მეტ ხანს, რადგან დავაზე პირველი ინსტანციის სასამართლოს მიღებული ჰქონდა გადაწყვეტილება, სააპელაციო და საკასაციო ინსტანციის სასამართლოებში შესაძლებელი იყო დავა დასრულებულიყო 5 თვეში, რის გამოც, საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ ზიანი უნდა გამოთვლილიყო 5 თვეზე მიუღებელი შემოსავლით.

2009 წლის 10 თებერვალს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს განცხადებით მიმართა დ. ა-ძემ და მოითხოვა თ. ე-ძის დავალდებულება გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიებით მოსალოდნელი ზიანის უზრუნველყოფის მიზნით, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საერთო სასამართლოების სადეპოზიტო ანგარიშზე დამატებით 12600 ლარის შეტანა ან უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმება შემდეგი მოტივით:

განმცხადებლის მითითებით, ბათუმის საქალაქო სასამართლომ უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებისას არ გაითვალისწინა მოწინააღმდეგე მხარის არგუმენტი, რომ სასამართლოში დავა შეიძლება გაგრძელდებულიყო 2 წელი. თ. ე-ძის მიერ აღძრულ სარჩელზე სასამართლო დავა არ არის დამთავრებული, საქმეს იხილავს სააპელაციო სასამართლო, სადაც სხდომა ჩანიშნულია 2009 წლის თებერვალს. შესაბამისად, საქმის განხილვა გაგრძელდება სავარაუდოდ 8 თვე, რადგან საკასაციო სასამართლოში საქმის განხილვის ვადაა 6 თვე. 2007 წლის 6 აგვისტოდან გასულია 18 თვე, თუ საქმის განხილვა კიდევ გაგრძელდება 8 თვე, სულ განხილვის ვადა შეადგეს 26 თვეს, საიდანაც უზრუნველყოფილია მხოლოდ 5 თვის და უზრუნველყოფის გარეშე დარჩენილია 21 თვის ზიანი. ბათუმის საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ 5 თვის განმავლობაში მოსალოდნელი ზიანი შეადგენს 3000 ლარს, შესაბამისად, 21 თვეზე - 12600 ლარს.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 19 მარტის განჩინებით დ. ა-ძის განცხადება არ დაკმაყოფილდა, რაც სააპელაციო სასამართლომ დაასაბუთა შემდეგნაირად:

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 6 აგვისტოს განჩინებით თ. ე-ძეს დაევალა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებით მოსალოდნელი ზიანის უზრუნველყოფა და ამ მიზნით დეპოზიტზე 3000 ლარის შეტანა, რაც არ გასაჩივრებულა.

სააპელაციო სასამართლოს მითითებით, მოცემულ საქმეზე ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის მიერ 2009 წლის 27 თებერვალს მიღებულია განჩინება, რომლითაც დ. ა-ძის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო სასამართლოს მითითებით, ბათუმის საქალაქო სასამართლოს მიერ უკვე გამოყენებულია მოსალოდნელი ზარალის უზრუნველყოფის ღონისძიება, რაც სასამართლოს უფლებაა და არა მოვალეობა. იმ პირობებში, როდესაც სააპელაციო სასამართლოს მიერ უკვე დასრულებულია საქმის განხილვა, არ არის მოსალოდნელი საქმის გაჭიანურება, შესაბამისად, სააპელაციო სასამართლომ მიზანშეუწონლად მიიჩნია განცხადების დაკმაყოფილება.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება საჩივრით გაასაჩივრა დ. ა-ძემ და მოითხოვა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 19 მარტის განჩინების გაუქმება შემდეგი მოტივით:

საჩივრის ავტორმა მიიჩნია, რომ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შესახებ ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 6 აგვისტოს კანონიერ ძალაში შესული განჩინებით დადგენილი ფაქტობრივი გარემოებებისათვის სააპელაციო სასამართლოს უნდა მიენიჭებინა პრეიუდიციული ძალა, კერძოდ, საქალაქო სასამართლომ დადგინებულად მიიჩნია, რომ 5 თვის განმავლობაში დამდგარი ზიანის ოდენობა შეადგენს 3000 ლარს. სააპელაციო სასამართლოს უნდა შეეფასებინა ის გარემოება, რომ თ. ე-ძის სარჩელით აღძრული სასამართლო დავა არ დასრულებულა, სააპელაციო სასამართლოს განჩინების საკასაციო წესით გასაჩივრების პირობებში, სადაც საქმის განხილვის ვადა შეადგენს 6 თვეს, საქმისწარმოება გაგრძელდება სულ მცირე 8 თვე, 2007 წლის 6 აგვისტოდან დღემდე გასულია უკვე 20 თვე, 8 თვის დამატებით სულ - 28 თვე, საიდანაც უზრუნველყოფილია მხოლოდ 5 თვის ზიანი და უზრუნველყოფის გარეშე დარჩა 23 თვე. შესაბამისად, 23 თვის ზიანის ოდენობა შეადგენს 13800 ლარს.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 23 აპრილის განჩინებით დ. ა-ძის საჩივარი არ დაკმაყოფილდა და განსახილველად გადაეგზავნა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატას, რაც სააპელაციო სასამართლომ დაასაბუთა შემდეგნაირად:

სააპელაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1.2, სსსკ-ის 197<sup>1</sup>.4 მუხლებით და განმარტა, რომ სარჩელის უზრუნველყოფა არის სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებისათვის მოსალოდნელი დაბრკოლების თავიდან აცილება მოპასუხისათვის გარკვეული უფლებების შეზღუდვის გზით. სსსკ-ის 191.1 მუხლი ავალდებულებს განმცხადებელს მიუთითოს იმ გარემოებებზე, რომელთა გამოც უზრუნველყოფის ღონისძიებათა მიუღებლობა გააძნელებს ან შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების აღსრულებას.

სააპელაციო სასამართლომ უსაფუძვლოდ მიიჩნია დ. ა-ძის არგუმენტი დავის უსასრულოდ გაგრძელების გამო, უზრუნველყოფის ღონისძიებით მოსალოდნელი ზიანის ანაზღაურების უზრუნველყოფის მიზნით დამატებით თანხის შეტანის დავალდებულების შესახებ. აღნიშნულთან დაკავშირებით, სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ მოცემულ საქმეზე 2009 წლის 27 თებერვალს მიღებულია განჩინება დ. ა-ძის სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ, ამასთან, საქალაქო სასამართლოს მიერ ერთხელ გამოყენებულია მოსალოდნელი ზიანის უზრუნველყოფის ღონისძიება, რაც სასამართლოს უფლებაა და არა ვალდებულება.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, საჩივრის მოტივების საფუძვლიანობისა და გასაჩივრებული განჩინების დასაბუთებულობა-კანონიერების შემოწმების შედეგად მივიდა იმ დასკვნამდე, რომ დ. ა-ძის საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 23 აპრილისა და 19 მარტის განჩინებები და ახალი განჩინებით დ. ა-ძის განცხადება სარჩელის უზრუნველყოფით გამოწვეული ზარალის დამატებით უზრუნველყოფის შესახებ დარჩეს განუხილველად დაუშვებლობის მოტივით შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო სასამართლოს მიერ გასაჩივრებული განჩინების გამოტანისას დარღვეულია მატერიალური და საპროცესო სამართლის ნორმები. სააპელაციო სასამართლომ არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, არასწორად განმარტა იგი, რაც სსსკ-ის 393-ე მუხლისა და ამავე კოდექსის 394-ე მუხლის "ე", "ე<sup>1</sup>" ქვეპუნქტების შესაბამისად, სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინების გაუქმების საფუძველია.

საქმის მასალებით დგინდება, რომ 2007 წლის 3 აგვისტოს თ. ე-ძემ განცხადებით მიმართა სასამართლოს და მოითხოვა სსსკ-ის 196-ე მუხლის შესაბამისად, სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ბათუმის სარეგისტრაციო სამსახურისათვის

მოქმედების განხორციელების აკრძალვის შეცვლა სხვა სახის ღონისძიებით - სადავო უძრავ ქონებაზე ყადაღის დადებით, სხვა ადმინისტრაციულ საქმეზე, კერძოდ, ბათუმის საქალაქო სასამართლოს წარმოებაში არსებულ საქმეზე - დ. ა-ძის სარჩელის გამო საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ბათუმის სარეგისტრაციო სამსახურის მიმართ ქ. ბათუმში, ... შესახვევი #17-ში მდებარე საცხოვრებელ ფართზე საკუთრების უფლების რეგისტრაციის შესახებ. მითითებულ ადმინისტრაციულ საქმეზე ბათუმის საქალაქო სასამართლოს მიერ 2007 წლის 17 აპრილს მიღებული გადაწყვეტილება შესული იყო კანონიერ ძალაში სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების შეცვლის შესახებ თ. ე-ძის მიერ 2007 წლის 3 აგვისტოს განცხადების შეტანისას (ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 4 სექტემბრის განჩინებით ბათილად იქნა ცნობილი 2007 წლის 14 აპრილის განჩინება, ხოლო საქმის წარმოების განახლების შედეგად, 2007 წლის 30 ოქტომბერს ბათუმის საქალაქო სასამართლომ მიიღო ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც დ. ა-ძის სარჩელი არ დაკმაყოფილდა). აღნიშნულის მიუხედავად, ბათუმის საქალაქო სასამართლომ 2007 წლის 6 აგვისტოს განჩინებით დააკმაყოფილა თ. ე-ძის მოთხოვნა და კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დასრულებულ საქმეზე მიიღო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება, რაც წარმოადგენს სარჩელზე მისაღები გადაწყვეტილების რეალურად აღსრულებისათვის მოსალოდნელი დაბრკოლების თავიდან აცილების მიზნით, მოპასუხისათვის გარკვეული მოქმედების შესრულების შეზღუდვას. კონკრეტულ შემთხვევაში სასამართლოს მიერ სარჩელზე მიღებული იყო შემაჯამებელი გადაწყვეტილება და იგი კანონიერ ძალაში იყო შესული. მით უფრო, რომ განმცხადებელი ითხოვდა გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიების შეცვლას სხვა სახის ღონისძიებით, რაზეც არ უმსჯელია სასამართლოს და ფაქტობრივად მოახდინა არა სსსკ-ის 196-ე მუხლის შესაბამისად, ერთი სახის ღონისძიების სხვა სახის ღონისძიებით შეცვლა, არამედ სსსკ-ის 194-ე მუხლის შესაბამისად, გამოიყენა უზრუნველყოფის ღონისძიება.

საქალაქო სასამართლოს უნდა განემარტა განმცხადებლისათვის, რომ ამ უკანასკნელს სსსკ-ის 267<sup>2</sup> მუხლის შესაბამისად, სასამართლოსათვის უნდა მიემართა არა სარჩელის უზრუნველყოფის, არამედ - სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების შეზღუდვის მიზნით.

აღნიშნულის მიუხედავად, კონკრეტულ შემთხვევაში, საკასაციო სასამართლოს არა აქვს მინიჭებული პროცესუალური კომპეტენცია იმსჯელოს ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 6 აგვისტოს განჩინების კანონიერებაზე, რადგან, სსსკ-ის 264.1 მუხლის შესაბამისად იგი შესულია კანონიერ ძალაში, მოპასუხეს სსსკ-ის 194.3 მუხლის შესაბამისად არ გაუსაჩივრებია მითითებული განჩინება.

საქმის მასალების თანახმად, ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 6 აგვისტოს განჩინებით მოპასუხის შუამდგომლობის ნაწილობრივ გაზიარების შედეგად, სსსკ-ის 199-ე მუხლის შესაბამისად, უზრუნველყოფის ღონისძიების გამო, მოსალოდნელი ზიანის უზრუნველსაყოფად მოსარჩელეს დაავალა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საერთო სასამართლოების სადეპოზიტო ანგარიშზე 3000 ლარის შეტანა. დ. ა-ძემ 2009 წლის 10 თებერვლის განცხადებით მოითხოვა უზრუნველყოფის ღონისძიებით მოსალოდნელი ზარალის დამატებით უზრუნველყოფა, რაც არ დაკმაყოფილდა სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინებით.

საკასაციო სასამართლომ გასაჩივრებული განჩინების გამოტანისას იხელმძღვანელა სსსკ-ის 199-ე მუხლით და მიზანშეუწონლად მიიჩნია განცხადების დაკმაყოფილება.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ კონკრეტულ შემთხვევაში სახეზე იყო არა განცხადების საფუძვლიანობის, არამედ მისი დასაშვებობის საკითხის შემოწმების პროცესუალური წინაპირობა, რადგან მოქმედი საპროცესო კანონმდებლობა არ ითვალისწინებს სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებით მოსალოდნელი ზარალის დამატებით უზრუნველყოფის შესახებ სასამართლოსათვის მიმართვის უფლებას. სსსკ-ის 199-ე მუხლი იცავს მოპასუხის ინტერესს, რათა გარკვეული ზიანი არ მიადგეს სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებით, როდესაც იკვეთება ამგვარი ზიანის მიყენების მოსალოდნელი საფრთხე, რაც გამოყენებულ იქნა საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 6 აგვისტოს განჩინებით, მაგრამ მითითებული ნორმა არ ითვალისწილებს ამგვარი მოსალოდნელი ზარალის დამატებით უზრუნველყოფის შესაძლებლობას.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლოს დაუშვებლად უნდა ეცნო დ. ა-ძის განცხადება. აღნიშნულის ნაცვლად, სააპელაციო სასამართლომ მიზანშეუწონლად მიიჩნია დ. ა-ძის მოთხოვნა და გასაჩივრებული განჩინებით მხარეს განუმარტა მისი გასაჩივრების შესაძლებლობა, რაც ასევე არ შეესაბამება მოქმედი საპროცესო კანონმდებლობის მოთხოვნებს, რადგან აღნიშნულს არ ითვალისწინებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი და არ არსებობდა სსსკ-ის 197<sup>1</sup> მუხლის გამოყენების პროცესუალური წინაპირობა. შესაბამისად, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოყენებინა, არასწორად განმარტა იგი, რის გამოც ნაწილობრივ უნდა იქნეს გაზიარებული დ. ა-ძის საჩივარი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის

23 აპრილისა და 19 მარტის განჩინებების გაუქმების შესახებ და ახალი განჩინებით დ. ა-ძის განცხადება სარჩელის უზრუნველყოფით გამოწვეული ზარალის დამატებით უზრუნველყოფის შესახებ დარჩეს განუხილველად დაუშვებლობის მოტივით, რადგან არ არსებობს მისი დაშვების პროცესუალური წინაპირობა.

**სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1.2; სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 372-ე, 390-ე, 399-ე, 411-ე, 419-420-ე მუხლებით და

**და ა ა დ გ ი ნ ა:**

1. დ. ა-ძის საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 23 აპრილისა და 19 მარტის განჩინებები და ახალი განჩინებით დ. ა-ძის განცხადება სარჩელის უზრუნველყოფით გამოწვეული ზარალის დამატებით უზრუნველყოფის შესახებ დარჩეს განუხილველად დაუშვებლობის მოტივით;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**განცხადება სარჩელის უზრუნველყოფის თაობაზე**

**განჩინება**

#ბს-909-871(უს-09) 20 ივლისი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ლ. მურუსიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ნ. სხირტლაძე,  
პ. სილაგაძე

ზეპირი განხილვის გარეშე განიხილა ა. და მ. ტ-ძეების საჩივარი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 25 მაისის განჩინებაზე

**აღწერილობითი ნაწილი:**

მოსარჩელები - ა. და მ. ტ-ძეები, თ. და მ. ა-ძეები სარჩელით ითხოვენ მოპასუხეების - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ბათუმის სარეგისტრაციო სამსახურის, აჭარის ა/რ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს და ქ. ბათუმის მერიის მიმართ, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობის, ახალი აქტის გამოცემასა და სადავო მიწის ნაკვეთზე, მდებარე ქ. ბათუმში, ... ქ. #29-სა და ... ქ. #17-19-ში მდებარე, ქ. ბათუმის მერიის კუთვნილი ელექტროსადგურის შენობის დემონტაჟს.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 17 თებერვლის გადაწყვეტილებით ა. და მ. ტ-ძეების, თ. და მ. ა-ძეების სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ - ბათილად იქნა ცნობილი აჭარის ა/რ ფინანსთა სამინისტროს 2007 წლის 17 აპრილის #01-22/1264 მიმართვა აჭარის ა/რ საკუთრებაში ქ. ბათუმში, ... ქ. #29-ში და ... ქ. #17-19-ში მდებარე 1560 კვ/მ მიწის ნაკვეთის საჯარო რეესტრში რეგისტრაციის შესახებ; ბათილად იქნა ცნობილი საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ბათუმის სარეგისტრაციო სამსახურის მიერ 2007 წლის 17 აპრილს განხორციელებული ცვლილება ქ. ბათუმში, ... ქ. #29-სა და ... ქ. #17-19-ში მდებარე 1560 კვ/მ მიწის ნაკვეთის აჭარის ა.რ. საკუთრებაში დარეგისტრირების თაობაზე; სარჩელი ქ. ბათუმის მერიის მიმართ შენობა-ნაგებობების დემონტაჟის დავალდებულების შესახებ არ დაკმაყოფილდა უსაფუძვლობის გამო;

აღნიშნული გადაწყვეტილება 2009 წლის 25 მარტს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს მიერ გასაჩივრდა სააპელაციო საჩივრით, რომლითაც სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 17 თებერვლის გადაწყვეტილების გაუქმება მოითხოვა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატაში საქმის განხილვისას ა. და მ. ტ-ძეების მიერ წარდგენილ იქნა განცხადება სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფის შესახებ. განმცხადებელები სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფის მიზნით ითხოვენ აჭარის ა/რ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს აკრძალოს ქ. ბა-

თუმი, ...ქ. #29,....ქ. #17-სა და #19-ში მდებარე უძრავი ქონების გასხვისება, ანდა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ბათუმის სარეგისტრაციო სამსახურს აკრძალოს ამავე უძრავ ქონებაზე სარეგისტრაციო წარმოება. განმცხადებლები მიუთითებს, რომ აჭარის ა/რ ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრის 2007 წლის 17 აპრილის #378 ბრძანების საფუძველზე აღნიშნულ უძრავ ქონებაზე გამოცხადებულია აუქციონი. განმცხადებლებს მიაჩნიათ, რომ არსებობს დასაბუთებული ეჭვი იმისა, რომ მოპასუხე - აჭარის ა/რ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო დავის პერიოდში გაასხვისებს სადავო უძრავ ქონებას, რაც გააძნელებს ან შეუძლებელს გახდის აღნიშნულ დავაზე მიღებული გადაწყვეტილების აღსრულებას.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 9 აპრილის განჩინებით ა. და მ. ტ-ძეების განცხადება სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფის შესახებ არ დაკმაყოფილდა უსაფუძვლობის გამო. სააპელაციო პალატამ დადგინდად მიიჩნია, რომ ქ. ბათუმში, ... #29-ში, ... ქ. #17-სა და #19-ში მდებარე სახლთმფლობელობაზე საჯარო რეესტრის მონაცემებით ირიცხება 2472 კვ.მ მიწის ნაკვეთი, აჭარის ა/რ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროზე რიცხულ "დიდი ბანკის" სამსართულიან შენობაზე ირიცხება 1560 კვ.მ მიწის ნაკვეთი. ბათუმის საქალაქო სასამართლოში აღძრულ სამოქალაქო დავაში ა. და მ. ტ-ძეები მოითხოვენ საზიარო უფლების გაუქმებას და მათთვის 661 კვ.მ-ის მიწის ნაკვეთის გამოყოფას. სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ მხარემ ვერ დაასაბუთა უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების აუცილებლობა, კერძოდ ის, რომ სადავო სახლთმფლობელობაზე რიცხული 2472 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან სწორედ სადავოდ ქცეული 1560 კვ.მ მიწის ფართი ქმნის დაბრკოლებას მათთვის 661 კვ.მ მიწის ნაკვეთის გამოყოფაში, როდესაც სადავო არ არის 912 კვ.მ მიწის ფართი.

2009 წლის 27 აპრილს ა. და მ. ტ-ძეებმა საჩივრით მიმართეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 9 აპრილის განჩინების გაუქმება მოითხოვეს. საჩივრის ავტორები მიიჩნევენ, რომ გასაჩივრებული განჩინება არის დაუსაბუთებელი, ვინაიდან მათ სასარჩელო მოთხოვნას წარმოადგენს არა საზიარო უფლების გაუქმება, არამედ აჭარის ა/რ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს საკუთრების უფლების დამდგენი დოკუმენტებისა და საჯარო რეესტრის ჩანაწერების ბათილად ცნობა. საჩივრის ავტორები მიიჩნევენ, რომ ბათუმის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება მართალია, კანონიერ ძალაში არ არის შესული, მაგრამ აჭარის ა/რ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს საკუთრების უფლება სადავო 1560 კვ.მ მიწის ნაკვეთზე გაუქმებულია. რაკი დღეისათვის საჯარო რეესტრში აჭარის ა/რ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს საკუთრების უფლება სადავო მიწის ნაკვეთზე რეგისტრირებულია, ამასთან, ზემოთხსენებული სასამართლოს გადაწყვეტილებით დადგენილია, რომ სადავო უძრავი ქონება წარმოადგენს თანასაკუთრებას, სამინისტროს მიერ გამოცხადებულ აუქციონზე ქონების გასხვისების პირობებში მხარეებს შორის არსებული დავა ყოველგვარ აზრს დაკარგავს და სადავო ქონების გასხვისებით თანამესაკუთრეებს მიადგებათ მნიშვნელოვანი ზიანი.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 25 მაისის განჩინებით ა. და მ. ტ-ძეების საჩივარი არ დაკმაყოფილდა უსაფუძვლობის გამო და საქმე განსახილველად გადაეგზავნა საქართველოს უზენაეს სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატას.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციული და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2009 წლის 1 ივლისის განჩინებით საჩივარი წარმოებაში იქნა მიღებული და დადგინდა საჩივრის განხილვა მხარეთა დასწრების გარეშე.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო თვლის, რომ რომ ა. და მ. ტ-ძეების საჩივარი უსაფუძვლოა და არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

პირველი ინსტანციის სასამართლომ სარჩელის დაკმაყოფილების საფუძველად მიიჩნია ის გარემოება, რომ ქ. ბათუმში, ... ქ. #29-სა და ... ქ. #17-19-ში არსებულ საერთო საკუთრების 2472 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან 1560 კვ.მ ნაწილზე სახელმწიფოს ინდივიდუალური საკუთრების გამოყოფა არ მომხდარა სამოქალაქო კოდექსით დადგენილი წესით. შესაბამისად, არ არსებობდა საზიარო მიწის ნაკვეთის ნაწილის ინდივიდუალურ საკუთრებაში გამოყოფისა და საჯარო რეესტრში მისი აღრიცხვის სამართლებრივი საფუძველი. განმცხადებლები სასარჩელო მოთხოვნით ადასტურებენ, რომ საერთო საკუთრების მიწიდან ა. ტ-ძის წილობრივ კუთვნილებას წარმოადგენს 356 კვ.მ, ხოლო მ. ტ-ძისა - 305 კვ.მ მიწის ნაკვეთი.

საკასაციო პალატა ვერ დაეთანხმება საჩივრის ავტორების მოსაზრებას იმასთან დაკავშირებით, რომ სადავო მიწის ნაკვეთის გასხვისებით მხარეებს შორის არსებული დავა აზრს დაკარგავს, რის

გამოც აუცილებლად მიიჩნევს გადაწყვეტილების უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებას. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ საჩივრის ავტორები ვერ ადასტურებენ იმ გარემოებას, რომ იდეალური წილის განსაზღვრისას მოსარჩელეთა კუთვნილი წილობრივი მონაცემები შემცირებული იქნება.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 271-ე მუხლის თანახმად, სასამართლოს შეუძლია უზრუნველყოს იმ გადაწყვეტილების აღსრულება, რომელიც გადაცემული არ არის დაუყოვნებლივ აღსასრულებლად. ამავე კოდექსის 191-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, მოსარჩელეს შეუძლია მიმართოს სასამართლოს სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განცხადებით, რომელიც უნდა შეიცავდეს მითითებას იმ გარემოებებზე, რომელთა გამოც უზრუნველყოფის ღონისძიებათა მიუღებლობა გააძნელებს ან შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების აღსრულებას და შესაბამის დასაბუთებას, თუ უზრუნველყოფის რომელი ღონისძიების გატარება მიაჩნია მოსარჩელეს აუცილებლად. აღნიშნულიდან გამომდინარე განმცხადებელმა უნდა დაასაბუთოს სარჩელის უზრუნველყოფის აუცილებლობა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მხარე ვერ ასაბუთებს უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყოფის აუცილებლობას, შესაბამისად მას უარი უნდა ეთქვას მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, 192-ე, 197<sup>1</sup>, 271-ე, 420-ე მუხლებით და

### **და ა ა დ გ ი ნ ა:**

1. ა. და მ. ტ-ძეების საჩივარი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 09 აპრილის განჩინებაზე არ დაკმაყოფილდეს;
2. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

### **სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განჩინების გასაჩივრება**

#### **განჩინება**

#ბს-1105-1061(უს-09) 3 აგვისტო, 2009 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ნ. ქადაგიძე,  
ლ. მურუსიძე**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა დ. მ-დეს საჩივარი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 22 ივნისის განჩინებაზე.

### **აღწერილობითი ნაწილი:**

2009 წლის 6 მაისს გ. ხ-ძემ სასარჩელო განცხადებით მიმართა ბათუმის საქალაქო სასამართლოს, მოპასუხე - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ხელვაჩაურის სარეგისტრაციო სამსახურის, მესამე პირების - მ. რ-ძისა და დ. მ-დის მიმართ. მოსარჩელემ ხელვაჩაურის რაიონის სოფ. ... მდებარე 2885 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთზე გ. ხ-ძის საკუთრების უფლების რეგისტრაციის ძალადაკარგულად ცნობის შესახებ მოპასუხის მიერ მიღებული 2009 წლის 6 აპრილის გადაწყვეტილების ბათილად ცნობა და დასახელებულ უძრავ ნივთზე მისი საკუთრების უფლების აღიარება მოითხოვა.

2009 წლის 13 მაისს გ. ხ-ძემ განცხადებით მიმართა ბათუმის საქალაქო სასამართლოს სარჩელის უზრუნველყოფის სახით საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ხელვაჩაურის სარეგისტრაციო სამსახურისათვის ხელვაჩაურის რაიონის სოფ. ... მდებარე 2848.6 კვ.მ მიწის ნაკვეთზე დ. მ-დის და სხვა პირთა საკუთრების უფლების რეგისტრაციის აკრძალვის მოთხოვნით.

გ. ხ-ძემ მიუთითა, რომ 2008 წლის მარტში განცხადებით მიმართა ხელვაჩაურის რაიონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საკუთრების უფლების აღიარების კომისიას სოფ. ... თვითნებურად დაკავებული 2885 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების აღიარების მოთხოვნით. კომისიის 2008 წლის 23 აპრილის გადაწყვეტილებით მისი მოთხოვნა დაკმაყოფილ-



და, დასახელებულ უძრავ ქონებაზე აღიარებულ იქნა მისი საკუთრების უფლება და გაიცა საკუთრების მოწმობა.

კომისიის 2009 წლის 9 მაისის გადაწყვეტილებით ბათილად იქნა ცნობილი აღნიშნული საკუთრების უფლების მოწმობა და 2008 წლის 28 მაისის #73 საოქმო გადაწყვეტილებით სადავო მიწის ნაკვეთი აღიარებულ იქნა დ. მ-დის საკუთრებად, შესაბამისად გაიცა ახალი საკუთრების უფლების მოწმობა. აღნიშნული გადაწყვეტილება გასაჩივრებულ იქნა ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში და სარჩელი მიღებულია წარმოებაში.

განმცხადებლის განმარტებით, შესაძლებელი იყო დ. მ-დეს მის სახელზე გაცემული საკუთრების უფლების მოწმობის საფუძველზე მოეხდინა ქონების რეგისტრაციას საჯარო რეესტრში იმ შემთხვევაში, თუ არ მოხდებოდა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების სახით მოპასუხისათვის გარკვეული მოქმედების აკრძალვა, შესაძლებელი იყო ქონების მესამე პირზე გასხვისებაც, რაც შემდგომში სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებას შეუძლებელს გახდიდა.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 14 მაისის განჩინებით გ. ხ-ძის განცხადება სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შესახებ არ დაკმაყოფილდა.

აღნიშნულ განჩინებაზე საჩიარი შეიტანა გ. ხ-ძემ, რომელმაც ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 14 მაისის განჩინების გაუქმება და სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გატარება მოითხოვა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 22 ივნისის განჩინებით გ. ხ-ძის მოთხოვნა დაკმაყოფილდა - გაუქმდა ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 14 მაისის განჩინება სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებაზე უარის თქმის შესახებ და გ. ხ-ძი განცხადება დაკმაყოფილდა. სარჩელის უზრუნველყოფის მიზნით საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ხელვაჩაურის სარეგისტრაციო სამსახურს აკრძალა 2008 წლის 25 ივნისის #9054 საკუთრების უფლების მოწმობის საფუძველზე დ. მ-დის საკუთრების უფლების რეგისტრაცია ხელვაჩაურის რაიონის სოფ. . . მდებარე 2848.6 კვ.მ მიწის ნაკვეთზე.

2009 წლის 30 ივნისის სააპელაციო სასამართლოში შევიდა დ. მ-დის წარმომადგენლის რ. ბ-ძისა და თ. ჭ-ძის განცხადება, რომლებმაც მოითხოვეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 22 ივნისის განჩინების გაუქმება ან სარჩელის უზრუნველყოფის გარანტიის სახით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 199-ე მუხლის მეორე პუნქტის შესაბამისად, გ. ხ-ძისათვის სასამართლოს სადეპოზიტო ანგარიშზე 10000 ლარის შეტანის დავალდებულება.

განმცხადებლებმა მიუთითეს, რომ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გატარებით იზღუდებოდა დ. მ-დის უფლება, თავისუფლად ფლობდეს და სარგებლობდეს თავისი ქონებით. წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ სააპელაციო სასამართლომ ისე გამოიყენა უზრუნველყოფის ღონისძიება, რომ არ გაუთვალისწინებია მოწინააღმდეგე მხარის ინტერესები და არ მოუთხოვია უზრუნველყოფის გარანტიის სახით რაიმე მოქმედების შესრულება. დ. მ-დის წარმომადგენლებმა უზრუნველყოფის გარანტიის სახით გ. ხ-ძისათვის 10000 ლარის სასამართლო სადეპოზიტო ანგარიშზე განთავსება მოითხოვეს.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 8 ივლისის განჩინებით დ. მ-დის წარმომადგენელთა განცხადება სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების განოყენებით მოსალოდნელი ზარალის ანაზღაურების გარანტიის გამოყენებაზე არ დაკმაყოფილდა უსაფუძვლობის გამო; უარი ეთქვა დ. მ-დის წარმომადგენლებს განცხადების (საჩივრის) წარმოებაში მიღებაზე, გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმების თაობაზე დაუშვებლობის გამო და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 197-ე მუხლის მეორე პუნქტის შესაბამისად საქმის მასალებთან ერთად გადაიგზავნოს ზემდგომ სასამართლოში.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ საქართველოს სსკ-ის 199-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თუ სასამართლო მიიჩნევს, რომ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებით მოპასუხეს შეიძლება მიადგეს ზარალი, მას შეუძლია გამოიყენოს სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება და იმავდროულად მოთხოვოს პირს, რომელმაც მიმართა სასამართლოს სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ, მეორე მსახისათვის მოსალოდნელი ზიანის ანაზღაურების უზრუნველყოფა. უზრუნველყოფის გარანტია სასამართლომ შეიძლება ასევე გამოიყენოს მოწინააღმდეგე მხარის განცხადების საფუძველზე.

სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ სარჩელის უზრუნველყოფით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების უზრუნველყოფის გარანტია გამოიყენება იმ შემთხვევაში, თუ სასამართლო მიიჩნევს, რომ გატარებული უზრუნველყოფის ღონისძიებით მოწინააღმდეგე მხარეს შეიძლება მიადგეს ზიანი.

სააპელაციო სასამართლომ მხედველობაში მიიღო, რომ სადავო მიწის ფართზე თავიდან აღიარებული იყო გ. ხ-ძის საკუთრების უფლება, რაც რეგისტრირებული იყო საჯარო რეესტრში, ხოლო შემდგომ დ. მ-დის საკუთრების უფლება, რომელიც საჯარო რეესტრში არასოდეს დარეგისტრირებულა მიწის მესაკუთრედ და რომ საკუთრების უფლების აღიარების კომისიის მიერ სადავო ფარ-

თის განკარგვასთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილებები გასაჩივრებული იყო და დავა მიმდინარეობდა სასამართლოში. მოცემულ შემთხვევაში სადავო იყო სწორედ საკუთრების უფლება, შესაბამისად, სასამართლომ უსაფუძვლოდ მიიჩნია მსჯელობა იმის თაობაზე, რომ უზრუნველყოფის ღონისძიების გატარებით იზღუდებოდა რომელიმე მესაკუთრის უფლება. აღნიშნულის გათვალისწინებით, სასამართლომ მიიჩნია, რომ მოწინააღმდეგე მხარეს უზრუნველყოფის ღონისძიების გატარებით არ ადგებოდა ზიანი და არ მიიჩნია საჭიროდ გამოეყენებინა უზრუნველყოფის გარანტიის ღონისძიებები.

სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ საპროცესო კანონმდებლობით განსაზღვრულია არა მხოლოდ მხარეთა უფლებები, არამედ საპროცესო მოვალეობები. მოცემულ შემთხვევაში მხარის უფლება სსკ-ის 199-ე მუხლის შესაბამისად განცხადებით მოითხოვს სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების გარანტია, იმავდროულად მოიცავდა ვალდებულებას მხარეს დაესაბუთებინა მოთხოვნა და მიეთითებინა კონკრეტულ გარემოებებზე, თუ რა ზიანი ადგება მხარეს გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიებით. სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ წარმოდგენილ განცხადებაში მსგავსი დასაბუთება არ იყო, რის გამოც უარი უთხრა მხარეს აღნიშნული მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე, უსაფუძვლობის გამო.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ დ. მ-დის წარმომადგენლების მეორე მოთხოვნა წარმოდგენდა საჩივარს, გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმების შესახებ.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ საქართველოს სსკ-ის 197<sup>1</sup> მუხლის პირველი ნაწილის თანახმად სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებასთან დაკავშირებით სასამართლო საჩივარს წარმოებაში იღებს შესაბამისი ინსტანციის სასამართლოსათვის და ამ კოდექსით გათვალისწინებული წესების თანახმად. ამავე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, თუ სასამართლო საჩივარს დასაშვებად და დასაბუთებულად მიიჩნევს, იგი აკმაყოფილებს მას. წინააღმდეგ შემთხვევაში საჩივარი საქმის მასალებთან ერთად სასამართლო განჩინების საფუძველზე გადაეგზავნის ზემდგომ სასამართლოს განჩინების მიღებიდან 5 დღის ვადაში. შესაბამისად, საქმის მასალები საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 197-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად გადაეგზავნა ზემდგომი ინსტანციის სასამართლოს.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო ზეპირი მოსმენის გარეშე გაეცნო საქმის მასალებს, შეამოწმა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 8 ივლისის განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობა, რის შემდეგაც მივიდა დასკვნამდე, რომ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს განჩინება სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების გამო მოსალოდნელი ზარალის ანაზღაურების მიზნით გარანტიის გამოყენებაზე დ. მ-დის წარმომადგენლების განცხადების არ დაკმაყოფილების ნაწილში დაუშვებლად უნდა იქნეს მიჩნეული, ხოლო ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 22 ივნისის განჩინებაზე დ. მ-დის წარმომადგენლების საჩივრის დაუშვებლად ცნობის ნაწილში, უცვლელად უნდა იქნას დატოვებული შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 199-ე მუხლის შესაბამისად, თუ სასამართლო მიიჩნევს, რომ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებით მოპასუხეს შეიძლება მიადგეს ზარალი, მას შეუძლია გამოიყენოს სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება და იმავდროულად მოსთხოვოს პირს, რომელმაც მიმართა სასამართლოს სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ, მეორე მხარისათვის მოსალოდნელი ზარალის ანაზღაურების უზრუნველყოფა.

სარჩელის უზრუნველყოფის გამო მოსალოდნელი ზიანის ანაზღაურების უზრუნველყოფის შესახებ სასამართლოს შეუძლია მიმართოს განცხადებით მოპასუხე მხარემ.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 197-ე მუხლის პირველ და 197<sup>1</sup> მუხლის მე-4 ნაწილებზე, რომელთა თანახმად, სარჩელის უზრუნველყოფაზე უარის თქმის შესახებ გამოტანილ განჩინებაზე შეიძლება საჩივრის შეტანა, რომელიც ზემდგომი ინსტანციის სასამართლოში განიხილება 419-ე და 420-ე მუხლებით დადგენილი წესებით.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 197-ე მუხლზე, რომლის თანახმადაც სარჩელის უზრუნველყოფაზე უარის თქმის, სარჩელის უზრუნველყოფის გაუქმების ან სარჩელის უზრუნველყოფის ერთი სახის მეორეთი შეცვლის შესახებ გამოტანილი განჩინების გასაჩივრების ვადა შეადგენს 5 დღეს.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 8 ივლისის განჩინების იმ ნაწილზე, რომლითაც უსაფუძვლობის გამო არ დაკმაყოფილდა დ. მ-დის წარმომადგენლების განცხადება სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების გამო მოსალოდნელი ზარალის ანაზღაურების მიზნით გარანტიის გამოყენებაზე მხარის მიერ არ არის წარ-

დგენილი საჩივარი, რის გამოც საკასაციო სასამართლო მოკლებულია შესაძლებლობას, იმსჯელოს აღნიშნულ საკითხზე.

რაც შეეხება დ. მ-დის წარმომადგენლების განცხადების იმ ნაწილს, რომლითაც მხარეები ითხოვენ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შესახებ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 22 ივნისის განჩინების გაუქმებას, საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ დ. მ-დის წარმომადგენელთა მოთხოვნა ამ ნაწილში წარმოადგენს საჩივარს მეორე ინსტანციის სასამართლოს განჩინებაზე, რომელიც არ საჩივრდება.

ამასთან, საკასაციო სასამართლო ეთანხმება ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას იმის თაობაზე, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის XXIII თავის თანახმად, სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებასთან დაკავშირებით საკითხები იხილება მხოლოდ ორი ინსტანციის სასამართლოში და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 197<sup>1</sup> მუხლის მეოთხე პუნქტისა და 419-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, ზემდგომი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ამდენად, საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ განსახილველ შემთხვევაში უზრუნველყოფის ღონისძიებასთან დაკავშირებით სააპელაციო სასამართლო არის ზემდგომი ინსტანცია და მისი განჩინება მოცემულ საკითხზე, საბოლოოა და კანონის თანახმად, არ საჩივრდება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ უცვლელად უნდა დარჩეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 8 ივლისის განჩინება იმ ნაწილში, რომლითაც დ. მ-დის წარმომადგენლებს უარი ეთქვათ საჩივრის წარმოებაში მიღებაზე დაუშვებლობის გამო.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 191-ე, 197<sup>1</sup>-ე, 420-ე მუხლებით და

#### **და ა ა დ გ ი ნ ა:**

1. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 8 ივლისის განჩინება სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების გამო მოსალოდნელი ზარალის ანაზღაურების მიზნით გარანტიის გამოყენებაზე დ. მ-დის წარმომადგენლების განცხადების არ დაკმაყოფილების ნაწილში დაუშვებლად უნდა იქნეს მიჩნეული;

2. უცვლელად დარჩეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 8 ივლისის განჩინება, რომლითაც დ. მ-დის წარმომადგენლებს უარი ეთქვათ ამავე სასამართლოს 2009 წლის 22 ივნისის განჩინებაზე წარდგენილი საჩივრის წარმოებაში მიღებაზე დაუშვებლობის გამო.

3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

### **უარი სარჩელის უზრუნველყოფაზე დაუშვებლობის გამო**

#### **განჩინება**

#ბს-1144-1091(უს-09) 15 ოქტომბერი, 2009 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ნ. ქადაგიძე,  
ლ. მურუსიძე**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა გ. გ-მის საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 3 აგვისტოს განჩინებაზე.

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

2007 წლის 28 სექტემბერს გ. გ-მემ განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ და განმარტა, რომ მას სასამართლოში შეტანილი ჰქონდა სარჩელი, რომლითაც ითხოვდა საჯარო რეესტრის ჩანაწერში ცვლილების შეტანასა და სადავო ბინის მის სახელზე გადაფორმებას. განმცხადებელმა სარჩელის უზ-

რუნველყოფის მიზნით საჯარო რეესტრის ჩანაწერში ცვლილების შეტანა და ქ. თბილისში, ... ქ. #3-ში მდებარე სადავო ბინის მის სახელზე გადაფორმება მოითხოვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 1 ოქტომბრის განჩინებით არ დაკმაყოფილდა გ. გ-ძის განცხადება სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ.

აღნიშნულ განჩინებაზე გ. გ-ძემ საჩივრით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს, რომელიც ამავე სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 11 ოქტომბრის განჩინებით არ დაკმაყოფილდა და საქმის მასალებთან ერთად გადაეგზავნა თბილისის სააპელაციო სასამართლოს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 15 ოქტომბრის განჩინებით გ. გ-ძის საჩივარი არ დაკმაყოფილდა და უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 1 ოქტომბრის განჩინება.

2007 წლის 22 ოქტომბერს გ. გ-ძემ კვლავ მიმართა განცხადებით თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას და სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების სახით ისევ სადავო ბინის მის სახელზე გადაფორმება მოითხოვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 23 ოქტომბრის განჩინებით გ. გ-ძის განცხადება სარჩელის უზრუნველყოფის თაობაზე განუხილველი დარჩა, რასაც სასამართლომ საფუძვლად დაუდო საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 194-ე მუხლის მე-5 ნაწილი, რომლის თანახმად, სარჩელის უზრუნველყოფაზე უარის თქმის შემთხვევაში იმავე საგანზე და იმავე საფუძვლით სასამართლოსათვის მიმართვა დაუშვებელია.

2008 წლის 4 თებერვალს გ. გ-ძემ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში წარადგინა განცხადება, რომლითაც სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების სახით სადავო ბინის მის სახელზე დარეგისტრირება მოითხოვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 5 თებერვლის განჩინებით გ. გ-ძის განცხადება სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ დარჩა განუხილველი.

აღნიშნულ განჩინებაზე 2008 წლის 26 ივნისს გ. გ-ძემ შეიტანა საჩივარი და გასაჩივრებული განჩინების გაუქმება მოითხოვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 18 ივლისის განჩინებით გ. გ-ძის საჩივარი არ დაკმაყოფილდა და საქმის მასალებთან ერთად გადაეგზავნა თბილისის სააპელაციო სასამართლოს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 21 აგვისტოს განჩინებით გ. გ-ძის საჩივარი არ დაკმაყოფილდა და უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 5 თებერვლის განჩინება.

საქალაქო სასამართლოში საქმის განხილვისას მოსარჩელემ დააზუსტა სასარჩელო მოთხოვნები და მოითხოვა საჯარო რეესტრის ჩანაწერში ცვლილების შეტანა, ბინის მის სახელზე რეგისტრირება და ძველი ჩანაწერის ბათილად ცნობა, ასევე, საჯარო რეესტრის მიერ 1680 ლარის ოდენობით ზიანის ანაზღაურება.

აღნიშნული მოთხოვნების გათვალისწინებით, თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 11 თებერვლის საოქმო განჩინებით გ. გ-ძის სარჩელი საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის მიმართ მოთხოვნის ნაწილში ცალკე წარმოებად გამოეყო და განსჯადობით განსახილველად გადაეცა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას.

საქალაქო სასამართლოში საქმის განხილვისას მოსარჩელემ დააზუსტა სასარჩელო მოთხოვნები და საბოლოოდ მოითხოვა ქ. თბილისში, ... ქ. #3-ში მდებარე სახლთმფლობელობის თ. მ-ძის სახელზე აღრიცხვის შესახებ საჯარო რეესტრის ჩანაწერის ბათილად ცნობა, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურისათვის ქ. თბილისში, ... ქ. #3-ში მდებარე სახლთმფლობელობის თავის სახელზე საკუთრების უფლებით აღრიცხვა და მოპასუხეთათვის ზიანის სახით 20160 ლარის დაკისრება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 25 მაისის გადაწყვეტილებით გ. გ-ძის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

აღნიშნული გადაწყვეტილება გ. გ-ძემ სააპელაციო წესით გაასაჩივრა და გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება მოითხოვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 6 ივლისის განჩინებით გ. გ-ძის სააპელაციო საჩივარზე დადგენილ იქნა ხარვეზი სახელმწიფო ბაჟის გადაუხდელობის გამო.

2009 წლის 7 ივლისს გ. გ-ძემ სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განცხადებით მიმართა თბილისის სააპელაციო სასამართლოს და უზრუნველყოფის ღონისძიების სახით ქ. თბილისში, ... ქ. #3-ში მდებარე ბინის თავის სახელზე გადაფორმება მოითხოვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 8 ივლისის განჩინებით გ. გ-ძის სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განცხადებაზე დადგენილ იქნა ხარვეზი სახელმწიფო ბაჟის გადაუხდელობის გამო.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 23 ივლისის განჩინებებით ხარვეზების გამოუსწორებლობის გამო გ. გ-ძის სააპელაციო საჩივარი და განცხადება სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ დატოვებულ იქნა განუხილველად.

2009 წლის 30 ივლისს გ. გ-ძემ განცხადებით მიმართა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების თაობაზე.

განცხადების ავტორმა განმარტა, რომ სარჩელი განსახილველად იმყოფებოდა ადმინისტრაციულ საქმეთა პალატაში და იმ ეტაპზე აუცილებლობას წარმოადგენდა სასამართლოს მიერ გამოყენებული ყოფილიყო საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 198-ე მუხლის მე-3 ნაწილი და საჯარო რეესტრის ჩანაწერებში განხორციელებულიყო ცვლილებები, კერძოდ, ქ. თბილისში, ... ქ. #3-ში მდებარე ბინა დარეგისტრირებულიყო თავის სახელზე.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 3 აგვისტოს განჩინებით გ. გ-ძის განცხადება სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ დარჩა განუხილველი იმ მოტივით, რომ გ. გ-ძეს სასამართლოს განჩინებით უარი ეთქვა უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებაზე და მან ხელმეორედ მიმართა სასამართლოს განცხადებით უზრუნველყოფის თაობაზე იმავე საგანზე და იმავე საფუძველით.

2009 წლის 10 აგვისტოს გ. გ-ძემ საჩივრით (განცხადებით) მიმართა თბილისის სააპელაციო სასამართლოს და მოითხოვა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 3 აგვისტოს განჩინების გაუქმება და სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ თავისი განცხადების დაკმაყოფილება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 12 აგვისტოს განჩინებით გ. გ-ძის საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 3 აგვისტოს განჩინებაზე არ დაკმაყოფილა და საქმის მასალებთან ერთად განსახილველად გადმოეგზავნა საქართველოს უზენაეს სასამართლოს.

სააპელაციო სასამართლომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 194-ე მუხლის მე-5 ნაწილის საფუძველზე მიუთითა, რომ განსახილველ შემთხვევაში საქმის მასალების თანახმად ირკვეოდა, რომ გ. გ-ძეს სასამართლოს განჩინებით უარი ეთქვა უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებაზე და მან ხელმეორედ მიმართა სასამართლოს განცხადებით უზრუნველყოფის თაობაზე იმავე საგანზე და იმავე საფუძველით. ამდენად, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ გ. გ-ძის საჩივარი დაუსაბუთებელი იყო და არ არსებობდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 3 აგვისტოს განჩინების გაუქმების სამართლებრივი საფუძველი.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლისა და წარმოდგენილი საჩივრის დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ გ. გ-ძის საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი.

საკასაციო სასამართლო საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე მიუთითებს, რომ სარჩელის უზრუნველყოფასთან დაკავშირებულ საკითხებს ითვალისწინებს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის XXIII თავი (სარჩელის უზრუნველყოფა), რომლის 194-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განცხადების დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში სასამართლოს გამოაქვს განჩინება სარჩელის უზრუნველყოფაზე უარის თქმის თაობაზე. სასამართლოსთვის იმავე საგანზე და იმავე საფუძველით ხელმეორედ მიმართვის შემთხვევაში მიიღება განჩინება განცხადების განუხილველად დატოვების შესახებ, რაც საჩივრდება საჩივრით.

საკასაციო სასამართლოს საქმის მასალების მიხედვით დადგენილად მიაჩნია, რომ 2007 წლის 28 სექტემბერს გ. გ-ძემ სარჩელის უზრუნველყოფის მიზნით საჯარო რეესტრის ჩანაწერში ცვლილების შეტანა და ქ. თბილისში, ... ქ. #3-ში მდებარე სადავო ბინის თავის სახელზე გადაფორმება მოითხოვა. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 1 ოქტომბრის განჩინებით არ დაკმაყოფილდა გ. გ-ძის განცხადება სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ, რაც უცვლელად დარჩა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 15 ოქტომბრის განჩინებით. გ. გ-ძემ სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განცხადე-

ბით აღნიშნული საქმის სააპელაციო სასამართლოში განხილვის დროსაც მიმართა თბილისის სააპელაციო სასამართლოს და უზრუნველყოფის ღონისძიების სახით - ქ. თბილისში, ... ქ. #3-ში მდებარე ბინის თავის სახელზე გადაფორმება მოითხოვა, რაც თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 23 ივლისის განჩინებით განუხილველად იქნა დატოვებული (სახელმწიფო ბაჟის გადაუხდელობის გამო). 2009 წლის 30 ივლისს გ. გ-მემ კვლავ მიმართა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განცხადებით და უზრუნველყოფის ღონისძიების სახით ქ. თბილისში, ... ქ. #3-ში მდებარე ბინის თავის სახელზე დარეგისტრირება მოითხოვა. სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ გ. გ-მის ხსენებული განცხადება თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 3 აგვისტოს განჩინებით განუხილველად იქნა დატოვებული.

საკასაციო სასამართლო საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 194-ე მუხლის მე-5 ნაწილის საფუძველზე განმარტავს, რომ სარჩელის უზრუნველყოფაზე უარის თქმის შესახებ სასამართლოს განჩინების გამოტანის შემდეგ მხარეს უფლება არ აქვს, სარჩელის უზრუნველყოფის მოთხოვნით კვლავ მიმართოს სასამართლოს იმავე საგანზე და იმაზე საფუძველით.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ, ვინაიდან განმცხადებელმა ერთი და იმავე სარჩელის უზრუნველყოფის მიზნით ერთი და იმავე უზრუნველყოფის მოთხოვნით (სადავო ბინის მის სახელზე გადაფორმება) და იმავე დასაბუთებით მიმართა, როგორც საქალაქო სასამართლოს, ისე სააპელაციო სასამართლოს განცხადებებით, რომლებიც არ იქნა დაკმაყოფილებული, მოცემულ შემთხვევაში არსებობს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 194-ე მუხლის მე-5 ნაწილის კვალიფიკაციის საფუძველები.

ამდენად, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ სწორად დაადგინა, რომ განსახილველ შემთხვევაში გ. გ-მის მოთხოვნა სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ იმავე საგანზე და იმავე საფუძველით, სასამართლოს განჩინებით არ იქნა დაკმაყოფილებული, რის გამოც თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 3 აგვისტოს განჩინებით გ. გ-მეს სწორედ ეთქვა უარი სარჩელის უზრუნველყოფის იმავე ღონისძიების გამოყენებაზე.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ გ. გ-მის საჩივარი უსაფუძველოა, რის გამოც არ არსებობს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 3 და 12 აგვისტოს განჩინებების გაუქმების საფუძველი.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 194-ე, 197<sup>1</sup> მუხლებით და

#### **და ა ა დ გ ი ნ ა:**

1. გ. გ-მის საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 3 აგვისტოს განჩინების გაუქმების თაობაზე არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 3 და 12 აგვისტოს განჩინებები;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

#### **სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმების მოთხოვნა**

#### **განჩინება**

#3გ/ად-152-კ-02

22 ოქტომბერი, 2009 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა**  
**შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),**  
**ნ. სხირტლაძე,**  
**ლ. მურუსიძე**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა ე. ს-ანის განცხადება საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2003 წლის 2 ივნისის განჩინების გაუქმების თაობაზე.

### აღწერილობითი ნაწილი:

1994 წლის 24 აგვისტოს მ. ს-ანმა და ვ. ა-ოვმა სასარჩელო განცხადებით მიმართეს თბილისის ისნის რაიონის სასამართლოს, მოპასუხეების - ლ. ა-ოვისა და ქ. თბილისის ისნის რაიონის საბინაო-საექსპლუატაციო ტრესტის მიმართ.

მოსარჩელებმა არაერთხელ დააზუსტეს სარჩელის საგანი და საბოლოოდ, გაშვებული სასარჩელო ხანდაზმულობის ვადის აღდგენა, ქ. თბილისის ისნის რაიონის საბინაო-საექსპლუატაციო ტრესტსა და ლ. ა-ოვს შორის ქ. თბილისში, ... ქ. #60-ისა და ... ქ. #18-ის გადაკვეთაზე მდებარე ლიტ "გ" ნაგებობაზე 1994 წლის 14 ივნისს დადებული არასაცხოვრებელი ფართის ქირავნობის ხელშეკრულებისა და ამ ხელშეკრულების საფუძველზე გაცემული ორდერის გაუქმება მოითხოვეს.

მოსარჩელებმა თბილისის ისნის რაიონის სასამართლოში წარადგინეს დაზუსტებული სასარჩელო განცხადება, რომლითაც დამატებით მოითხოვეს უნებართვოდ მოწყობილი ფანჯრის ამოქოლვის დავალება მოპასუხე ლ. ა-ოვისთვის.

თბილისის ისნის რაიონის სასამართლოს 1995 წლის 10 მაისის გადაწყვეტილებით სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა - სასარჩელო ხანდაზმულობის ვადა აღდგენილ იქნა; გაუქმდა ქ. თბილისის ისნის რაიონის საბინაო-საექსპლუატაციო ტრესტსა და ლ. ა-ოვს შორის 1994 წლის 14 ივნისს დადებული #052-4 ქირავნობის ხელშეკრულება, ასევე გაუქმდა ქ. თბილისის მერიის არასაცხოვრებელი ფართობის აღრიცხვა-განაწილების სამმართველოს მიერ 1992 წლის 21 მაისს გაცემული #1913 ორდერი ქ. თბილისში, ... ქ. #60-ში მდებარე არასაცხოვრებელ ასაღებ სადგომზე; მოშლას დაექვემდებარა ქ. თბილისში, ... ქ. #18/60-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის ერთსართულიანი ლიტ "გ" ნაგებობა და ქ. თბილისის ისნის რაიონის საბინაო-საექსპლუატაციო ტრესტი ამოირიცხა ქ. თბილისში, ... ქ. #18/60-ში მდებარე სახლთმფლობელობის მესაკუთრეთა სიიდან; სარჩელი ეზოს ნაწილის გამოყოფის, ალაყაფის კარის გადატანისა და ფანჯრის ღიობის ამოქოლვის ნაწილში დარჩა განუხილველი.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 1995 წლის 13 ივნისის განჩინებით გაუქმდა თბილისის ისნის რაიონის სასამართლოს 1995 წლის 10 მაისის გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში და მოსარჩელებს, სასარჩელო ხანდაზმულობის ვადის არასაპატიო მიზეზით გაშვების გამო, სარჩელის დაკმაყოფილებაზე ეთქვათ უარი.

საზედამხედველო პროტესტის საფუძველზე, თბილისის საქალაქო სასამართლოს პრეზიდიუმის 1997 წლის 13 ივნისის დადგენილებით ამავე სასამართლოს 1995 წლის 13 ივნისის განჩინება გაუქმდა და უცვლელად დარჩა თბილისის ისნის რაიონის სასამართლოს 1995 წლის 10 მაისის გადაწყვეტილება.

1997 წლის 4 აგვისტოს მ. ს-ანმა და ვ. ა-ოვმა ხელმეორედ მიმართეს სასარჩელო განცხადებით თბილისის ისნის რაიონის სასამართლოს ლ. ა-ოვის, ქ. თბილისის ისნის რაიონის გამგეობისა და ქ. თბილისის სახელმწიფო ქონების მართვისა და პრივატიზაციის დეპარტამენტის მიმართ, ხოლო მესამე პირად მიუთითეს ქ. თბილისის #35 სახელმწიფო სანოტარო კანტორაზე. მოსარჩელებმა მოითხოვეს მოპასუხე ლ. ა-ოვისთვის ალაყაფის კარის აღებისა და გადატანის, ასევე, მათ მხარეზე არსებული ფანჯრის ღიობის ამოქოლვის დავალება, აგრეთვე, ქ. თბილისში, ... ქ. #60-ისა და ... ქ. #18-ის გადაკვეთაზე მდებარე ლიტერ "გ" არასაცხოვრებელ ნაგებობაზე ქ. თბილისის ქონების მართვის სამმართველოსა და ლ. ა-ოვს შორის გაფორმებული 1996 წლის 17 იანვრის პრივატიზაციის ხელშეკრულებისა და საკუთრების მოწმობის ბათილად ცნობა და ამ ფართიდან ლ. ა-ოვის გამოსახლება.

ზემოაღნიშნული სარჩელი რამდენიმე სასამართლო ინსტანციის მიერ იქნა განხილული. თბილისის ისანი-სამგორის რაიონული სასამართლოს 2000 წლის 10 ოქტომბრის გადაწყვეტილებით მ. ს-ანისა და ვ. ა-ოვის სარჩელი, უსაფუძვლობისა და ხანდაზმულობის ვადის გაშვების გამო, არ დაკმაყოფილდა.

თბილისის ისანი-სამგორის რაიონული სასამართლოს 2000 წლის 10 ოქტომბრის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს მ. ს-ანმა და ვ. ა-ოვმა, რომლებმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვეს.

სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვისას მ. ს-ანმა და ვ. ა-ოვმა დააზუსტეს სააპელაციო საჩივარი და ქ. თბილისში, ... ქ. #60-ისა და ... ქ. #18-ის გადაკვეთაზე არსებული სახლთმფლობელობიდან მიწის ნაკვეთის გამოყოფა, ლ. ა-ოვის მიერ მათი კუთვნილი ფართიდან ალაყაფის კარის აღება, ლ. ა-ოვზე 1996 წლის 17 იანვრის ლიტ "გ" არასაცხოვრებელი ფართის პრივატიზაციის ხელშეკრულებისა და მასზე გაცემული საკუთრების მოწმობის ბათილად ცნობა და მოპასუხე ლ. ა-ოვის სადავო ფართიდან გამოსახლება მოითხოვეს.

თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის 2002 წლის 4 აპრილის გადაწყვეტილებით მ. ს-ანისა და ვ. ა-ოვის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა - გაუქმდა თბილისის ისანი-სამგორის რაიონული სასამართლოს 2000 წლის 10 ოქტომბრის გადაწყვეტილება; მ. ს-ანისა და ვ. ა-ოვის სარჩელი დაკმაყოფილდა და მათ ქ. თბილისში, ... ქ. #18-ისა და ... ქ. #60-ის გადაკვეთაზე არსებული სახელმფლობელობიდან გამოეყოთ მიწის ნაკვეთი საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროს სასამართლო ექსპერტიზის კვლევითი ცენტრის 1992 წლის 28 სექტემბრის #1474/15 დასკვნის #2 დანართის მიხედვით; გადაწყდა აღნიშნული ფართიდან ლ. ა-ოვის ალყაფის კარის აღება; ბათილად იქნა ცნობილი ქ. თბილისში, ... ქ. #60-ში მდებარე არასაცხოვრებელი ფართის პრივატიზაციის ხელშეკრულება და ამ ფართზე საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს ქ. თბილისის სახელმწიფო ქონების მართვისა და პრივატიზაციის დეპარტამენტის მიერ 1996 წლის 29 იანვარს გაცემული #23-853 საკუთრების დამადასტურებელი მოწმობა; აღნიშნული ფართიდან გამოსახლებულ იქნა მოპასუხე ლ. ა-ოვი.

თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის 2002 წლის 4 აპრილის გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა ლ. ა-ოვმა, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის 2002 წლის 4 აპრილის გადაწყვეტილება საკასაციო წესით ქ. თბილისის სახელმწიფო ქონების მართვის სამმართველომაც გაასაჩივრა ნაწილობრივ და მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება მხოლოდ პრივატიზაციის ხელშეკრულების ბათილად ცნობის ნაწილში.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2002 წლის 27 სექტემბრის განჩინებით მ. ს-ანის გარდაცვალების გამო მისი საპროცესო უფლებამონაცვლის დადგენამდე მოცემული საქმის წარმოება შეჩერდა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2003 წლის 2 ივნისის განჩინებით დაკმაყოფილდა ლ. ა-ოვის უფლებამონაცვლე ლ. ბ-შვილის შუამდგომლობა და საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე, მიწის მართვის დეპარტამენტსა და ტექნიკენტარიზაციის ბიუროს აეკრძალათ სადავო ფართის აწ გარდაცვლილი მ. ს-ანის მეუღლეზე აღრიცხვა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2004 წლის 10 ოქტომბრის განჩინებით დადგინდა ლ. ა-ოვისა და მ. ს-ანის უფლებამონაცვლეები, შესაბამისად, ე. და ლ. ბ-შვილები და ე. ს-ანი და განახლდა ლ. ა-ოვის უფლებამონაცვლეების - ე. და ლ. ბ-შვილებისა და ქ. თბილისის სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამმართველოს საკასაციო საჩივრების წარმოება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2004 წლის 22 დეკემბრის განჩინებით ლ. ა-ოვის უფლებამონაცვლეების - ე. და ლ. ბ-შვილებისა და ქ. თბილისის სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამმართველოს საკასაციო საჩივრები დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; გაუქმდა თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის 2002 წლის 4 აპრილის გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა იმავე სასამართლოს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 26 დეკემბრის საოქმო განჩინებით მოცემული საქმიდან გამოიყო ეზოს გამოყოფის, ფანჯრის ღიობის ამოქოლისა და ალყაფის კარის გადატანის მოთხოვნა, მასზე წარმოება შეჩერდა პრივატიზაციის შესახებ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ ნაწილში დავის საბოლოო განხილვამდე და დადგინდა შემდგომ მისი განსჯადობით განსახილველად გადაცემა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატისათვის.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 26 დეკემბრის განჩინებით მ. ს-ანის უფლებამონაცვლე ე. ს-ანისა და ვ. ა-ოვის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა თბილისის ისანი-სამგორის რაიონული სასამართლოს 2000 წლის 10 ოქტომბრის გადაწყვეტილება 1996 წლის 17 იანვრის პრივატიზაციის ხელშეკრულების, საკუთრების დამადასტურებელი მოწმობის გაუქმებისა და ლ. ა-ოვის გამოსახლებაზე უარის თქმის ნაწილში.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 26 დეკემბრის განჩინება და თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 26 დეკემბრის საოქმო განჩინება საკასაციო წესით იმავე ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძვლებით გაასაჩივრეს ე. ს-ანმა და ვ. ა-ოვმა, რომლებმაც მოითხოვეს ხსენებული გან-



ჩინებების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება - ლ. ა-ოვსა და ქ. თბილისის სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამმართველოს შორის 1996 წლის 17 იანვარს დადებული პრივატიზაციის ხელშეკრულებისა და ლ. ა-ოვის სახელზე გაცემული საკუთრების დამადასტურებელი მოწმობის ბათილად ცნობა, ასევე, ლ. ა-ოვის გამოსახლება სადავო არასაცხოვრებელი ფართიდან.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2008 წლის 11 სექტემბრის განჩინებით ე. ს-ანისა და ვ. ა-ოვის საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დაუშვებლად; უცვლელად დარჩა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 26 დეკემბრის განჩინება და თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 26 დეკემბრის საოქმო განჩინება.

2009 წლის 6 ივლისს ე. ს-ანმა განცხადებით მიმართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს და ამავე სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2003 წლის 2 ივნისის განჩინების გაუქმება მოითხოვა, რომლითაც დაკმაყოფილდა ლ. ა-ოვის უფლებამონაცვლე ლ. ბ-შვილის შუამდგომლობა და საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე, მიწის მართვის დეპარტამენტსა და ტექნიკურიზაციის ბიუროს აკრძალათ სადავო ფართის აწ გარდაცვლილი მ. ს-ანის მეუღლეზე აღრიცხვა.

განცხადების ავტორმა აღნიშნა, რომ იგი იყო აწ გარდაცვლილი მ. ს-ანის მეუღლე და სამკვიდრო მიღებული ჰქონდა კანონით დადგენილი წესით, მაგრამ საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2003 წლის 2 ივნისის განჩინების გამო ვერ ახერხებდა სადავო ფართის თავის სახელზე აღრიცხვას. ამასთან, განცხადების ავტორმა იმ გარემოებაზეც მიუთითა, რომ ხსენებული საქმის, როგორც ადმინისტრაციული ისე სამოქალაქო სამართალწარმოების წესით განხილვა, მთლიანად დასრულებული იყო და მიღებული იყო საბოლოო გადაწყვეტილება, რომელიც შესული იყო კანონიერ ძალაში. ამდენად, აღარ არსებობდა მოცემულ საქმეზე გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიების საჭიროება, რის გამოც იგი უნდა გაუქმებულიყო.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო გაეცნო ე. ს-ანის განცხადებას და მიიჩნევს, რომ ხსენებული განცხადება არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლოს დადგენილად მიაჩნია, რომ 1994 წლის 24 აგვისტოს მ. ს-ანმა და ვ. ა-ოვმა ეზოს გამოყოფის, ალაყაფის კარის გადატანისა და სათავსის დაბრუნების შესახებ სარჩელი აღძრეს თბილისის ისნის რაიონის სასამართლოში მოპასუხეების - ლ. ა-ოვისა და ქ. თბილისის ისნის რაიონის საბინაო-საექსპლუატაციო ტრესტის მიმართ. თბილისის ისანი-სამგორის რაიონული სასამართლოს 2000 წლის 10 ოქტომბრის გადაწყვეტილებით მ. ს-ანისა და ვ. ა-ოვის სარჩელი არ დაკმაყოფილდა. აღნიშნული საქმე არაერთხელ განიხილა სხვადასხვა ინსტანციის სასამართლომ. საბოლოოდ, თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 26 დეკემბრის განჩინებით მ. ს-ანის უფლებამონაცვლე ე. ს-ანისა და ვ. ა-ოვის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა თბილისის ისანი-სამგორის რაიონული სასამართლოს 2000 წლის 10 ოქტომბრის გადაწყვეტილება. აღნიშნული განჩინება კანონიერ ძალაში შევიდა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2008 წლის 11 სექტემბრის განჩინებით. საქმის განხილვისას საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2003 წლის 2 ივნისის განჩინებით ლ. ა-ოვის უფლებამონაცვლე ლ. ბ-შვილის შუამდგომლობის საფუძველზე საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე მიწის მართვის დეპარტამენტსა და ტექნიკურიზაციის ბიუროს აკრძალათ სადავო ფართის აწ გარდაცვლილი მ. ს-ანის მეუღლეზე აღრიცხვა.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 191-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, მოსარჩელეს შეუძლია მიმართოს სასამართლოს სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განცხადებით. ამავე კოდექსის 199<sup>1</sup> მუხლის მიხედვით კი, სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის, სარჩელის განუხილველად დატოვების ან საქმის წარმოების შეწყვეტის შემთხვევაში სასამართლო თავისი გადაწყვეტილებით (განჩინებით) აუქმებს ამ სარჩელთან დაკავშირებით გამოყენებულ უზრუნველყოფის ღონისძიებას.

საკასაციო სასამართლო ზემოაღნიშნული ნორმებისა და სარჩელის უზრუნველყოფის შინაარსიდან გამომდინარე განმარტავს, რომ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმების მოთხოვნის

უფლება აქვს იმ მხარეს, რომლის სასარგებლოდაც იქნა მიღებული გადაწყვეტილება და ვისაც მიენიჭა უზრუნველყოფის საშუალებით დაცული სიკეთე.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საკასაციო და სააპელაციო სასამართლოს შესაბამისი განჩინებებით უცვლელად დარჩა თბილისის ისანი-სამგორის რაიონული სასამართლოს 2000 წლის 10 ოქტომბრის გადაწყვეტილება, რომლითაც არ დაკმაყოფილდა მ. ს-ანისა და ვ. ა-ოვის სარჩელი. ამასთან, საკასაციო სასამართლო ყურადღებას მიაქცევს იმ გარემოებაზე, რომ უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმება მოითხოვა მ. ს-ანის უფლებამონაცვლე ე. ს-ანმა, რომელიც თბილისის ისანი-სამგორის რაიონული სასამართლოს 2000 წლის 10 ოქტომბრის გადაწყვეტილების მიხედვით არ წარმოადგენს უზრუნველყოფის ღონისძიებით დაცული ქონების მესაკუთრეს, ვინაიდან კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით მ. ს-ანს უარი ეთქვა სარჩელის დაკმაყოფილებაზე. ამდენად, სადავო ფართზე ე. ს-ანს არ გააჩნია მოთხოვნის უფლება, რაც გამორიცხავს მის მიერ აღნიშნულ ფართზე გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმების მოთხოვნის უფლებასაც. რის გამოც, საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2003 წლის 2 ივნისის განჩინების გაუქმების თაობაზე ე. ს-ანის, როგორც არაუფლებამოსილი პირის, მოთხოვნა უსაფუძვლოა.

საკასაციო სასამართლო დამატებით იმ გარემოებაზეც მიუთითებს, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2003 წლის 2 ივნისის განჩინებით უზრუნველყოფის ღონისძიება გამოყენებულ იქნა მხოლოდ სადავო ფართზე და მიწის მართვის დეპარტამენტსა და ტექნიკენტარიზაციის ბიუროს აკრძალათ მხოლოდ სადავო ფართის აწ გარდაცვლილი მ. ს-ანის მეუღლეზე აღრიცხვა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ე. ს-ანის განცხადება საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2003 წლის 2 ივნისის განჩინების გაუქმების თაობაზე უსაფუძვლოა და არ უნდა დაკმაყოფილდეს.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე მუხლის პირველი ნაწილით და

#### **და ა ა დ გ ი ნ ა :**

1. ე. ს-ანის განცხადება საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2003 წლის 2 ივნისის განჩინების გაუქმების თაობაზე არ დაკმაყოფილდეს;
2. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

### **3. უსწორობის გასწორება**

#### **განჩინება**

#ბს-728-700(კ-08)

13 თებერვალი, 2009 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა**  
**შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),**  
**მ. ცისკაძე,**  
**ნ. ქადაგიძე**

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 260-ე მუხლის შესაბამისად, განიხილა ნ. გ-ძის განცხადება საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2008 წლის 23 ოქტომბრის #ბს-728-700(კ-08) განჩინების სარეზოლუციო ნაწილში დაშვებული უსწორობის გასწორების თაობაზე.

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2008 წლის 23 ოქტომბრის #ბს-728-700(კ-08) განჩინებით ნ. გ-ძის საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დაუშვებლად; უცვლელად დარჩა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ

საქმეთა პალატის 2008 წლის 25 მარტის განჩინება; ნ. გ-ძეს დაუბრუნდა მის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის 70% - 370,36 ლარი.

2009 წლის 13 იანვარს ნ. გ-ძემ ფოსტის მუშევრებით მიმართა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატას, რომელშიც მიუთითა, რომ მის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის 529,05 ლარის 70% შეადგენდა 370,34, რის გამოც ხაზინა არ უბრუნებდა სახელმწიფო ბაჟს და ითხოვდა განჩინებაში თანხის ოდენობის გასწორებას. აღნიშნულიდან გამომდინარე, ნ. გ-ძემ საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2008 წლის 23 ოქტომბრის #ბს-728-700(კ-08) განჩინებაში დაშვებული არითმეტიკული შეცდომის გასწორება მოითხოვა.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა ნ. გ-ძის განცხადება საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2008 წლის 23 ოქტომბრის #ბს-728-700(კ-08) განჩინების სარეზოლუციო ნაწილში დაშვებული უსწორობის გასწორების თაობაზე და მივიდა დასკვნამდე, რომ ხსენებული განცხადება უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 399-ე მუხლის თანახმად, საქმის განხილვა საკასაციო სასამართლოში წარმოებს იმ წესების დაცვით, რომლებიც დადგენილია სააპელაციო სასამართლოში საქმეთა განხილვისათვის, გარდა იმ გამონაკლისებისა, რომელთაც ეს თავი შეიცავს.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 372-ე მუხლის თანახმად, საქმის განხილვა სააპელაციო სასამართლოში წარმოებს იმ წესების დაცვით, რაც დადგენილია პირველი ინსტანციით საქმეთა განხილვისათვის ამ თავში მოცემული ცვლილებებითა და დამატებებით.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 260-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, სასამართლოს შეუძლია მხარეთა თხოვნით ან თავისი ინიციატივით გაასწოროს გადაწყვეტილებაში დაშვებული უსწორობანი და აშკარა არითმეტიკული შეცდომები.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ნ. გ-ძის განცხადება საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2008 წლის 23 ოქტომბრის #ბს-728-700(კ-08) განჩინების სარეზოლუციო ნაწილში დაშვებული უსწორობის გასწორების თაობაზე უნდა დაკმაყოფილდეს და გასწორდეს საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2008 წლის 23 ოქტომბრის #ბს-728-700(კ-08) განჩინების სარეზოლუციო ნაწილში დაშვებული უსწორობა - განჩინების სარეზოლუციო ნაწილის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: "ნ. გ-ძეს დაუბრუნდეს მის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის 70% - 370,34 ლარი".

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მეორე ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 399-ე, 372-ე მუხლებით, 260-ე მუხლის პირველი ნაწილით და

### **და ა ა დ გ ი ნ ა:**

1. ნ. გ-ძის განცხადება საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2008 წლის 23 ოქტომბრის #ბს-728-700(კ-08) განჩინების სარეზოლუციო ნაწილში დაშვებული უსწორობის გასწორების თაობაზე დაკმაყოფილდეს;

2. გასწორდეს საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2008 წლის 23 ოქტომბრის #ბს-728-700(კ-08) განჩინების სარეზოლუციო ნაწილში დაშვებული უსწორობა და განჩინების სარეზოლუციო ნაწილის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: "ნ. გ-ძეს დაუბრუნდეს მის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის 70% - 370,34 ლარი";

3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## უსწორობის გასწორება

### გადაწყვეტილება საქართველოს სახელით

№ბს-1235-1197(კ-08) 4 თებერვალი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ნ. ქადაგიძე,  
ლ. მურუსიძე

**დავის საგანი:** სახელფასო დავალიანების, მატერიალური დახმარების, ჯილდოსა და კვების კომპენსაციის ანაზღაურება

#### აღწერილობითი ნაწილი:

14.12.07წ. ე. ა-შვილმა სასარჩელო განცხადებით მიმართა ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს. მოსარჩელემ მოპასუხე თავდაცვის სამინისტროსათვის 2291 ლარისა და 74 თეთრის გადახდის დაკისრება და თანხის ინფლაციის კოეფიციენტის გათვალისწინებით დაბრუნება მოითხოვა. მოსარჩელემ აღნიშნა, რომ 1994-2003წწ. მუშაობდა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ცენტრალურ სამხედრო ჰოსპიტალში ექიმად. სამსახურიდან გათავისუფლების შემდეგ ხელფასის, კვების და სხვა მატერიალური ნივთების კომპენსაციის სახით ასაღები დარჩა 1258 ლარი და 93 თეთრი და სანივთე ქონების კომპენსაცია 1032 ლარი და 81 თეთრი.

28.12.07წ. ე. ა-შვილმა სანივთე ქონების კომპენსაციის ნაწილში, რომლის თანხა შეადგენდა 1031 ლარს 81 თეთრს, სარჩელი გამოიხმო.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 28.12.07წ. გადაწყვეტილებით სასარჩელო მოთხოვნა დაკმაყოფილდა ნაწილობრივ - საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ე. ა-შვილის სასარგებლოდ დაეკისრა 1258 ლარისა და 93 თეთრის გადახდა. ე. ა-შვილს უარი ეთქვა ინფლაციის კოეფიციენტის გათვალისწინებით თანხის ანაზღაურების თაობაზე. აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 04.06.08წ. განჩინებით საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა გასაჩივრებული გადაწყვეტილება. სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ "საჯარო სამსახურის შესახებ" კანონის 134<sup>1</sup> მუხლის თანახმად, 2005 წლის 1 იანვრამდე სამსახურიდან გათავისუფლებულ საჯარო მოსამსახურეებზე კუთვნილი თანხის გაცემა უნდა განხორციელდეს წინა წლებში წარმოქმნილი საბიუჯეტო დავალიანების დაფარვის წესის შესაბამისად. სახელმწიფოს წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების არსებობას, გარდა "საჯარო სამსახურის შესახებ" კანონის მითითებული ნორმისა, აღიარებდა 2005 წლის და ყოველი მომდევნო წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ კანონებით. სააპელაციო სასამართლომ დამატებით მიუთითა, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საბიუჯეტო სამმართველოს უფროსის წერილით აღიარებული იყო სადავო დავალიანება. აღნიშნული განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ. კასატორმა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ე. ა-შვილისათვის სარჩელით მოთხოვნილი თანხების თავდაცვის სამინისტროსათვის დაკისრებაზე უარის თქმა მოითხოვა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 31.12.08წ. განჩინებით საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი კვების კომპენსაციის - 472 ლარის ანაზღაურების დაკმაყოფილების ნაწილში მიჩნეულ იქნა დასაშვებად. საკასაციო საჩივარი ე. ა-შვილის სასარგებლოდ ხელფასის, მატერიალური დახმარებისა და ჯილდოს ანაზღაურების ნაწილში მიჩნეულ იქნა დაუშვებლად.

#### სამოტივაციო ნაწილი:

საქმის მასალების შესწავლის, საკასაციო საჩივრის მოტივების შემოწმების შედეგად საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი დაშვებულ ნაწილში უნდა დაკმაყოფილდეს, შესაბამისად, უნდა გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის განჩინება საქართველოს თავდაცვის სამინისტროსათვის ე. ა-შვილის სასარგებლოდ კვების კომპენსაციის - 472 ლარის დაკისრების ნაწილში და ამ ნაწილში მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება; ე. ა-შვილის სარჩელი კვების კომპენსაციის მოთხოვნის ნაწილში არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

“სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ” კანონის მე-12 მუხლის მესამე პუნქტის შესაბამისად, სამხედრო მოსამსახურეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ნორმით, სახელმწიფოს ხარჯზე ეძლევა სასურსათო ულუფა და ფორმის ტანსაცმელი ან შესაბამისი ფულადი კომპენსაცია. “საჯარო სამსახურის შესახებ” კანონის 37-ე მუხლის თანახმად, შრომით გასამრჯელოს (ხელფასს) თანამდებობრივი სარგოს გარდა მიეკუთვნება, აგრეთვე, პრემია და ის დანამატები, რომლებიც კანონით არის გათვალისწინებული. სამხედრო მოსამსახურე სამხედრო სამსახურის პერიოდში, “საჯარო სამსახურის შესახებ” კანონის 37-ე მუხლით გათვალისწინებულ შრომით გასამრჯელოსთან (ხელფასთან) ერთად იღებს კომპენსაციას სასურსათო უზრუნველყოფის – ულუფის – სახით. კვების კომპენსაცია წარმოადგენს “სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ” კანონის 12.3 მუხლით განსაზღვრული სასურსათო ულუფის კომპენსაციას. “საჯარო სამსახურის შესახებ” კანონის 134<sup>1</sup> მუხლით რეგლამენტირებულია საჯარო მოსამსახურეზე წინა წლებში წარმოშობილი დავალიანების ანაზღაურება. შესაბამისი წლების სახელმწიფო ბიუჯეტების შესახებ კანონებით აღიარებულია წინა წლებში წარმოქმნილი სახელფასო დავალიანების ანაზღაურება. სასურსათო ულუფა წარმოადგენს სამხედრო მოსამსახურის უზრუნველყოფის სახეს და ამავდროულად, პერიოდულად შესასრულებელ ვალდებულებას. ხელფასი განსხვავდება უზრუნველყოფის სახისაგან – სასურსათო ულუფისაგან. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ, ვინაიდან სასურსათო ულუფა წარმოადგენს სამხედრო მოსამსახურის მიერ მისაღები კომპენსაციის სახეს, ხანდაზმულობის გამომრიცხავი კანონმდებლობის ხსენებული ნორმები აღნიშნულ კომპენსაციაზე ვერ გავრცელდება. სამხედრო მოსამსახურეზე სასურსათო ულუფის ან შესაბამისი ფულადი კომპენსაციის გაცემის ვალდებულება პერიოდულად შესასრულებელი ვალდებულებაა და ამ ვალდებულების შესრულების მოთხოვნის მიმართ ვრცელდება სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლის II ნაწილით გათვალისწინებული სასარჩელო ხანდაზმულობის სამწლიანი ვადა. აღნიშნული ვადა უნდა აითვალოს სასამართლოში სარჩელის წარდგენის თარიღიდან უკუქცევით. საქმის მასალების თანახმად, მოსარჩელეს მისაღები აქვს 1998-2000 წლების კვების კომპენსაცია. ვინაიდან სარჩელის აღძვრის მომენტისათვის (14.12.07წ.) გასული იყო ხანდაზმულობის სამწლიანი ვადა, მისი მოთხოვნა ამ ნაწილში არ უნდა დაკმაყოფილდეს.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საქმეში დაცული საქართველოს შეიარაღებული ძალების ჯარების ლოგისტიკური უზრუნველყოფის დეპარტამენტის 16.11.07წ., #3-11/9006 ცნობა, რომლის თანახმად 1998-2000 წ.წ. პერიოდში ე. ა-შვილის კუთვნილი კვების კომპენსაციის ოდენობა შეადგენს 472 ლარს, არ წარმოადგენს ვალის აღიარებას. ცნობა ინფორმაციულ ხასიათს ატარებს და ადასტურებს არა მოპასუხის მიერ დავალიანების აღიარებას, არამედ ფაქტს იმის შესახებ, თუ რა თანხა ერგებოდა მოსარჩელეს. ფაქტის და სარჩელის აღიარება არ არის იდენტური ცნებები, ფაქტის აღიარება არის მტკიცებულება, ხოლო სარჩელის აღიარება არის დისპოზიციური პრინციპიდან გამომდინარე განკარგვითი აქტი. ფაქტის აღიარება არ ნიშნავს სარჩელის აღიარებას. რაც შეეხება საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ფინანსების მართვის დეპარტამენტის 03.12.07წ. წერილს, ამ წერილით აღიარებულია სახელფასო დავალიანება, რომლითაც არ არის მოცული კვების კომპენსაცია. ამდენად, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის გასაჩივრებული განჩინება სამინისტროსათვის მოსარჩელის სასარგებლოდ კვების კომპენსაციის თანხების დაკისრების ნაწილში უნდა გაუქმდეს და ამ ნაწილში მოსარჩელის მოთხოვნა არ უნდა დაკმაყოფილდეს მოთხოვნის ხანდაზმულობის გამო. აღნიშნულის გათვალისწინებით სამინისტროს მოსარჩელე ე. ა-შვილის სასარგებლოდ უნდა დეკისროს 786 ლარი და 93 თეთრი, მათ შორის, სახელფასო დავალიანება – 422 ლარი და 22 თეთრი, ჯილდო – 280 ლარი და 89 თეთრი, მატერიალური დახმარება – 83 ლარი და 52 თეთრი.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მეორე ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლით და

### **გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :**

1. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 04.06.08წ. განჩინება იმ ნაწილში, რომლითაც უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 28.12.07წ. გადაწყვეტილება საქართველოს თავდაცვის სამინისტროსათვის ე. ა-შვილის სასარგებლოდ კვების კომპენსაციის – 472 ლარის დაკისრების ნაწილში და ამ ნაწილში მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;

3. არ დაკმაყოფილდეს ე. ა-შვილის სარჩელი საქართველოს თავდაცვის სამინისტროსათვის კვების კომპენსაციის - 472 ლარის დაკისრების ნაწილში;

4. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 28.12.07წ. გა-დაწყვეტილების და თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 04.06.08წ. განჩინების კანონიერ ძალაში შესული ნაწილების გათვალისწინებით, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ე. ა-შვილის სასარგებლოდ დაეკისროს 786 ლარი და 93 თეთრი;

5. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## **უსწორობის გასწორება**

### **განჩინება**

#ბს-661-633(კ-08)

20 მარტი, 2009 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ნ. ქადაგიძე,  
ლ. მურუსიძე**

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 260-ე მუხლის შესაბამისად, განიხილა ვ. კ-ძის განცხადება საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 26.11.08წ. #ბს-661-633(კ-08) განჩინების სარეზოლუციო ნაწილში დაშვებული უსწორობის გასწორების შესახებ.

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 26.11.08წ. #ბს-661-633(კ-08) განჩინებით ვ. კ-ძის საკასაციო საჩივარი დაუშვებლად იქნა მიჩნეული, კასატორს დაუბრუნდა მის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის 70% - 331.10 ლარი. ვ. კ-ძემ განცხადებით მომართა საკასაციო პალატას, რომელშიც აღნიშნა, რომ მის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის 70% შეადგენდა 331.83 ლარს, რის გამოც ხაზინა არ უბრუნებს სახელმწიფო ბაჟს.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 260-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, სასამართლოს შეუძლია მხარეთა თხოვნით ან თავისი ინიციატივით გაასწოროს გადაწყვეტილებაში დაშვებული უსწორობანი და აშკარა არითმეტიკული შეცდომები.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 26.11.08წ. #ბს-661-633(კ-08) განჩინების სარეზოლუციო ნაწილის მეორე პუნქტში მითითებული თანხა - 331.10 ლარი, როგორც განჩინებაში დაშვებული უსწორობა, უნდა გასწორდეს, შეიცვალოს და მიეთითოს 331 ლარი და 83 თეთრი.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მეორე ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 399-ე, 372-ე მუხლებით, 260-ე მუხლის პირველი ნაწილით და

### **და ა ა დ გ ი ნ ა:**

1. გასწორდეს საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 26.11.08წ. #ბს-661-633(კ-08) განჩინების სარეზოლუციო ნაწილის მეორე პუნქტში დაშვებული უსწორობა;

2. განჩინების სარეზოლუციო ნაწილის მეორე პუნქტში 331.10 ლარის ნაცვლად მიეთითოს 331 ლარი და 83 თეთრი.

3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## უსწორობის გასწორება

### განჩინება

#ბს-1149-1111(კ-08) 1 აპრილი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: მ. ცისკაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

ნ. სხირტლაძე,

პ. სილაგაძე

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილისა და 260-ე მუხლის შესაბამისად განიხილა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2008 წლის 17 დეკემბრის #ბს-1149-1111(კ-08) განჩინებაში დაშვებული უსწორობის გასწორების საკითხი.

#### სასამართლომ გამოარკვია:

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2008 წლის 17 დეკემბრის განჩინებით დაუშვებლად იქნა მიჩნეული ზ. ბ-ძის, გ. დ-ძისა და ზ. გ-ძის საკასაციო საჩივარი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 26 ივნისის განჩინებაზე; ზ. ბ-ძეს, გ. დ-ძესა და ზ. გ-ძეს დაუბრუნდათ მათ მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის 70% - 210 ლარი.

ზ. ბ-ძის, გ. დ-ძისა და ზ. გ-ძის წარმომადგენელმა ლ. მ-ძემ 2009 წლის 16 მარტს განცხადებით მიმართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატას, რომელითაც მოითხოვა მის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის უკან დაბრუნება.

საკასაციო სასამართლო გაეცნო ლ. მ-ძის განცხადებას და მიიჩნევს, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2008 წლის 17 დეკემბრის განჩინებაში დაშვებულ იქნა უსწორობა, რომელიც უნდა გასწორდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 260-ე მუხლის I ნაწილის თანახმად, სასამართლოს შეუძლია, მხარეთა თხოვნით ან თავისი ინიციატივით გაასწოროს გადაწყვეტილებაში (განჩინებაში) დაშვებული უსწორობანი.

აღნიშნული მუხლის საფუძველზე საკასაციო სასამართლო თვლის, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2008 წლის 17 დეკემბრის განჩინების მე-5 გვერდის მე-8 აბზაცი უნდა გასწორდეს და ნაცვლად: "საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ, ვინაიდან ზ. ბ-ძეს, გ. დ-ძესა და ზ. გ-ძეს გადახდილი აქვთ სახელმწიფო ბაჟი - 300 (სამასი) ლარი, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 401-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, მათ უნდა დაუბრუნდეთ აღნიშნული თანხის 70% - 210 (ორას ათი) ლარი", - ჩამოაყალიბდეს შემდეგნაირად: "საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ, ვინაიდან ზ. ბ-ძის, გ. დ-ძისა და ზ. გ-ძის წარმომადგენელ ლ. მ-ძეს გადახდილი აქვს სახელმწიფო ბაჟი - 300 (სამასი) ლარი, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 401-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, მას უნდა დაუბრუნდეს აღნიშნული თანხის 70% - 210 (ორას ათი) ლარი;

შესწორება შეტანილი უნდა იქნეს საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2008 წლის 17 დეკემბრის განჩინების სარეზოლუციო ნაწილის მე-2 პუნქტშიც და ეს პუნქტი ნაცვლად: "ზ. ბ-ძეს, გ. დ-ძესა და ზ. გ-ძეს დაუბრუნდეთ მათ მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის 70% - 210 (ორას ათი) ლარი;" - ჩამოაყალიბდეს შემდეგი შინაარსით - "ზ. ბ-ძის, გ. დ-ძისა და ზ. გ-ძის წარმომადგენელ ლ. მ-ძეს დაუბრუნდეს მის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის 70% - 210 ლარი."

#### სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მეორე ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 260-ე მუხლით და

## და ა დ გ ი ნ ა :

1. გასწორდეს საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2008 წლის 17 დეკემბრის განჩინების მე-5 გვერდის მე-8 აზვაცი და ნაცვლად: "საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ, ვინაიდან ზ. ბ-ძეს, გ. დ-ძესა და ზ. გ-ძეს გადახდილი აქვთ სახელმწიფო ბაჟი - 300 (სამასი) ლარი, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 401-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, მათ უნდა დაუბრუნდეთ აღნიშნული თანხის 70% - 210 ლარი" - ჩამოაყალიბდეს შემდეგნაირად: "საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ, ვინაიდან ზ. ბ-ძის, გ. დ-ძისა და ზ. გ-ძის წარმომადგენელ ლ. მ-ძეს გადახდილი აქვს სახელმწიფო ბაჟი - 300 ლარი, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 401-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, მას უნდა დაუბრუნდეს აღნიშნული თანხის 70% - 210 ლარი;

2. გასწორდეს საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2008 წლის 17 დეკემბრის განჩინების სარეზოლუციო ნაწილის მე-2 პუნქტი და ნაცვლად: "ზ. ბ-ძეს, გ. დ-ძესა და ზ. გ-ძეს დაუბრუნდეთ მათ მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის 70% - 210 ლარი;" - ჩამოაყალიბდეს შემდეგნაირად: "ზ. ბ-ძის, გ. დ-ძისა და ზ. გ-ძის წარმომადგენელ ლ. მ-ძეს დაუბრუნდეს მის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის 70% - 210 ლარი."

3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## უსწორობის გასწორება

### განჩინება

# ბს-1672-1626(კ-08) 6 აპრილი, 2009 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა**

**შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),**

**მ. ცისკაძე,**

**ნ. ქადაგიძე**

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 260-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, განიხილა ნ. გ-ძის განცხადება საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2009 წლის 5 მარტის #ბს-1672-1626(კ-08) განჩინებაში დაშვებული უსწორობის გასწორების თაობაზე.

### აღწერილობითი ნაწილი:

2008 წლის 13 მარტს ნ. გ-ძემ სასარჩელო განცხადებით მიმართა ბათუმის საქალაქო სასამართლოს, მოპასუხე სსიპ "ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის" მიმართ და სსიპ "ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის" რექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2008 წლის 14 იანვრის #1-115 ბრძანების ბათილად ცნობა და მის მიერ ვაკანტური ადგილის დასაკავებლად ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემაზე მოპასუხის დავალდებულება მოითხოვა.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 25 ივნისის გადაწყვეტილებით ნ. გ-ძის სასარჩელო მოთხოვნა დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; ბათილად იქნა ცნობილი სსიპ "ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის" რექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2008 წლის 14 იანვრის #1-115 ბრძანება; მოპასუხეს საქმის ფაქტობრივი გარემოებების სრულყოფილად გამოკვლევისა და შესწავლის შემდეგ ახალი ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა დაევა; მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ მის მიერ სახელმწიფო ბაჟის სახით გადახდილი თანხის - 100 ლარის გადახდა დაეკისრა.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 25 ივნისის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა სსიპ "ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტმა", რომელმაც აღნიშნული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სასარჩელო მოთხოვნების დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 22 ოქტომბრის განჩინებით სსიპ "ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის" სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა. უცვლელად დარჩა მოცემულ საქმეზე ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 25 ივნისის გადაწყვეტილება.



ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 22 ოქტომბრის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა სსიპ "ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტმა", რომელმაც აღნიშნული განჩინების გაუქმება და სასარჩელო მოთხოვნების დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2008 წლის 24 დეკემბრის განჩინებით, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებამი იქნა მიღებული სსიპ "ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის" საკასაციო საჩივარი; მხარეებს მიეცათ უფლება, 2008 წლის 24 დეკემბრის განჩინების ჩაბარებიდან 14 დღის ვადაში წარმოედგინათ მოსაზრება, თუ რამდენად იყო დასაშვები განსახილველად საკასაციო საჩივარი საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით; საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული დასაშვებობის შემოწმება განისაზღვრა 2009 წლის 5 მარტამდე.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2009 წლის 5 მარტის განჩინებით სსიპ "ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის" საკასაციო საჩივრები მიჩნეულ იქნა დაუშვებლად; უცვლელად დარჩა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 22 ოქტომბრის განჩინება.

2009 წლის 24 მარტს ნ. გ-მემ განცხადებით მომართა საქართველოს უზენაესი სასამართლოს, რომლითაც საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2009 წლის 5 მარტის #ბს-1672-1626(კ-08) განჩინებაში დაშვებული უსწორობის გასწორება მოითხოვა.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 260-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, სასამართლოს შეუძლია მხარეთა თხოვნით ან თავისი ინიციატივით გაასწოროს გადაწყვეტილებაში დაშვებული უსწორობანი. შესაბამისად, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ ნ. გ-მის განცხადება საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2009 წლის 5 მარტის #ბს-1672-1626(კ-08) განჩინებაში დაშვებული უსწორობის გასწორების თაობაზე უნდა დაკმაყოფილდეს, გასწორდეს საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2009 წლის 5 მარტის #ბს-1672-1626(კ-08) განჩინების მე-3 გვერდის მეორე აბზაცში დაშვებული უსწორობა და ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საკონკურსო კომისიის ნაცვლად მიეთითოს შოთა რუსთაველის ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის საკონკურსო კომისია, ხოლო განჩინების სარეზოლუციო ნაწილის პირველი და მე-2 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: "1. სსიპ "ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის" საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნეს დაუშვებლად; 2. უცვლელად დარჩეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 22 ოქტომბრის განჩინება".

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მეორე ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 399-ე, 372-ე მუხლებით, 260-ე მუხლის პირველი ნაწილით და

### **და ა ა დ გ ი ნ ა :**

1. ნ. გ-მის განცხადება საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2009 წლის 5 მარტის #ბს-1672-1626(კ-08) განჩინებაში დაშვებული უსწორობის გასწორების თაობაზე დაკმაყოფილდეს;

2. გასწორდეს საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2009 წლის 5 მარტის #ბს-1672-1626(კ-08) განჩინების მე-3 გვერდის მეორე აბზაცში დაშვებული უსწორობა და ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საკონკურსო კომისიის ნაცვლად მიეთითოს შოთა რუსთაველის ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის საკონკურსო კომისია, ხოლო განჩინების სარეზოლუციო ნაწილის პირველი და მე-2 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: "1. სსიპ "ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის" საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნეს დაუშვებლად; 2. უცვლელად დარჩეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 22 ოქტომბრის განჩინება";

3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## უსწორობის გასწორება

### განჩინება

#ბს-1241-1203(კ-08) 10 აპრილი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ნ. ქადაგიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
მ. ვაჩაძე,  
მ. ცისკაძე

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილისა და 260-ე მუხლის შესაბამისად განიხილა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2009 წლის 8 იანვრის #ბს-1241-1203(კ-08) განჩინებაში დაშვებული უსწორობის გასწორების საკითხი.

#### აღწერილობითი ნაწილი:

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2009 წლის 8 იანვრის განჩინებით ი. კ-შვილს უარი ეთქვა საკასაციო საჩივრის განსახილველად დაშვებაზე.

2009 წლის 3 აპრილს ი. კ-შვილის წარმომადგენელმა ი. ჯ-ძემ განცხადებით მომართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატას, რომელითაც ითხოვდა აღნიშნულ განჩინებაში ბაჟის დაბრუნების ნაწილში შესწორების შეტანას.

#### სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო გაეცნო ი. ჯ-ძის განცხადებას და მიიჩნევს, რომ განცხადება ექვემდებარება დაკმაყოფილებას შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 260-ე მუხლის თანახმად, სასამართლოს შეუძლია მხარეთა თხოვნით ან თავისი ინიციატივით გაასწოროს გადაწყვეტილებაში (განჩინებაში) დაშვებული უსწორობანი.

აღნიშნული მუხლის საფუძველზე სასამართლოსათვის მინიჭებული უფლებიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო საჭიროდ მიიჩნევს შესწორება შეიტანოს საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2009 წლის 8 იანვრის განჩინებაში და განჩინების სამოტივაციო ნაწილის მე-6 აბზაცი ნაცვლად: "ამასთან, საკასაციო პალატა მიუთითებს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 401-ე მუხლის მე-4 ნაწილზე და აღნიშნავს, რომ მითითებული მუხლის შესაბამისად: "თუ საკასაციო საჩივარი დაუშვებლად იქნება მიჩნეული, პირს დაუბრუნდება მის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის 70%". აღნიშნული მუხლიდან გამომდინარე და იმის გათვალისწინებით, რომ ი. კ-შვილის წარმომადგენლის - ი. ჯ-ძის საკასაციო საჩივარი დაუშვებლად იქნა მიჩნეული, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მას უნდა დაუბრუნდეს გადახდილი სახელმწიფო ბაჟის (301 ლარის) 70% (210,7 ლარი). ჩამოაყალიბოს შემდეგნაირად: "ამასთან, საკასაციო პალატა მიუთითებს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 401-ე მუხლის მე-4 ნაწილზე და აღნიშნავს, რომ მოცემული მუხლის შესაბამისად, თუ საკასაციო საჩივარი დაუშვებლად იქნება მიჩნეული, პირს დაუბრუნდება მის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის 70%. აღნიშნული მუხლიდან გამომდინარე და იმის გათვალისწინებით, რომ ი. კ-შვილის წარმომადგენლის - ი. ჯ-ძის საკასაციო საჩივარი დაუშვებლად იქნა მიჩნეული, ი. ჯ-ძეს დაუბრუნდეს საკასაციო საჩივარზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟის (300 ლარის) 70% (210 ლარი)", ხოლო სარეზოლუციო ნაწილის მე-2 პუნქტი ნაცვლად: "2. ი. კ-შვილის წარმომადგენელ ი. ჯ-ძეს დაუბრუნდეს მის მიერ საკასაციო საჩივარზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟის (301 ლარის) 70% - 210,7 ლარი, ანგარიშიდან: საბიუჯეტო შემოსავლების სახაზინო კოდი - 300773150, გადახდის დანიშნულება - სახელმწიფო ბაჟი საქართველოს უზენაეს სასამართლოში განსახილველი საქმეებისათვის, მიმღები - ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო (თბილისი), ხაზინის ერთიანი ანგარიშის #200122900, სახელმწიფო ხაზინა, ბანკის კოდი - 220101222", ჩამოაყალიბდეს შემდეგნაირად: "2. ი. კ-შვილის წარმომადგენელ ი. ჯ-ძეს დაუბრუნდეს მის მიერ საკასაციო საჩივარზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟის

(300 ლარის) 70% - 210 ლარი ანგარიშიდან: საბიუჯეტო შემოსავლების სახაზინო კოდი - 300773150, გადახდის დანიშნულება - სახელმწიფო ბაჟი საქართველოს უზენაეს სასამართლოში განსახილველი საქმეებისათვის, მიმღები - ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო (თბილისი), ხაზინის ერთიანი ანგარიშის #200122900, სახელმწიფო ხაზინა, ბანკის კოდი - 220101222."

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მეორე ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 260-ე მუხლით და

#### **და ა ა დ გ ი ნ ა:**

1. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2009 წლის 8 იანვრის #ბს-1241-1203(კ-08) განჩინების სამოტივაციო ნაწილის მე-6 აბზაცი ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად: "ამასთან, საკასაციო პალატა მიუთითებს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 401-ე მუხლის მე-4 ნაწილზე და აღნიშნავს, რომ მოცემული მუხლის შესაბამისად, თუ საკასაციო საჩივარი დაუშვებლად იქნება მიჩნეული, პირს დაუბრუნდება მის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის 70%. აღნიშნული მუხლიდან გამომდინარე და იმის გათვალისწინებით, რომ ი. კ-შვილის წარმომადგენლის - ი. ჯ-ძის საკასაციო საჩივარი დაუშვებლად იქნა მიჩნეული, ი. ჯ-ძეს დაუბრუნდეს საკასაციო საჩივარზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟის (300 ლარის) 70% (210 ლარი)", ხოლო სარეზოლუციო ნაწილის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად: "2. ი. კ-შვილის წარმომადგენელ ი. ჯ-ძეს დაუბრუნდეს მის მიერ საკასაციო საჩივარზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟის (300 ლარის) 70% - 210 ლარი ანგარიშიდან: საბიუჯეტო შემოსავლების სახაზინო კოდი - 300773150, გადახდის დანიშნულება - სახელმწიფო ბაჟი საქართველოს უზენაეს სასამართლოში განსახილველი საქმეებისათვის, მიმღები - ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო (თბილისი), ხაზინის ერთიანი ანგარიშის #200122900, სახელმწიფო ხაზინა, ბანკის კოდი - 220101222."

2. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

#### **უსწორობის გასწორება**

##### **განჩინება**

#ბს-993-950(კ-07) 29 აპრილი, 2009 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
მ. ცისკაძე,  
ნ. ქადაგიძე**

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილისა და 260-ე მუხლის შესაბამისად განიხილა შპს "...-ის" გენერალური დირექტორის მ. კ-ძის განცხადება საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2007 წლის 19 დეკემბრის #ბს-993-950(კ-07) განჩინების სარეზოლუციო ნაწილში დაშვებული უსწორობის გასწორების თაობაზე.

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2007 წლის 19 დეკემბრის განჩინებით შპს "...-ის" საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დაუშვებლად; უცვლელად დარჩა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 20 სექტემბრის განჩინება; შპს "...-ს" დაუბრუნდა მის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის - 1360 ლარის 70% - 952 ლარი.

2009 წლის 17 მარტს შპს "...-ის" გენერალურმა დირექტორმა მ. კ-ძემ განცხადებით მომართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს, რომლითაც მოითხოვა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2007 წლის 19 დეკემბრის #ბს-993-950(კ-07) განჩინების სარეზოლუციო ნაწილის მე-3 პუნქტში შესწორების შეტანა და შპს

"...-ის" ნაცვლად შპს "...-ის" გენერალური დირექტორის - მ. კ-ძის მითითება, ვინაიდან სახელმწიფო ბაჟი გადახდილი იყო შპს "...-ის" გენერალური დირექტორის მ. კ-ძის მიერ.

**სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო გაეცნო შპს "...-ის" გენერალური დირექტორის მ. კ-ძის განცხადებას და მიიჩნევს, რომ ხსენებული განცხადება უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 260-ე მუხლის თანახმად, სასამართლოს შეუძლია მხარეთა თხოვნით ან თავისი ინიციატივით გაასწოროს გადაწყვეტილებაში (განჩინებაში) დაშვებული უსწორობანი. შესაბამისად, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ შპს "...-ის" გენერალური დირექტორის - მ. კ-ძის განცხადება საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2007 წლის 19 დეკემბრის #ბს-993-950(კ-07) განჩინებაში დაშვებული უსწორობის გასწორების თაობაზე უნდა დაკმაყოფილდეს და ხსენებული განჩინების სარეზოლუციო ნაწილის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: "შპს "...-ის" გენერალური დირექტორ მ. კ-ძეს დაუბრუნდეს მის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის - 1360 ლარის 70% - 952 ლარი".

**სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მეორე ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 260-ე მუხლით და

**და ა ა დ გ ი ნ ა:**

1. შპს "...-ის" გენერალური დირექტორის - მ. კ-ძის განცხადება საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2007 წლის 19 დეკემბრის #ბს-993-950(კ-07) განჩინების სარეზოლუციო ნაწილში დაშვებული უსწორობის გასწორების თაობაზე დაკმაყოფილდეს;

2. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2007 წლის 19 დეკემბრის #ბს-993-950(კ-07) განჩინების სარეზოლუციო ნაწილის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: "შპს "...-ის" გენერალური დირექტორ მ. კ-ძეს დაუბრუნდეს მის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის - 1360 ლარის 70% - 952 ლარი";

3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**უსწორობის გასწორება**

**განჩინება**

#ბს-1320-1279(კ-08) 29 მაისი, 2009 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა**

**შემადგენლობა: ლ. მურუსიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),**

**ნ. სხირტლაძე,**

**პ. სილაგაძე**

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 260-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, განიხილა სს "...-ის" დირექტორის - დ. ს-ძის განცხადება საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2009 წლის 16 თებერვლის #ბს-1320-1279(კ-08) განჩინების სარეზოლუციო ნაწილში დაშვებული უსწორობის გასწორების შესახებ, ასევე - აქედან გამომდინარე, შესაბამისი ახალი სააღსრულებო ფურცლის გაცემის საკითხი.

**აღწერილობითი ნაწილი:**

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2009 წლის 16 თებერვლის #ბს-1320-1279(კ-08) განჩინებით სს "...-ის" საკასაციო საჩივარი

მიჩნეულ იქნა დაუშვებლად; უცვლელად დარჩა თბილისის საკაპლაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 9 ივნისის განჩინება; სს "...-ს" დაუბრუნდა საკასაციო საჩივარზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟის 70% - 210 ლარი.

2009 წლის 16 მარტს საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატამ გასცა #ბს-1320-1279(კ-08) სააღსრულებო ფურცელი.

2009 წლის 18 მაისს საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატას განცხადებით მიმართა სს "...-ის" დირექტორმა დ. ს-ძემ, რომელმაც მოითხოვა სახელმწიფო ბაჟის 70% - 210 ლარის პირადად მისთვის დაბრუნება, რადგან აღნიშნული თანხა მის მიერ პირადად იყო შეტანილი სს "საქართველოს ბანკში" (ცენტრალურ ფილიალში), რაც დასტურდება შესაბამისი საბანკო დოკუმენტით, ანუ განმცხადებელმა დ. ს-ძემ ფაქტობრივად მოითხოვა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2009 წლის 16 თებერვლის #ბს-1320-1279(კ-08) განჩინების სარეზოლუციო ნაწილში დაშვებული უსწორობის გასწორება.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილზე, რომლის თანახმად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 260-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, სასამართლოს შეუძლია, მხარეთა თხოვნით ან თავისი ინიციატივით გაასწოროს გადაწყვეტილებაში დაშვებული უსწორობანი.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სს "...-ის" დირექტორის - დ. ს-ძის განცხადება საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2009 წლის 16 თებერვლის #ბს-1320-1279(კ-08) განჩინების სარეზოლუციო ნაწილში დაშვებული უსწორობის გასწორების შესახებ უნდა დაკმაყოფილდეს და გასწორდეს საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2009 წლის 16 თებერვლის #ბს-1320-1279(კ-08) განჩინების სარეზოლუციო ნაწილში დაშვებული უსწორობა - სარეზოლუციო ნაწილის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად: "დ. ს-ძეს დაუბრუნდეს საკასაციო საჩივარზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟის 70% - 210 ლარი".

გარდა ამისა, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ #ბს-1320-1279(კ-08) საქმეზე (შესაბამის ნაწილში), 2009 წლის 16 მარტს გაცემული სააღსრულებო ფურცლის ნაცვლად, საკასაციო სასამართლოს მიერ უნდა გაიცეს ახალი სააღსრულებო ფურცელი, საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2009 წლის 16 თებერვლის #ბს-1320-1279(კ-08) განჩინების სარეზოლუციო ნაწილში უსწორობის გასწორების გათვალისწინებით.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 399-ე, 372-ე მუხლებით, 260-ე მუხლის პირველი ნაწილით და

### **დ ა ა დ გ ი ნ ა :**

1. სს "...-ის" დირექტორის - დ. ს-ძის განცხადება საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2009 წლის 16 თებერვლის #ბს-1320-1279(კ-08) განჩინების სარეზოლუციო ნაწილში დაშვებული უსწორობის გასწორების შესახებ დაკმაყოფილდეს;

2. გასწორდეს საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2009 წლის 16 თებერვლის #ბს-1320-1279(კ-08) განჩინების სარეზოლუციო ნაწილში დაშვებული უსწორობა - სარეზოლუციო ნაწილის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად: "დ. ს-ძეს დაუბრუნდეს საკასაციო საჩივარზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟის 70% - 210 ლარი" და ამ ნაწილში გაიცეს ახალი სააღსრულებო ფურცელი, საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2009 წლის 16 თებერვლის #ბს-1320-1279(კ-08) განჩინების სარეზოლუციო ნაწილში უსწორობის გასწორების გათვალისწინებით;

3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## უსწორობის გასწორება

### განჩინება

№ბს-1532-1489(კ-08)

1 ივნისი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ლ. მურუსიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ნ. სხირტლაძე,  
პ. სილაგაძე

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 260-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, თავისი ინიციატივით განიხილა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2009 წლის 16 თებერვლის №ბს-1532-1489(კ-08) განჩინების სარეზოლუციო ნაწილში დაშვებული უსწორობის გასწორების საკითხი, ასევე - სტუდია "...-ის" წარმომადგენელ ნ. ზ-შვილის მომართვის შესაბამისად, სააღსრულებო ფურცლის გაცემის საკითხი.

#### აღწერილობითი ნაწილი:

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2009 წლის 16 თებერვლის №ბს-1532-1489(კ-08) განჩინებით სტუდია "...-ის" საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დაუშვებლად; უცვლელად დარჩა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 19 ივნისის განჩინება; სტუდია "...-ს" დაუბრუნდა საკასაციო საჩივარზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟის 70% - 210 ლარი.

2009 წლის 22 მაისს საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატას წერილობით მიმართა სტუდია "...-ის" წარმომადგენელმა ნ. ზ-შვილმა, რომელმაც მოითხოვა სახელმწიფო ბაჟის 70% - 210 ლარის დაბრუნების შესახებ სააღსრულებო ფურცლის გაცემა. ამასთან, ნ. ზ-შვილთან და ნ. ბ-შვილთან სატელეფონო საუბრით გაირკვა, რომ საკასაციო საჩივარზე სახელმწიფო ბაჟის - 300 ლარის გადახდის ქვითარში გადამხდელად მითითებულია არა სტუდია "...", არამედ - ნ. ბ-შვილი.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილზე, რომლის თანახმად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 260-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, სასამართლოს შეუძლია მხარეთა თხოვნით ან თავისი ინიციატივით გაასწოროს გადაწყვეტილებაში დაშვებული უსწორობანი.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2009 წლის 16 თებერვლის №ბს-1532-1489(კ-08) განჩინების სარეზოლუციო ნაწილში დაშვებული უსწორობა უნდა გასწორდეს - სარეზოლუციო ნაწილის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად: "ნ. ბ-შვილს დაუბრუნდეს საკასაციო საჩივარზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟის 70% - 210 ლარი".

გარდა ამისა, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ №ბს-1532-1489(კ-08) საქმეზე (შესაბამის ნაწილში) საკასაციო სასამართლოს მიერ უნდა გაიცეს სააღსრულებო ფურცელი, საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2009 წლის 16 თებერვლის №ბს-1532-1489(კ-08) განჩინების სარეზოლუციო ნაწილში უსწორობის გასწორების გათვალისწინებით.

#### სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 399-ე, 372-ე მუხლებით, 260-ე მუხლის პირველი ნაწილით და

### და ა ა დ გ ი ნ ა:

1. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2009 წლის 16 თებერვლის №ბს-1532-1489(კ-08) განჩინების სარეზოლუციო ნაწილში დაშვებული უსწორობა გასწორდეს - სარეზოლუციო ნაწილის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად: "ნ. ბ-შვილს დაუბრუნდეს საკასაციო საჩივარზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟის 70% - 210 ლარი";

2. #ბს-1532-1489(კ-08) საქმეზე (შესაბამის ნაწილში) გაიცეს სააღსრულებო ფურცელი, საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2009 წლის 16 თებერვლის #ბს-1532-1489(კ-08) განჩინების სარეზოლუციო ნაწილში უსწორობის გასწორების გათვალისწინებით;

3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## უსწორობის გასწორება

### განჩინება

#ბს-1235-1197(კ-08) 22 ივნისი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ნ. ჭადაგიძე,  
ლ. მურუსიძე

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 260-ე მუხლის შესაბამისად, განიხილა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 04.02.09წ. #ბს-1235-1197(კ-08) გადაწყვეტილების შესავალ ნაწილში დაშვებული უსწორობის გასწორების საკითხი.

### აღწერილობითი ნაწილი:

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 04.02.09წ. #ბს-1235-1197(კ-08) გადაწყვეტილებით საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, გაუქმდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 04.06.08წ. განჩინება იმ ნაწილში, რომლითაც უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 28.12.07წ. გადაწყვეტილება საქართველოს თავდაცვის სამინისტროსათვის ე. ა-შვილის სასარგებლოდ კვების კომპენსაციის - 472 ლარის დაკისრების ნაწილში და ამ ნაწილში მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება - არ დაკმაყოფილდა ე. ა-შვილის სარჩელი საქართველოს თავდაცვის სამინისტროსათვის კვების კომპენსაციის - 472 ლარის დაკისრების ნაწილში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 28.12.07წ. გადაწყვეტილების და თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 04.06.08წ. განჩინების კანონიერ ძალაში შესული ნაწილების გათვალისწინებით, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ე. ა-შვილის სასარგებლოდ დაეკისრა 786 ლარი და 93 თეთრი.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 260-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, სასამართლოს შეუძლია მხარეთა თხოვნით ან თავისი ინიციატივით გაასწოროს გადაწყვეტილებაში დაშვებული უსწორობანი და ამკარა არითმეტიკული შეცდომები.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 04.02.09წ. #ბს-1235-1197(კ-08) გადაწყვეტილების შესავალ ნაწილში შეცდომით იქნა მითითებული "განჩინება" "გადაწყვეტილების" ნაცვლად, რაც, როგორც განჩინებაში დაშვებული უსწორობა, უნდა გასწორდეს, შეიცვალოს და "განჩინების" ნაცვლად უნდა მიეთითოს "გადაწყვეტილება".

### სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მეორე ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 399-ე, 372-ე მუხლებით, 260-ე მუხლის პირველი ნაწილით და

### და ა ა დ გ ი ნ ა:

1. გასწორდეს საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 04.02.09წ. #ბს-1235-1197(კ-08) გადაწყვეტილების შესავალ ნაწილში დაშვებული უსწორობა;

2. გადაწყვეტილების შესავალ ნაწილში "განჩინების" ნაცვლად მიეთითოს "გადაწყვეტილება".

3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## უსწორობის გასწორება

### განჩინება

#ბს-268-258(კ-09)

6 აგვისტო, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ნ. წვეპლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ნ. ქადაგიძე,  
პ. სილაგაძე

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი და სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 260-ე მუხლების საფუძველზე, ზეპირი განხილვის გარეშე განიხილა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის სასამართლოს 2009 წლის 9 ივლისის სააღსრულებო ფურცელში შესწორების შეტანის საკითხი.

საკასაციო სასამართლომ საქმის მასალების გაცნობის შედეგად გამოარკვია:

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2009 წლის 16 ივნისის განჩინებით განიხილა მ. ქ-ძის საკასაციო საჩივრის დასაშვებობის საკითხი თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 21 ოქტომბრის განჩინებაზე. საკასაციო სასამართლოს კოლეგიური შემადგენლობის მითითებული განჩინებით მ. ქ-ძის საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დაუშვებლად და კასატორს - მ. ქ-ძეს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ დაეკისრა სახელმწიფო ბაჟის - 300 ლარის 30%-ის - 90 ლარის გადახდა.

სახელმწიფო ბაჟის დაკისრების ნაწილში საკასაციო სასამართლოს 2009 წლის 16 ივნისის განჩინების აღსრულების მიზნით, 2009 წლის 9 ივლისს გამოიწერა სააღსრულებო ფურცელი, რომელიც აღსასრულებლად გადაეგზავნა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს აღსრულების ეროვნული ბიუროს კახეთის სააღსრულებო ბიუროს.

2009 წლის 27 ივლისს საკასაციო სასამართლოს დაუბრუნდა 2009 წლის 9 ივლისის სააღსრულებო ფურცელი შეუსრულებელი სახით იმ მოტივით, რომ "სააღსრულებო წარმოებათა შესახებ" საქართველოს კანონის 21.3 მუხლის "ვ" ქვეპუნქტში შეტანილი ცვლილების შესაბამისად, სააღსრულებო ფურცელში უნდა მიეთითოს კრედიტორისა და მოვალის დასახელება და მათი რეკვიზიტები, მათ შორის, პირადი ნომერი ან გადასახადის გადამხდელის საიდენტიფიკაციო ნომერი.

### სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო წარმოდგენილი მასალების საფუძველზე მივიდა იმ დასკვნამდე, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 9 ივლისის სააღსრულებო ფურცელში სასამართლოს ინიციატივით შეტანილ უნდა იქნეს შესწორება და მოვალის რეკვიზიტებში დამატებით მიეთითოს მ. ქ-ძის პირადი ნომერი - ... შემდეგ გარემოებათა გამო:

"სააღსრულებო წარმოებათა შესახებ" საქართველოს 1999 წლის 16 აპრილის კანონის 21.3 მუხლი განსაზღვრავს სააღსრულებო ფურცლის რეკვიზიტებს. მითითებული ნორმის "ვ" ქვეპუნქტი სავალდებულო მოთხოვნად ადგენდა სააღსრულებო ფურცელში კრედიტორისა და მოვალის დასახელებისა და მათი რეკვიზიტების მითითებას. "სააღსრულებო წარმოებათა შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე" საქართველოს 2009 წლის 19 ივნისის კანონის შესაბამისად, მითითებული კანონის 21.3 მუხლის "ვ" ქვეპუნქტში შევიდა ცვლილება და სავალდებულო რეკვიზიტად დადგინდა სააღსრულებო ფურცელში მოვალისა და კრედიტორის დასახელებასთან ერთად მათი პირადი ნომრების ან გადასახადის გადამხდელის საიდენტიფიკაციო ნომრების მითითება. ამასთან, საქართველოს 2009 წლის 19 ივნისის კანონით განისაზღვრა მისი ამოქმედების ვადა - 2009 წლის 2 ივლისი.

კონკრეტულ შემთხვევაში, სახელმწიფო ბაჟის კასატორისათვის დაკისრების ნაწილში საკასაციო სასამართლოს 2009 წლის 16 ივნისის განჩინების აღსრულების მიზნით სააღსრულებო ფურცელი გაიცა 2009 წლის 9 ივლისს, მაგრამ მასში არ იყო მითითებული "სააღსრულებო წარმოებათა შე-



სახებ” საქართველოს კანონში განხორციელებული ცვლილების შესაბამისად, მოვალის პირადი ნომერი, რის გამოც სააღსრულებო ფურცელი შეუსრულებელი სახით დაუბრუნდა საკასაციო სასამართლოს.

მითითებულის გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ აღნიშნული სსსკ-ის 260-ე მუხლის შესაბამისად, ექვემდებარება საკასაციო სასამართლოს მიერ შესწორებას და სააღსრულებო ფურცელში მოვალის რეკვიზიტებში დამატებით უნდა მიეთითოს მ. ქ-ძის პირადი ნომერი - . . .

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1.2, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 260-ე, 372-ე, 390-ე, 399-ე მუხლებით და

#### **და ა ა დ გ ი ნ ა:**

1. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 9 ივლისის სააღსრულებო ფურცელში სასამართლოს ინიციატივით შეტანილ იქნეს შესწორება და მოვალის რეკვიზიტებში დამატებით მიეთითოს მ. ქ-ძის პირადი ნომერი - 01017034735;
2. გაიცეს სააღსრულებო ფურცელი;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება

#### **უსწორობის გასწორება**

##### **განჩინება**

#ბს-345-330(კ-09)

22 ოქტომბერი, 2009 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა**  
**შემადგენლობა: ნ. წკეპლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),**  
**მ. ვაჩაძე,**  
**პ. სილაგაძე**

**ზეპირი განხილვის გარეშე განიხილა** ნ. ე-შვილის წარმომადგენლის ლ. მ-ძის შუამდგომლობა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2009 წლის 7 ივლისის გადაწყვეტილებაში უსწორობის გასწორების საკითხი.

#### **საკასაციო სასამართლომ გამოარკვია:**

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატამ შემადგენლობით: თავმჯდომარე, მომხსენებელი ნ. წკეპლაძე, მოსამართლეები: პ. სილაგაძე, მ. ვაჩაძე, 2009 7 ივლისს ზეპირი განხილვის გარეშე განიხილა საქართველოს შს სამინისტროს თბილისის მთავარი სამმართველოს საკასაციო საჩივარი, თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციული საქმეთა პალატის 2008 წლის 28 ოქტომბრის გადაწყვეტილებაზე.

საკასაციო სასამართლოს მიერ ნ. ე-შვილის წარმომადგენლის, ლ. მ-ძის შუამდგომლობის დასაბუთებულობის შემოწმების მიზნით თბილისის საქალაქო სასამართლიდან გამოთხოვილ იქნა ზემომითითებული ადმინისტრაციული საქმე. საქმეში არსებული საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ. თბილისის მთავარი სამმართველოს მიერ გაცემული ცნობის თანახმად, ნ. ე-შვილის სახელფასო დავალიანება შეადგენს 1428,91 ლარს, მათ შორის 1998, 1999 და 2000 წლების კვების (უღლფის) კომპენსაცია შეადგენს 708 ლარს.

შესაბამისად, გადაწყვეტილების სამოტივაციო და სარეზოლუციო ნაწილში საკასაციო სასამართლოს მიერ არასწორად იქნა მითითებული კვების კომპენსაციის თანხის ოდენობა, ნაცვლად კვების (უღლფის) კომპენსაციის - 708 ლარისა, მითითებულ იქნა კვების (უღლფის) კომპენსაცია - 455,07 ლარი, რამდენადაც მოცემულ საქმეში ნ. ე-შვილის სარჩელი 1998, 1999 და 2000 წლების კვების (უღლფის) კომპენსაციის ანაზღაურების თაობაზე დაკმაყოფილდა, რაც, საქმის მასალების თანახმად, შეადგენს 708 ლარს.

სასამართლოს მიაჩნია, რომ ზემოაღნიშნული გარემოება სსსკ-ის 260-ე მუხლის შესაბამისად წარმოადგენს გადაწყვეტილებაში დაშვებულ უსწორობას, რომელიც გამოწვეულია ტექნიკური ხასია-

თის ხარვეზით, გადაწყვეტილება აკრეფილია კომპიუტერის საშუალებით, რა დროსაც არასწორად მიეთითა თანხის ოდენობა - 455,07 ლარი, ნაცვლად - 708 ლარისა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლოს მიაჩნია, რომ ნ. ე-შვილის წარმომადგენლის ლ. მ-ძის შუამდგომლობა უნდა დაკმაყოფილდეს და აღნიშნული უსწორობა ექვემდებარება გასწორებდეს შესაბამისად, საკასაციო სასამართლოს 2009 წლის 7 ივლისის გადაწყვეტილების სამოტივაციო და სარეზოლუციო ნაწილში თანხისა - 455,07 ლარის ნაცვლად მიეთითოს 708 ლარი.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა რა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1.2, სა-მოქალაქო საპროცესო კოდექსის 260-ე, 372-ე, 390-ე, 399-ე მუხლებით და

#### **და ა ა დ გ ი ნ ა:**

1. ნ. ე-შვილის წარმომადგენლის ლ. მ-ძის შუამდგომლობა დაკმაყოფილდეს;
2. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2009 წლის 7 ივლისის გადაწყვეტილების სამოტივაციო და სარეზოლუციო ნაწილში, საქმეზე #ბს-345-330(კ-09), ნ. ე-შვილის სარჩელთან დაკავშირებით, გასწორდეს დაშვებული უსწორობა და თანხის - 455.07 ლარის ნაცვლად მიეთითოს 708 ლარი;
3. განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

#### **უსწორობის გასწორება**

##### **განჩინება**

#ბს-1149-1096(კს-09) 3 ნოემბერი, 2009 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა**

**შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),**

**ნ. ქადაგიძე,**

**პ. სილაგაძე**

**დავის საგანი:** გასაჩივრებული განჩინების გაუქმება

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

2008 წლის 4 მარტს ც. მ-შვილის წარმომადგენელმა - ა. გ-იამ სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხეების - საქართველოს იუსტიციის სამინისტროსა და საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიმართ, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობისა და ქმედების განხორციელების მოთხოვნით.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 30 აპრილის განჩინებით ც. მ-შვილის სასარჩელო მოთხოვნაზე - საქართველოს იუსტიციის სამინისტროს გენერალური ინსპექციის 2007 წლის 18 ივნისის დასკვნის ბათილად ცნობის ნაწილში შეწყდა საქმის წარმოება დაუშვებლობის გამო.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 10 ოქტომბრის გადაწყვეტილებით ც. მ-შვილის სარჩელი დაკმაყოფილდა - ბათილად იქნა ცნობილი საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2008 წლის 18 იანვრის #14 ბრძანება, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2007 წლის 24 აგვისტოს ბრძანება, 2007 წლის 11 ოქტომბრის #01/11-6318 ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, აღსასრულებლად მიქცევის 2007 წლის 25 მაისის #01/11-3279/1001/მ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 10 ოქტომბრის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ და ც. მ-შვილის წარმომადგენელმა - ა. გ-იამ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის მიერ 2009 წლის 24 აპრილს მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, რომლის სარეზოლუციო ნაწილი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით:

1. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს და საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს სააპელაციო საჩივრები დაკმაყოფილდეს, ც. მ-შვილის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;

2. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 17 მარტის გადაწყვეტილების შეცვლით მიღებული იქნეს ახალი გადაწყვეტილება;

3. ც. მ-შვილს უარი ეთქვას სარჩელის დაკმაყოფილებაზე.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 24 აპრილის გადაწყვეტილება საკასაციო წესით არ გასაჩივრებულა საქმეში მონაწილე არც ერთი მხარის მიერ.

2009 წლის 30 ივლისს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის მიერ მიღებულ იქნა განჩინება თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 24 აპრილის გადაწყვეტილებაში უსწორობათა და აშკარა არითმეტიკული შეცდომების გასწორების შესახებ.

სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 24 აპრილის გადაწყვეტილებაში - მათ შორის სარეზოლუციო ნაწილში დაშვებული იყო უსწორობანი. კერძოდ, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 10 ოქტომბრის გასაჩივრებული გადაწყვეტილების ნაცვლად მიეთითა "თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 17 მარტის გადაწყვეტილება", რაც წარმოადგენდა ტექნიკურ შეცდომას - კომპიუტერზე ტექსტის აკრეფის შედეგად დაშვებულ მექანიკურ უსწორობას.

სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ აღნიშნული შეცდომა მექანიკური ხასიათის იყო და დაადგინა, გასწორებულიყო თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის გადაწყვეტილებაში, მათ შორის, სარეზოლუციო ნაწილში დაშვებული უზუსტობა: თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 24 აპრილის გადაწყვეტილებაში, მათ შორის, სარეზოლუციო ნაწილში მითითებული "თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 17 მარტის გადაწყვეტილება" შეიცვალა სიტყვებით - თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 10 ოქტომბრის გადაწყვეტილება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 30 ივლისის განჩინება გადაწყვეტილებაში უსწორობათა და აშკარა არითმეტიკულ შეცდომათა გასწორების შესახებ კერძო საჩივრით გაასაჩივრა ც. მ-შვილის წარმომადგენელმა - ა. გ-იამ.

კერძო საჩივრის ავტორმა აღნიშნა, რომ გასაჩივრებული განჩინება გამოიტანა არაუფლებამოსილმა სასამართლო შემადგენლობამ. აღნიშნული სასამართლო შემადგენლობის არც ერთ წევრს საკითხის განხილვისას არ ეწერა საქმის მასალები. შესაბამისად, კერძო საჩივრის ავტორი გასაჩივრებული განჩინების გაუქმების საფუძველად მიუთითებდა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის "ა" პუნქტს.

კერძო საჩივრის ავტორმა ასევე აღნიშნა, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 24 აპრილის გადაწყვეტილებაში არასწორად იქნა მითითებული დავის საგანი, მაშინ, როცა მხარის მიერ დაყენებული დავის საგანი იყო საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2008 წლის 18 იანვრის #14 ბრძანების, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2007 წლის 24 აგვისტოს #397 ბრძანების, ამავე სააგენტოს 2007 წლის 11 ოქტომბრის #01/11-6318 ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა და საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2007 წლის 25 მაისის #01/11-3279/1001/მ გადაწყვეტილების აღსასრულებლად მიქცევა.

ც. მ-შვილის წარმომადგენელმა - ა. გ-იამ ასევე აღნიშნა, რომ გადაწყვეტილებაში უსწორობის გასწორებას არეგულირებს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 260-ე მუხლი, რომელიც სასამართლოს ავალდებულებს საქმის განხილვის თაობაზე აცნობოს მხარეებს. სასამართლომ არ შეასრულა კანონით აღნიშნული მოთხოვნა და ისე განიხილა საქმე, რომ მხარეებისთვის არ შეუტყობინებია აღნიშნულის შესახებ, რაც კანონის მოთხოვნათა შეუსრულებლობაზე მიუთითებს.

მხარემ აღნიშნა, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ არ იქნა გათვალისწინებული ის მომენტი, რომ გადაწყვეტილებაში უსწორობათა გასწორება შეუძლია სასამართლოს მხოლოდ გადაწყვეტილების აღსრულების დამთავრებამდე.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, ა. გ-იამ თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 30 ივლისის განჩინების გაუქმება მოითხოვა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2009 წლის 22 ოქტომბრის განჩინებით წარმოებაში იქნა მიღებული ც. მ-შვილის კერძო საჩივარი და საქმის განხილვა დაინიშნა ზეპირი მოსმენის გარეშე.

### სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატა საქმის მასალების გაცნობის, კერძო საჩივრის საფუძვლიანობისა და გასაჩივრებული განჩინების კანონიერების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი.

სასამართლოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებაში შესწორების შეტანის წესს განსაზღვრავს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 260-ე მუხლი, რომლის მიხედვითაც სასამართლოს შეუძლია მხარეთა თხოვნით, ან თავისი ინიციატივით გაასწოროს გადაწყვეტილებაში დაშვებული უსწორობანი ან აშკარა არითმეტიკული შეცდომები. თუ სასამართლოს მიზანშეწონილად მიაჩნია, შესწორებათა შეტანის საკითხი შეიძლება გადაწყდეს სასამართლო სხდომაზე. მხარეებს ეცნობებათ სხდომის დრო და ადგილი, მაგრამ მათი გამოუცხადებლობა არ წარმოადგენს დაბრკოლებას გადაწყვეტილებაში უსწორობის შეტანის საკითხის განხილვისათვის.

ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ შესწორებათა შეტანის საკითხის სასამართლო სხდომაზე განხილვა სასამართლოს უფლებამოსილებაა და არა ვალდებულება. შესაბამისად, საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, უსაფუძვლოა კერძო საჩივრის ავტორის მტკიცება იმასთან დაკავშირებით, თითქოს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 260-ე მუხლი სასამართლოს ვალდებულებს საქმის სასამართლო სხდომაზე, ზეპირი მოსმენით განხილვას.

გადაწყვეტილებაში შესწორების შეტანისათვის რაიმე ვადები საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული არ არის. შესაბამისად, საკასაციო სასამართლო ასევე უსაფუძვლოდ მიიჩნევს მხარის მტკიცებას იმის თაობაზე, რომ გადაწყვეტილებაში უსწორობათა გასწორება შეუძლია სასამართლოს მხოლოდ გადაწყვეტილების აღსრულების დამთავრებამდე. ამგვარ დათქმას საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 260-ე მუხლი არ შეიცავს.

საკასაციო სასამართლო არ იზიარებს კერძო საჩივრის ავტორის მოსაზრებას იმ გარემოებასთან დაკავშირებით, რომ გადაწყვეტილებაში უზუსტობისა და აშკარა არითმეტიკული შეცდომების გასწორების შესახებ განჩინება მიღებულია არაუფლებამოსილი სასამართლოს მიერ და განმარტავს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის შესაბამისად, გადაწყვეტილებაში უსწორობათა და აშკარა არითმეტიკული შეცდომების გასწორებაზე უფლებამოსილ სასამართლოს წარმოადგენს გადაწყვეტილების გამომტანი სასამართლო. განსახილველ შემთხვევაში გადაწყვეტილების გამომტანი სასამართლო თბილისის სააპელაციო სასამართლოა. უსწორობათა გასწორების შესახებ განჩინება მიღებულია თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის ერთ-ერთი შემადგენლობის მიერ, ვინაიდან აღნიშნული განჩინების მიღებისას სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატაში გადაწყვეტილების გამომტანი სასამართლოს იგივე შემადგენლობა აღარ იყო.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 24 აპრილის გადაწყვეტილებით უტყუარად არის დადასტურებული, რომ სააპელაციო სასამართლო განიხილავდა ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობისა და ქმედების განხორციელების მოთხოვნებს ც. მ-შვილის სარჩელთან დაკავშირებით. საქმის განხილვისას სასამართლო სხდომებზე მონაწილეობას იღებდა აპელანტი, ც. მ-შვილის წარმომადგენელი, ა. გ-ია, რომელიც ასევე თავად ესწრებოდა 2009 წლის 24 აპრილის გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებას. ამდენად, საკასაციო სასამართლო უსაფუძვლოდ მიიჩნევს მხარის მტკიცებას, რომ სააპელაციო სასამართლო არ შეხებია ც. მ-შვილის სარჩელთან დაკავშირებით აღძრულ ადმინისტრაციულ საქმეს და სასამართლომ გააუქმა არა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 10 ოქტომბრის გადაწყვეტილება, არამედ - სხვა გადაწყვეტილება.

საკასაციო სასამართლო თვლის, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის მიერ 2009 წლის 24 აპრილს გამოტანილი გადაწყვეტილება წარმოადგენს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობისა და ქმედების განხორციელების თაობაზე ც. მ-შვილის სარჩელზე გამომტანი გადაწყვეტილებას, რაც დასტურდება თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 24 აპრილის გადაწყვეტილების შინაარსით.

საკასაციო სასამართლო ასევე ვერ გაიზიარებს კერძო საჩივრის ავტორის მოსაზრებას და მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ უსწორობა გაასწორა არა მხოლოდ გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილში, არამედ მთელ გადაწყვეტილებაში.

ამდენად, საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას და უდავოდ დადგენილად თვლის, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალა-

ტის 2009 წლის 24 აპრილის გადაწყვეტილებაში დაშვებულია ტექნიკური შეცდომა, რომელიც წარმოადგენს კომპიუტერზე ტექსტის აკრეფის შედეგად დაშვებულ მექანიკურ შეცდომას.

აქედან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ ც. მ-შვილის წარმომადგენლის - ა. გ-იას კერძო საჩივარი უსაფუძვლოა, სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის განჩინება მიღებულია საქართველოს ადმინისტრაციული და სამოქალაქო საპროცესო კოდექსების შესაბამისად და არ არსებობს მისი გაუქმების სამართლებრივი საფუძველი.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე, 420-ე მუხლებით და

#### **და ა ა დ გ ი ნ ა:**

1. ც. მ-შვილის წარმომადგენლის - ა. გ-იას კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 30 ივლისის განჩინება;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

#### **უსწორობის გასწორება**

##### **განჩინება**

#ბს-643-611(კ-09) 27 ნოემბერი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ნ. წვეპლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
მ. ვაჩაძე,  
პ. სილაგაძე

**ზეპირი განხილვის გარეშე განიხილა** სასამართლოს ინიციატივით საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2009 წლის 27 ოქტომბრის გადაწყვეტილების აღწერილობით ნაწილში უსწორობის გასწორების საკითხი.

#### **საკასაციო სასამართლომ გამოარკვია:**

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატამ შემადგენლობით: თავმჯდომარე, მომხსენებელი ნ. წვეპლაძე, მოსამართლეები: პ. სილაგაძე, მ. ვაჩაძე, 2009 წლის 27 ოქტომბერს ზეპირი განხილვის გარეშე განიხილა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის საკასაციო საჩივარი და საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდა - გაუქმდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 12 იანვრის გადაწყვეტილება მოსარჩელე ნ. ბ-ძისათვის კვების ულუფის კომპენსაციის - 590 ლარის და სამივლინებო დავალიანების - 512 ლარის ანაზღაურების ნაწილში და ამ ნაწილში საკასაციო სასამართლოს მიერ მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც ნ. ბ-ძის სარჩელი კვების ულუფის კომპენსაციის - 590 ლარის და სამივლინებო დავალიანების - 512 ლარის ანაზღაურების ნაწილში არ დაკმაყოფილდა.

2009 წლის 17 ნოემბერს ნ. ბ-ძემ განცხადებით მომართა საკასაციო სასამართლოს, რომელშიც მიუთითა, რომ საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილებაში დაშვებულია უსწორობა, კერძოდ, გადაწყვეტილებაში აღნიშნულია, რომ მოწინააღმდეგე მხარეს წერილობითი მოსაზრება და შესაგებელი საკასაციო საჩივართან დაკავშირებით არ წარმოუდგენია, რაც არაზუსტია, რამდენადაც მან 2009 წლის 27 მაისს საკასაციო სასამართლოში წარმოადგინდა შესაგებელი. შესაბამისად, განმცხადებელმა მოითხოვა განმარტება, თუ რამ გამოიწვია გადაწყვეტილებაში აღნიშნული უზუსტობა, მოხდა თუ არა შესაგებლის განხილვა და არსებობდა თუ არა განსხვავებული მოსაზრებები საქმესთან დაკავშირებით.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შემოწმების შედეგად მივიდა იმ დასკვნამდე, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2009 წლის 27 ოქტომბრის გადაწყვეტილების აღწერილობით ნაწილში უნდა გასწორდეს უზუსტობა

და ნაცვლად: "მოწინააღმდეგე მხარეს მოსაზრება და წერილობითი შესაგებელი საკასაციო საჩივართან დაკავშირებით არ წარმოუდგენია", მიეთითოს: "მოწინააღმდეგე მხარემ საკასაციო საჩივართან დაკავშირებით წარმოადგინა წერილობითი შესაგებელი", შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლომ თბილისის სააპელაციო სასამართლოდან გამოითხოვა ადმინისტრაციული საქმე ნ. ბ-ძის სარჩელთან დაკავშირებით, რომლითაც დადასტურდა, რომ ნ. ბ-ძის მიერ საქმეში 2009 წლის 27 მაისს წარმოდგენილ იქნა წერილობითი შესაგებელი.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ ზემოაღნიშნული გარემოება სსსკ-ის 260-ე მუხლის შესაბამისად წარმოადგენს გადაწყვეტილებაში დაშვებულ უსწორობას, რომელიც გამოწვეულია ტექნიკური ხასიათის ხარვეზით, გადაწყვეტილება აკრეფილია კომპიუტერის საშუალებით, რა დროსაც არასწორად მიეთითა საკასაციო სასამართლოს 2009 წლის 27 ოქტომბრის გადაწყვეტილების აღწერილობით ნაწილში, რომ "მოწინააღმდეგე მხარეს მოსაზრება და წერილობითი შესაგებელი საკასაციო საჩივართან დაკავშირებით არ წარმოუდგენია, რამდენადაც მოწინააღმდეგე მხარე ნ. ბ-ძემ 2009 წლის 27 მაისს საკასაციო სასამართლოში წარმოადგინა შესაგებელი.

შესაბამისად, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ უნდა გასწორდეს აღნიშნული უსწორობა და საკასაციო სასამართლოს 2009 წლის 27 ოქტომბრის გადაწყვეტილების აღწერილობით ნაწილში ნაცვლად: "მოწინააღმდეგე მხარეს მოსაზრება და წერილობითი შესაგებელი საკასაციო საჩივართან დაკავშირებით არ წარმოუდგენია", მიეთითოს: "მოწინააღმდეგე მხარემ საკასაციო საჩივართან დაკავშირებით წარმოადგინა წერილობითი შესაგებელი".

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა რა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1.2, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 260-ე, 372-ე, 390-ე, 399-ე მუხლებით და

#### **და ა ა დ გ ი ნ ა:**

1. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2009 წლის 27 ოქტომბრის გადაწყვეტილების აღწერილობით ნაწილში საქმეზე #ბს-643-611(კ-09), გასწორდეს დაშვებული უსწორობა და ნაცვლად: "მოწინააღმდეგე მხარეს მოსაზრება და წერილობითი შესაგებელი საკასაციო საჩივართან დაკავშირებით არ წარმოუდგენია", მიეთითოს: "მოწინააღმდეგე მხარემ საკასაციო საჩივართან დაკავშირებით წარმოადგინა წერილობითი შესაგებელი";

2. განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

#### **უსწორობის გასწორება**

#### **განჩინება**

#ბს-1102-1058(2კ-09) 30 ნოემბერი, 2009 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა**

**შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),**

**ნ. ქადაგიძე,**

**პ. სილაგაძე**

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 260-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, განიხილა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2009 წლის 29 ოქტომბრის #ბს-1102-1058(2კ-09) განჩინების სარეზოლუციო ნაწილში დაშვებული უსწორობის გასწორების საკითხი.

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

გორის რაიონული სასამართლოს 2006 წლის 25 აგვისტოს გადაწყვეტილებით ზ. დ-ძის სარჩელი მოპასუხე საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ფინანსური პოლიციის საგამომიებო დეპარტამენტის შიდა ქართლის სამმართველოსა და გორის საგადასახადო ინსპექციის მიმართ ადმინისტრაციული აქტის გამოცემის შესახებ დაკმაყოფილდა - ბათილად იქნა ცნობილი საგადასახადო ინსპექციის მიერ 2006 წლის 9 ივნისს შედგენილი ოქმი #00477 საგადასახადო სამართალდარღვევის შესახებ; მოსარჩელე - ზ. დ-ძეს დაუბრუნდა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ფინანსური პოლიციის საგამომიებო დეპარტამენტის შიდა ქართლის სამმართველოს მუშაკთა მიერ ჩამორთმეული,

მისი კუთვნილი 59 კალი მობილური ტელეფონი, რომელიც დროებით განთავსებული იყო შპს "აგროტერმინალში".

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგადასახადო დეპარტამენტის გორის საგადასახადო ინსპექციამ, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 13 თებერვლის განჩინებით საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგადასახადო დეპარტამენტის გორის საგადასახადო ინსპექციის სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა - გაუქმდა გორის რაიონული სასამართლოს 2006 წლის 25 აგვისტოს გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა იმავე სასამართლოს.

სასამართლოში საქმის განხილვისას მოსარჩელემ დააზუსტა სასარჩელო მოთხოვნა და გაასაჩივრა ქუთაისის საგადასახადო ინსპექციის #1059 მოთხოვნა, ამასთანავე საგადასახადო სამართალდარღვევის ოქმი, ასევე, შემოსავლების სამსახურის საგადასახადო დეპარტამენტის შიდა ქართლის სამმართველოს 2006 წლის 24 მაისს გაფორმებული ტვირთის წარდგენის ოქმი.

გორის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 6 სექტემბრის საოქმო განჩინებით არასათანადო მხარე - გორის საგადასახადო ინსპექცია შეიცვალა სათანადო მოპასუხით - ქუთაისის საგადასახადო ინსპექციით.

გორის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 6 სექტემბრის განჩინებით ზ. დ-ძის სასარჩელო განცხადება ქუთაისის საგადასახადო ინსპექციის და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის საგამომიებო დეპარტამენტის შიდა ქართლის სამმართველოს მიმართ, ქუთაისის საგადასახადო ინსპექციის 2006 წლის 15 აგვისტოს #1059 საგადასახადო მოთხოვნის, ასევე, საგადასახადო სამართალდარღვევის ოქმის ბათილად ცნობის ნაწილში განსჯადობით განსახლველად გადაეზავნა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 10 დეკემბრის საოქმო განჩინებით საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, საქმეში მესამე პირად ჩაბმულ იქნა გორის საგადასახადო ინსპექცია.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 3 თებერვლის გადაწყვეტილებით, ინდ. მეწარმე ზ. დ-ძის სარჩელს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის ქუთაისის რეგიონალური ცენტრის (საგადასახადო ინსპექცია), მესამე პირის - გორის საგადასახადო ინსპექციის მიმართ, ქუთაისის საგადასახადო ინსპექციის 2006 წლის 15 აგვისტოს #1059 საგადასახადო მოთხოვნის და გორის საგადასახადო ინსპექციის 2006 წლის 9 ივნისის #00477 საგადასახადო სამართალდარღვევის შესახებ ოქმის ბათილად ცნობაზე ეთქვა უარი უსაფუძვლობის გამო.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ზ. დ-ძემ, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება მოითხოვა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 14 მაისის გადაწყვეტილებით ზ. დ-ძის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა; გაუქმდა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 3 თებერვლის გადაწყვეტილება; ზ. დ-ძის სარჩელი დაკმაყოფილდა - ბათილად იქნა ცნობილი ინდ. მეწარმე "ზ. დ-ძის" მიმართ გამოცემული საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგადასახადო დეპარტამენტის გორის საგადასახადო ინსპექციის 2006 წლის 9 ივნისის #00477 სამართალდარღვევის ოქმი, ქუთაისის საგადასახადო ინსპექციის 2006 წლის 27 ივნისის #07/419 ბრძანება და 2006 წლის 15 აგვისტოს #1059 საგადასახადო მოთხოვნა.

აღნიშნული გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის ქუთაისის რეგიონალურმა ცენტრმა (საგადასახადო ინსპექცია), რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 14 მაისის გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის გორის საგადასახადო ინსპექციამაც, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება მოითხოვა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2009 წლის 29 ოქტომბრის განჩინებით საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის ქუთაისის რეგიონალური ცენტრისა (საგადასახადო ინსპექცია) და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის გორის საგადასახადო ინსპექციის საკასაციო საჩივრები მიჩნეულ იქნა დაუშვებლად; უცვლელად დარჩა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 14 მაისის გადაწყვეტილება.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შემოწმების შედეგად მივიდა იმ დასკვნამდე, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2009 წლის 29 ოქტომბრის #ბს-1102-1058(2კ-09) განჩინების სარეზოლუციო ნაწილში დაშვებული უსწორობა უნდა გასწორდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 399-ე მუხლის თანახმად, საქმის განხილვა საკასაციო სასამართლოში წარმოებს იმ წესების დაცვით, რომლებიც დადგენილია სააპელაციო სასამართლოში საქმეთა განხილვისათვის, გარდა იმ გამონაკლისებისა, რომელთაც ეს თავი შეიცავს.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 372-ე მუხლის თანახმად, საქმის განხილვა სააპელაციო სასამართლოში წარმოებს იმ წესების დაცვით, რაც დადგენილია პირველი ინსტანციით საქმეთა განხილვისათვის, ამ თავში მოცემული ცვლილებებითა და დამატებებით.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 260-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლოს შეუძლია მხარეთა თხოვნით ან თავისი ინიციატივით გაასწოროს გადაწყვეტილებაში (განჩინებაში) დაშვებული უსწორობანი ან აშკარა არითმეტიკული შეცდომები.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2009 წლის 29 ოქტომბრის #ბს-1102-1058(2კ-09) განჩინების სარეზოლუციო ნაწილის მე-2 პუნქტში ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 14 მაისის გადაწყვეტილების ნაცვლად მითითებულია თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 14 მაისის გადაწყვეტილება.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2009 წლის 29 ოქტომბრის #ბს-1102-1058(2კ-09) განჩინებაში დაშვებული უსწორობა უნდა გასწორდეს და ხსენებული განჩინების სარეზოლუციო ნაწილის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: "უცვლელად დარჩეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 14 მაისის გადაწყვეტილება".

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 399-ე, 372-ე მუხლებით, 260-ე მუხლის პირველი ნაწილით და

### **და ა ა დ გ ი ნ ა:**

1. გასწორდეს საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2009 წლის 29 ოქტომბრის #ბს-1102-1058(2კ-09) განჩინების სარეზოლუციო ნაწილში დაშვებული უსწორობა და განჩინების სარეზოლუციო ნაწილის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: "უცვლელად დარჩეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 14 მაისის გადაწყვეტილება";

2. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.



## უსწორობის გასწორება

### განჩინება

№ბს-618-587(კ-09)

24 დეკემბერი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ნ. ქადაგიძე,  
პ. სილაგაძე

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 260-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, განიხილა მ. ც-მის, ნ. ს-მის, თ. ლ-მისა და ნ. ჭ-მის განცხადება საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2009 წლის 23 ივლისის №ბს-619-587(კ-09) განჩინების სარეზოლუციო ნაწილში დამკვეთი უსწორობის გასწორების თაობაზე.

#### აღწერილობითი ნაწილი:

2006 წლის 6 ოქტომბერს მ. ც-მემ, თ. ლ-მემ, ნ. ს-მემ, ე. ც-მემ, ნ. ჭ-მემ და ჯ. ც-მემ სასარჩელო განცხადებით მიმართეს ზესტაფონის რაიონულ სასამართლოს მოპასუხეების - ზესტაფონის რაიონის ადმინისტრაციული ზედამხედველობისა და არქიტექტურის სამსახურის, ზესტაფონის რაიონის გამგეობის, მესამე პირების - ე. გ-მის, ე. ო-მისა და ტ. წ-მის მიმართ.

მოსარჩელებმა მოითხოვეს სახელმწიფო საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრებაში ან სარგებლობაში განმკარგავი მუდმივმოქმედი კომისიის 2006 წლის 8 აგვისტოს ოქმის გაუქმება, რომლითაც განისაზღვრა ზემოაღნიშნულ მიწის ნაკვეთებზე აუქციონის ჩატარება 2006 წლის 8 სექტემბერს, ზესტაფონის რაიონის გამგეობის შენობაში. მოსარჩელებმა აგრეთვე, მოითხოვეს ქ. ზესტაფონში, ... ქ. #87-ის მიმდებარე ტერიტორიის გასაყიდი ობიექტების ნუსხაში ჩასმის შესახებ დასკვნის, ასევე, მისი თანმდევი ყველა შედეგის, კერძოდ, ზესტაფონის რაიონის გამგეობის 2006 წლის 4 აგვისტოს #68 დადგენილების, ქ. ზესტაფონში, ... ქ. #87-ის მიმდებარე მიწის ნაკვეთების ღია ტიპის აუქციონის წესით გასხვისების ნაწილში გაუქმება, აგრეთვე, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრებაში ან სარგებლობაში განმკარგავი მუდმივმოქმედი კომისიის 2006 წლის 8 სექტემბრის ოქმის გაუქმება აუქციონში გამარჯვებულად ე. გ-მის, ე. ო-მისა და ტ. წ-მის ცნობის ნაწილში, ასევე, საჯარო რეესტრში რეგისტრაციის გაუქმება და სადავო მიწის ფართის გამოთავისუფლება.

ზესტაფონის რაიონული სასამართლოს 2006 წლის 21 ნოემბრის გადაწყვეტილებით მ. ც-მისა და სხვათა სასარჩელო განცხადებას უარი ეთქვა დაკმაყოფილებაზე უსაფუძვლობისა და დაუსაბუთებლობის გამო.

ზესტაფონის რაიონული სასამართლოს 2006 წლის 21 ნოემბრის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს მ. ც-მემ, თ. ლ-მემ, ნ. ს-მემ, ე. ც-მემ, ნ. ჭ-მემ და ჯ. ც-მემ, რომლებმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვეს.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 12 ივნისის განჩინებით მ. ც-მის, თ. ლ-მის, ნ. ს-მის, ე. ც-მის, ნ. ჭ-მისა და ჯ. ც-მის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა ზესტაფონის რაიონული სასამართლოს 2006 წლის 21 ნოემბრის გადაწყვეტილება.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 12 ივნისის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრეს მ. ც-მემ, თ. ლ-მემ, ნ. ს-მემ, ე. ც-მემ, ნ. ჭ-მემ და ჯ. ც-მემ, რომლებმაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვეს.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2008 წლის 28 თებერვლის განჩინებით მ. ც-მის, თ. ლ-მის, ნ. ს-მისა და ნ. ჭ-მის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ - გაუქმდა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 12 ივნისის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა იმავე სასამართლოს.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 6 მარტის განჩინებით მ. ც-მის, თ. ლ-მის, ნ. ს-მის, ნ. ჭ-მის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა;

უცვლელად დარჩა ზესტაფონის რაიონული სასამართლოს 2006 წლის 21 ნოემბრის გადაწყვეტილება.

აღნიშნული განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრეს მ. ც-დემ, თ. ლ-დემ, ნ. ს-დემ და ნ. ჭ-დემ. კასატორებმა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სასარჩელო მოთხოვნათა დაკმაყოფილება მოითხოვეს.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2009 წლის 23 ივლისის განჩინებით მ. ც-დის, თ. ლ-დის, ნ. ს-დისა და ნ. ჭ-დის საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დაუშვებლად; უცვლელად დარჩა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 6 მარტის განჩინება; მ. ც-დეს დაუბრუნდა მის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის 70% - 210 ლარი.

2009 წლის 15 ოქტომბერს საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის მიერ მ. ც-დის, თ. ლ-დისა, ნ. ს-დის, ნ. ჭ-დის განცხადების საფუძველზე, საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2009 წლის 23 ივლისის განჩინებაზე გაცემულ იქნა 2009 წლის 13 ოქტომბრის #ბს-619-587(კ-09) სააღსრულებო ფურცელი.

2009 წლის 24 ნოემბერს მ. ც-დემ, ნ. ს-დემ, თ. ლ-დემ და ნ. ჭ-დემ განცხადებით მომართეს საქართველოს უზენაეს სასამართლოს, რომელშიც აღნიშნეს, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2009 წლის 23 ივლისის #ბს-619-587(კ-09) განჩინებით დაუბრუნდათ მათ მიერ საკასაციო საჩივარზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟის 70% - 210 ლარი.

განცხადების ავტორებმა აღნიშნეს, რომ ზემოხსენებულ განჩინებაში აღნიშნული იყო, რომ ბაჟი უნდა დაბრუნებოდა მ. ც-დეს. სინამდვილეში აღნიშნული ბაჟი გადახდილი იყო ყველა კასატორის მიერ, მაგრამ უშუალოდ ჩარიცხვა განახორციელა მ. ც-დემ. თუმცა იმის გამო, რომ განჩინებაში სახელი აღნიშნული იყო შეცდომით და მარიამის ნაცვლად ეწერა მარინა, სახაზინო სამსახურმა უარი განაცხადა თანხის გაცმაზე და მოითხოვა სახელის დაზუსტება.

აღნიშნულიდან გამომდინარე, განცხადების ავტორებმა მოითხოვეს საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2009 წლის 23 ივლისის #ბს-619-587(კ-09) განჩინების სარეზოლუციო ნაწილში დაშვებული უსწორობის გასწორება და "მ.-ს" ნაცვლად "მ.-ის" მითითება.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო გაეცნო მ. ც-დის, ნ. ს-დის, თ. ლ-დისა და ნ. ჭ-დის განცხადებას და მიიჩნევს, რომ ხსენებული განცხადება უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 399-ე მუხლის თანახმად, საქმის განხილვა საკასაციო სასამართლოში წარმოებს იმ წესების დაცვით, რომლებიც დადგენილია სააპელაციო სასამართლოში საქმეთა განხილვისათვის, გარდა იმ გამონაკლისებისა, რომელთაც ეს თავი შეიცავს.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 372-ე მუხლის თანახმად, საქმის განხილვა სააპელაციო სასამართლოში წარმოებს იმ წესების დაცვით, რაც დადგენილია პირველი ინსტანციით საქმეთა განხილვისათვის, ამ თავში მოცემული ცვლილებებითა და დამატებებით.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 260-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლოს შეუძლია მხარეთა თხოვნით ან თავისი ინიციატივით გაასწოროს გადაწყვეტილებაში დაშვებული უსწორობანი ან აშკარა არითმეტიკული შეცდომები.

ამდენად, საკასაციო სასამართლო მ. ც-დის, თ. ლ-დის, ნ. ს-დისა და ნ. ჭ-დის საკასაციო საჩივარზე თანდართული სახელმწიფო ბაჟის გადახდის კვიტორისა და მ. ც-დის პირადობის მოწმობაში აღნიშნული პირადი მონაცემების გაცნობის შედეგად საჭიროდ მიიჩნევს, შესწორება შეიტანოს საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2009 წლის 23 ივლისის #ბს-619-587(კ-09) განჩინებაში და ხსენებული განჩინების სარეზოლუციო ნაწილის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: "მ. ც-დეს დაუბრუნდეს მის მიერ მ. ც-დის, თ. ლ-დის, ნ. ს-დისა და ნ. ჭ-დის საკასაციო საჩივარზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟის 70% - 210 ლარი".

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 399-ე, 372-ე მუხლებით, 260-ე მუხლის პირველი ნაწილით და

### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. მ. ც-ძის, ნ. ს-ძის, თ. ლ-ძისა და ნ. ჭ-ძის განცხადება საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2009 წლის 23 ივლისის #ბს-619-587(კ-09) განჩინების სარეზოლუციო ნაწილში დაშვებული უსწორობის გასწორების თაობაზე დაკმაყოფილდეს;

2. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2009 წლის 23 ივლისის #ბს-619-587(კ-09) განჩინების სარეზოლუციო ნაწილის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: "მ. ც-ძეს დაუბრუნდეს მის მიერ მ. ც-ძის, თ. ლ-ძის, ნ. ს-ძისა და ნ. ჭ-ძის საკასაციო საჩივარზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟის 70% - 210 ლარი";

3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

### **უსწორობის გასწორება**

#### **განჩინება**

#ბს-1230-1174(კს-09) 29 დეკემბერი, 2009 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ნ. წკეპლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),**

**მ. ვაჩაძე,**

**პ. სილაგაძე**

**დავის საგანი:** განჩინებაში უსწორობის გასწორება

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

2009 წლის 3 ივლისს ი. გ-ძემ განცხადებით მიმართა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს და მოითხოვა აჭარის უმაღლესი სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის 2001 წლის 16 ნოემბრის განჩინების სარეზოლუციო ნაწილის ბოლო პუნქტში სიტყვის "მიეცეს" დამატება და სარეფორმო კომისიის დავალდებულება ი. გ-ძისათვის ნორმით გათვალისწინებული მიწის ნაკვეთის გამოყოფის შესახებ.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 14 აგვისტოს განჩინებით ი. გ-ძის განცხადება აჭარის ა/რ უმაღლესი სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა პალატის 2001 წლის 16 ნოემბრის განჩინებაში დაშვებული უსწორობის გასწორების შესახებ არ დაკმაყოფილდა, რაც სააპელაციო სასამართლომ დაასაბუთა შემდეგნაირად:

სააპელაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სსსკ-ის 260-ე მუხლით, დადგენილად მიიჩნია, რომ აჭარის ა/რ უმაღლესი სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის 2001 წლის 16 ნოემბრის განჩინებით შეწყდა საქმის წარმოება იმ მოტივით, რომ მისი განხილვა შედიოდა სხვა უწყების კომპეტენციაში. შესაბამისად, სასამართლოს დავა არსებითად არ განუხილავს და ვერც ადმინისტრაციულ ორგანოს დაავალბდა ი. გ-ძისათვის საკარმიდამო მიწის ნაკვეთის მიცემას. სასამართლომ სსსკ-ის 273.1 მუხლის შესაბამისად მიუთითა, თუ რომელი ორგანოსათვის უნდა მიემართა განმცხადებელს.

სააპელაციო სასამართლომ უსაფუძვლოდ მიიჩნია მოთხოვნა განჩინებაში შესწორების შეტანის შესახებ და მიუთითა, რომ სსსკ-ის 260.1 მუხლის შესაბამისად, სასამართლოს შეუძლია, გადაწყვეტილებაში შეასწოროს აშკარა არითმეტიკული ან ტექნიკური უსწორობანი, ხოლო ი. გ-ძის მიერ მითითებული გარემოება არ წარმოადგენდა გადაწყვეტილებაში დაშვებულ ტექნიკურ უსწორობას.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა ი. გ-ძემ და მოითხოვა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 14 აგვისტოს განჩინების გაუქმება შემდეგი მოტივით:

კერძო საჩივრის ავტორის მითითებით, მთავრობის ხელმძღვანელების წერილობითი პასუხებით განემარტა, რომ მიწის რეფორმის განხორციელების შედეგად მიიღებდა ნორმით გათვალისწინებულ მიწის სამოსახლო ნაკვეთს, მაგრამ რეფორმის ჩატარების მიუხედავად, დღემდე ვერ მიიღო ნორმით გათვალისწინებული მიწა.

კერძო საჩივრის ავტორის მითითებით, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის თავმჯდომარის მიერ განემარტა, რომ მიწის ნაკვეთის მიცემის შესახებ არ იყო აღნიშნული არც აჭარის ა/რ უმაღლესი სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის 2001 წლის 16 ნოემბრის განჩინებასა და არც სააღსრულებო ფურცელში.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, წარმოდგენილი კერძო საჩივრის მოტივების საფუძვლიანობის, გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ი. გ-ძის კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს და უცვლელად დარჩეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 14 აგვისტოს განჩინება შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ კანონის სწორად გამოყენებისა და განმარტების შედეგად საქმეზე არსებითად სწორი განჩინება დაადგინა, კერძო საჩივარში მითითებული საპროცესო დარღვევები არ მომხდარა, რის გამოც არ არსებობს სსსკ-ის 393-ე-394-ე მუხლების შესაბამისად, მისი გაუქმების საფუძველი.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სსსკ-ის 260-ე მუხლი ითვალისწინებს სასამართლოს მიერ გამოტანილ გადაწყვეტილებაში უსწორობათა და აშკარა არითმეტიკული შეცდომების გასწორებას. მითითებული ნორმის თანახმად, სასამართლოს შეუძლია, მხარეთა თხოვნით ან თავისი ინიციატივით გაასწოროს გადაწყვეტილებაში დაშვებული უსწორობანი ან აშკარა არითმეტიკული შეცდომები. აღნიშნული ნორმის შესაბამისად, შესწორებას ექვემდებარება მხოლოდ გადაწყვეტილების შესრულებისას დაშვებული ტექნიკური ხასიათის უსწორობა და არა გადაწყვეტილებაში არსებითი ხასიათის ცვლილების შეტანა. ი. გ-ძის მოთხოვნა კი ფაქტობრივად, სასამართლოს გადაწყვეტილების შინაარსის შეცვლას გულისხმობს, რადგან სასამართლოს 2001 წლის 16 ნოემბრის განჩინებით განიხილა ი. გ-ძის სააპელაციო საჩივარი საკარმიდამო მიწის ნაკვეთის გამოყოფის შესახებ და სასამართლოს განჩინებით ი. გ-ძის მოთხოვნა დაკმაყოფილდა ნაწილობრივ - საქმეზე სამართალწარმოება შეწყდა იმ მოტივით, რომ მისი განხილვა სხვა უწყების კომპეტენციაში შედიოდა. ამავე გადაწყვეტილებით, აპელანტს განემარტა, რომ სადავო საკითხზე მიემართა ხელვაჩაურის რაიონის კახაბრის თემის საკრებულოს მიწის სარეფორმო კომისიისათვის, ხოლო კახაბრის თემის საკრებულოს მიწის სარეფორმო კომისიას დაევალა კანონით დადგენილი წესით განეხილა ი. გ-ძის განცხადება საკარმიდამო მიწის ნაკვეთის გამოყოფის შესახებ. ამდენად, სასამართლოს არ დაუდგენია ი. გ-ძისათვის მიწის ნაკვეთის გამოყოფა და ადმინისტრაციულ ორგანოს დაევალა საკითხის განხილვა კანონით დადგენილი წესით, რასაც შესაძლოა, მოჰყოლოდა საკითხის როგორც დადებითად, ასევე უარყოფითად გადაწყვეტა. ანუ ადმინისტრაციულ ორგანოს უნდა ემოქმედა კანონით გათვალისწინებული მოთხოვნების ფარგლებში და მიეღო შესაბამისი გადაწყვეტილება. ამდენად, სასამართლოს განჩინებაში შესწორების შეტანა იმ სახით, რომ კახაბრის თემის საკრებულოს დაევალოს ი. გ-ძისათვის მიწის ნაკვეთის გამოყოფა, ფაქტობრივად ახალი გადაწყვეტილების გამოტანას გულისხმობს, რაც სსსკ-ის 260-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილებაში შესწორების შეტანის ფარგლებს სცილდება.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2007 წლის 2 აგვისტოს განჩინებით, სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით, კახაბრის თემის საკრებულოს უფლებამონაცვლედ დადგინდა ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის გამგეობა. ამდენად, აჭარის ა/რ უმაღლესი სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის 2001 წლის 16 ნოემბრის განჩინების შესრულების ვალდებულება სსსკ-ის 92.2 მუხლის შესაბამისად ეკისრება ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის გამგეობას, რომელმაც მითითებული გადაწყვეტილების შესაბამისად, უნდა განიხილოს ი. გ-ძის განცხადება მიწის ნაკვეთის გამოყოფის შესახებ და კანონის მოთხოვნებიდან გამომდინარე, შეაფასოს მოთხოვნის საფუძვლიანობა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, სააპელაციო სასამართლომ კანონის მართებულად გამოყენებისა და განმარტების შედეგად საქმეზე არსებითად სწორი განჩინება დაადგინა, კერძო საჩივარი არ შეიცავს დასაბუთებულ არგუმენტაციას სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინების კანონშესაბამიანობის შესახებ, შესაბამისად, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ ი. გ-ძის კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს და უცვლელად დარჩეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 14 აგვისტოს განჩინება.

ამასთან, კერძო საჩივრის ავტორს სსსკ-ის 38-ე მუხლის "თ" პუნქტისა და 39.1 მუხლის "დ" ქვეპუნქტის შესაბამისად, უნდა დაეკისროს საკასაციო სასამართლოს 2009 წლის 18 ნოემბრის განჩინებით გადავადებული სახელმწიფო ბაჟის - 50 ლარის გადახდა სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ.

**სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1.2, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 372-ე, 390-ე, 399-ე, 410-ე, 419-420-ე მუხლებით და

**და ა ა დ გ ი ნ ა:**

1. ი. გ-ძის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 14 აგვისტოს განჩინება;
3. კერძო საჩივრის ავტორს - ი. გ-ძეს დაეკისროს გადავადებული სახელმწიფო ბაჟის - 50 ლარის გადახდა სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ;
4. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.